# ლელო

№282 (12 352)

3 დეკემბერი ორშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი 50 თეთრი

ყაზბეგი
ეროვნული ბიბლიოთეკა

ევრო 2008. ფინალური ეტაპის წილისყრა და კალენდარი

# ევროპა ოთხი/ოთხზე

EURO2008 Austria-Switzerland

| A ჯგუფი |
|---|
| შვეიცარია |
| ჩეხეთი |
| პორტუგალია |
| თურქეთი |

| C ჯგუფი |
|---|
| ჰოლანდია |
| იტალია |
| რუმინეთი |
| საფრანგეთი |

| B ჯგუფი |
|---|
| ავსტრია |
| ხორვატია |
| გერმანია |
| პოლონეთი |

| D ჯგუფი |
|---|
| საბერძნეთი |
| შვედეთი |
| ესპანეთი |
| რუსეთი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **ჯგუფური ეტაპი** | | | | |
| **7 ივნისი, შაბათი** | | | | |
| 1 | A ჯგუფი | ბაზელი | 20:00 | შვეიცარია-ჩეხეთი |
| 2 | A ჯგუფი | ჟენევა | 22:45 | პორტუგალია-თურქეთი |
| **8 ივნისი, კვირა** | | | | |
| 3 | B ჯგუფი | ვენა | 20:00 | ავსტრია-ხორვატია |
| 4 | B ჯგუფი | კლაგენფურტი | 22:45 | გერმანია-პოლონეთი |
| **9 ივნისი, ორშაბათი** | | | | |
| 5 | C ჯგუფი | ციურიხი | 20:00 | რუმინეთი-საფრანგეთი |
| 6 | C ჯგუფი | ბერნი | 22:45 | ჰოლანდია-იტალია |
| **10 ივნისი, სამშაბათი** | | | | |
| 7 | D ჯგუფი | ინსბრუკი | 20:00 | ესპანეთი-რუსეთი |
| 8 | D ჯგუფი | ზალცბურგი | 22:45 | საბერძნეთი-შვედეთი |
| **11 ივნისი, ოთხშაბათი** | | | | |
| 9 | A ჯგუფი | ჟენევა | 20:00 | ჩეხეთი-პორტუგალია |
| 10 | A ჯგუფი | ბაზელი | 22:45 | შვეიცარია-თურქეთი |
| **12 ივნისი, ხუთშაბათი** | | | | |
| 11 | B ჯგუფი | კლაგენფურტი | 20:00 | ხორვატია-გერმანია |
| 12 | B ჯგუფი | ვენა | 22:45 | ავსტრია-პოლონეთი |
| **13 ივნისი, პარასკევი** | | | | |
| 13 | C ჯგუფი | ციურიხი | 20:00 | იტალია-რუმინეთი |
| 14 | C ჯგუფი | ბერნი | 22:45 | ჰოლანდია-საფრანგეთი |
| **14 ივნისი, შაბათი** | | | | |
| 15 | D ჯგუფი | ინსბრუკი | 20:00 | შვედეთი-ესპანეთი |
| 16 | D ჯგუფი | ზალცბურგი | 22:45 | საბერძნეთი-რუსეთი |
| **15 ივნისი, კვირა** | | | | |
| 17 | A ჯგუფი | ბაზელი | 22:45 | შვეიცარია-პორტუგალია |
| 18 | A ჯგუფი | ჟენევა | 22:45 | თურქეთი-ჩეხეთი |
| **16 ივნისი, ორშაბათი** | | | | |
| 19 | B ჯგუფი | ვენა | 22:45 | ავსტრია-გერმანია |
| 20 | B ჯგუფი | კლაგენფურტი | 22:45 | პოლონეთი-ხორვატია |
| **17 ივნისი, სამშაბათი** | | | | |
| 21 | C ჯგუფი | ბერნი | 22:45 | ჰოლანდია-რუმინეთი |
| 22 | C ჯგუფი | ციურიხი | 22:45 | იტალია-საფრანგეთი |
| **18 ივნისი, ოთხშაბათი** | | | | |
| 23 | D ჯგუფი | ზალცბურგი | 22:45 | საბერძნეთი-ესპანეთი |
| 24 | D ჯგუფი | ინსბრუკი | 22:45 | შვედეთი-რუსეთი |
| **მეოთხედფინალი** | | | | |
| **19 ივნისი, ხუთშაბათი** | | | | |
| 25 | | ბაზელი | 22:45 | 1A-2B |
| **20 ივნისი, პარასკევი** | | | | |
| 26 | | ვენა | 22:45 | 1B-2A |
| **21 ივნისი, შაბათი** | | | | |
| 27 | | ბაზელი | 22:45 | 1C-2D |
| **22 ივნისი, კვირა** | | | | |
| 28 | | ვენა | 22:45 | 1D-2C |
| **ნახევარფინალი** | | | | |
| **25 ივნისი, ოთხშაბათი** | | | | |
| 29 | | ბაზელი | 22:45 | 25. გამარჯ.-26. გამარჯ. |
| **26 ივნისი, ხუთშაბათი** | | | | |
| 30 | | ვენა | 22:45 | 27. გამარჯ.-28. გამარჯ. |
| **ფინალი** | | | | |
| 29 ივნისი, შაბათი | | | | |
| ვენა, 22:45 | | | | |



ჩვენი ამასწინანდელი მეტოქეები - რობერტო დონადონი და რაიმონ დომენეკი ისევ ერთ ჯგუფში მოხვდნენ

## ზესტაფონმა ლიდერობა შეინარჩუნა

საქართველოს ჩემპიონატი. XIII ტური 2-4

## ქართული ფეხბურთი ახალ სკანდალში?

ჩვენი კლუბები გარიგებულ თამაშებში ახსენეს 4

## რა თქმა უნდა, კაკა!



როგორც მოსალოდნელი იყო, „ფრანს ფუტბოლმა" წლის საუკეთესო ფეხბურთელის ჯილდო მიაკუთვნა ბრაზილიის ნაკრებისა და „მილანის" ლიდერს, **რიკარდო იზეკსონ სანტუშ ლეიტეს**, იგივე **კაკას**, რომელმაც უპრესტიჟულეს რეფერენდუმში 444 ქულა დააგროვა. გამოკითხვაში 96 ჟურნალისტი მონაწილეობდა. განსხვავებით წინა წლებისგან, ამჯერად „ფრანს ფუტბოლმა" გეოგრაფია გააფართოვა და სიაში 50 ფეხბურთელი შეიყვანა, მათ შორის, არგენტინის, ბრაზილიის, მექსიკის, აშშ-სა და თვით ყატარის კლუბებიდანაც კი.

კაკას შემდეგ მეორე ადგილზე გავიდა პორტუგალიის ნაკრებისა და „მანჩესტერ იუნაიტედის" გარემარბი **კრისტიანო რონალდო**, რომელმაც 277 ქულას მოუყარა თავი. მას 22 ხმით ჩამორჩა არგენტინის ნაკრებისა და „ბარსელონის" ფორვარდი **ლიონელ მესი** (255). მეოთხე ადგილზე გავიდა **დიდიე დროგბა** (კოტ დ'ივუარი/"ჩელსი") 108 ქულით, ხოლო მეხუთეზე **ანდრეა პირლო** (იტალია/"მილანი") 41 ქულით. საინტერესოა, რომ 2003 წლის შემდეგ პირველად მოხდა, რომ **რონალდინიო** ხუთეულს მიღმა დარჩა. მას მხოლოდ მე-12 ადგილი ერგო...

**კაკა:** *„ჩემთვის ეს განსაკუთრებული დღეა. სიმართლე გითხრათ, ჯილდოს ველოდი. „მილანთან" ერთად მოვიგე ჩემპიონთა ლიგა და გავხდი ამ ტურნირის საუკეთესო ბომბარდირი. ალბათ, ამან ითამაშა კიდეც გადამწყვეტი როლი. თუ გინდა, რომ გამარჯვებული იყო, გამარჯვებულ გუნდში უნდა თამაშობდე. და „მილანიც" სწორედ ასეთი გუნდია".*

გახსენი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს XIX ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა. XIII ტური

www.pfl.ge

## ამერი-ზესტაფონი

**1:2**

01.12. თბილისი. ამერი
1000 მაყურებელი

1:0 დავითნიძე (5), 1:1 გ. ნოდარის ძე ჭელიძე (10. პენალტით), 1:2 ჟონატასი (63)

ამერი: ქვაჩახია - კაკაშვილი, დავითნიძე, ჩიკვილაძე, ელბაქიძე (80. ცხადაძე) - დოლიძე (71. ალავიძე), დიდავა, დეკანოსიძე, ჯელაძე, ბოლქვაძე (63. ტატანაშვილი) - რ. გოცირიძე

*სათადარიგოები: ნადირაშვილი, მესხი, კობაური, შალამბერიძე*

ზესტაფონი: ჭანტურია - თოდუა, საჯაია, ლობჟანიძე, კ. ჩხეტიანი - გ. ნუგზარის ძე ჭელიძე (88. შ. ლონლაძე), კესანი, ჟონატასი (76. ხიდეშელი), რ. ონიანი, ბ. გოცირიძე - გ. ნოდარის ძე ჭელიძე (77. ფიფია)

*სათადარიგოები: რ. კვასხვაძე, ვიერა, იონანიძე, ბიტოო*

გაფრთხილება: ბოლქვაძე (50), ჯელაძე (58), დავითნიძე (80), თოდუა (84)

არბიტრი: დ. ხარიტონაშვილი

**3.** ჟონატასის სახიფათო დარტყმა მასპინძელთა კარს ოდნავ ასცდა.

**5.** 1:0 - დეკანოსიძის ჯარიმას გაგრძელება ბოლქვაძემ მოუძებნა, მაგრამ ჭანტურიამ იყოჩაღა, თუმცა დამატებაზე ყველას დავითნიძემ დაასწრო და ახლო მანძილიდან ანგარიში გახსნა.

**10.** 1:1 - სტუმართა შეტევას ელქაბიძის შეცდომა მოყვა; ბურთისთვის ბრძოლაში ჩიკვილაძე და გიორგი ნუგზარის ძე ჭელიძე იბრძოდნენ - ყველაფერი კი მასპინძელთა საჯარიმოში წესების დარღვევით დასრულდა. პენალტი „მეორე" ჭელიძემ ზუსტად გამოიყენა.

**27.** ჯელაძის ფლანგური გარღვევა და კარში დარტყმა - ჭანტურია ადგილზეა.

**28.** ბექა გოცირიძე შორიდან ცდილობდა გოლის გატანას - ქვაჩახიამ ბურთი კუთხურზე მოიგერია.

**34.** მატჩის ერთ-ერთი ყველაზე საკამათო ეპიზოდი: სტუმართა კარში გატანილი გოლი გვერდითმა მსაჯმა გააუქმა - ლევან მიქელაძის აზრით, რევაზ გოცირიძე თამაშგარეში იმყოფებოდა.

**36.** გიორგი ნოდარის ძე ჭელიძის ჯარიმიდან დარტყმული ბურთი მცირედით აცდა მასპინძელთა კარს.

**59.** გიორგი ნუგზარის ძე ჭელიძე შეუჩერებლად გზავნიდა ბურთს „ამერის" კარისკენ - დარტყმა ოდნავ არაზუსტი აღმოჩნდა.

**63.** 1:2 - ჩხეტიანის ჩამონოდებულ კუთხურს საპირისპირო ფლანგზე ჟონატასის აქტიურობა მოყვა და სტუმართა ბრაზილიელი ლეგიონერის დარტყმა ზუსტი გამოდგა.

**71.** შეცვლაზე შემოსულმა ტატანაშვილმა ბურთი ხარიხას გაარტყა.

**73.** ბექა გოცირიძის სოლო-რეიდი ჩინებულად გააგრძელა გიორგი ნოდარის ძე ჭელიძემ, მაგრამ საბოლოო დარტყმა არ გამოუვიდა.

**79.** ელქაბიძის შორეული დარტყმა ჭანტურიამ ლამაზ ნახტომში მოიგერია.

**85.** ერთწუთიან ინტერვალში ჭანტურიამ ჯერ ტატანაშვილის თავური დარტყმა მოიგერია, მერე კი - კაკაშვილის.

**90.** მასპინძელთა ჩამონოდებულ კუთხურს კაკაშვილი ზუსტი და ძლიერი თავური დარტყმით აგვირგვინებდა, მაგრამ „ზესტაფონი" ჭანტურიამ იხსნა.

**90+2.** სტუმართა კონტრშეტევას ხიდეშელი ტექნიკური დარტყმით ასრულებდა - ბურთი მიზანს აცდა.

# სარეკორდო სერია გრძელდება



ზესტაფონელებმა ანგარიში ჭელიძის პენალტის შემდეგ გაათანაბრეს

ნუგზარ სუარიძის ფოტო

„ზესტაფონის" ტრიუმფული სვლა გრძელდება! პირველ ტურში „ვიტ-ჯორჯიასთან" ფრის მერე ამ გუნდმა ჩემპიონატში ყველა მატჩი მოიგო. ეგ კი არა, **თემურ მახარაძისა** და მისი გუნდის ნაუგებელი სერია წელიწადზე მეტია გრძელდება. არ დავივიწყოთ ის ფაქტიც, რომ „ზესტაფონის" მეტოქე „ამერი" იყო; გუნდი, რომელსაც დიდი ამბიცია აქვს და რომელმაც ბოლოსკენ თავის თამაშიც „იპოვა" - ზედიზედ სამი გამარჯვებით „ამერი" ლიდერთა სამეულს მიუახლოვდა. ამას გარდა, „ამერი"-"ზესტაფონის" შეხვედრას სხვა დატვირთვაც ჰქონდა - ზედიზედ ორი წელიწადი ხომ საქართველოს თასის ფინალში ეს გუნდები გადიოდნენ და ორივეჯერ გამარჯვება **გიორგი ჩიხრაძის** კრებულს რჩებოდა. მოკლედ, საჩემპიონო მარათონში ჩართული **თემურ მახარაძისთვის** „ამერზე" მეტი პრინციპული მეტოქე ვინ უნდა ყოფილიყო, თანაც „ზესტაფონს" ოთხ დღეში ხომ კიდევ ერთი „საშინელი" მატჩი ელოდება - უშუალო და, ალბათ, ერთადერთ კონკურენტ „დინამოსთან". აი, ასე ძვირად ფასობდა სტუმართათვის სამი ქულა და ამიტომაც იყო უჩვეულო ემოციური თემურ მახარაძის ნახვა შეხვედრის ბოლო წუთებზე ანუ, მაშინ, როცა „ამერმა" შტურმი მოაწყო, მაგრამ „ზესტაფონმა" შეძლო და გაუძლო მასპინძელთა აშკარად დაგვიანებულ აქტიურ თამაშს. თანაც, თუ **გრიგოლ ჭანტურიას** თამაში „წაუვიდა", მის კარში გოლის ხილვა წარმოუდგენელიც კი არის. შეხვედრის ბოლო წუთებზე ჭანტურია ჩინებული რეაქციითა და, რაც მთავარია, „ოლიმპიური სიმშვიდით" გამოირჩეოდა.

...ეს ყველაფერი ბოლოსკენ იყო, უფრო ზუსტად, ბოლო 15 წუთში, როცა „ამერი" სამფორვარდიან ტაქტიკაზე გადაეწყო და მეკარე **ზურაბ ქვაჩახიას** გარდა მთელი გუნდით შეტევაზე გადავიდა. თუმცა მასპინძელთა ასეთი აქტიური თამაში აშკარად დაგვიანებული აღმოჩნდა. მანამდე კი იყო ჩვენი საზომებით ერთობ დაძაბული და ემოციური შეხვედრა - საკმაოდ მაღალ ტემპში და გარდამავალი უპირატესობით. პირველ ტაიმში „ამერი" ნამდვილად უკეთეს შთაბეჭდილებას ტოვებდა, მეორე ტაიმის პირველი ნახევარი „ზესტაფონის" კარნახით წარიმართა, ბოლოს კი ისევ მასპინძლებმა იმძლავრეს, მაგრამ ეს, თუნდაც ერთი ქულის მოსაპოვებლად საკმარისი არ აღმოჩნდა.

ძნელად თუ იფიქრებდა ვინმე მატჩის ასეთ დასაწყისს - პირველ ათ წუთში მეტოქეებს თითო გოლი ჰქონდათ გატანილი! ჯერ **გიორგი დავითნიძემ** იყოჩაღა და სტუმართა საჯარიმოში შექმნილი არეულობით ისარგებლა; მერე კი „ზესტაფონი"... **ჭელიძეებმა** ახეირეს - ერთმა პენალტი „მოინადირა", მეორემ კი ზუსტად შეასრულა. საერთოდაც, ეს უკანასკნელი („პაჭელო") მთელი მატჩის განმავლობაში ჩინებულად გამოიყურებოდა და გასაკვირია, რატომ აღარ იძახებენ საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში. „პაჭელო" ერთადერთი ნომინალური ფორვარდი არ ყოფილა სტუმართა გუნდში - „ინსაიდების" პოზიციაზე აქტიურად გამოიყურებოდნენ მისი მოგვარეც და **ბექა გოცირიძეც**. აი, მოედნის შუახაზში კი „ზესტაფონმა" უპირატესობა რომ მოიპოვა, ორივე ლეგიონერის დიდი დამსახურებაა. ბრაზილიელი **ჟონატასი**, სულაც მატჩის ერთ-ერთი გამორჩეული ფეხბურთელი იყო, მეტოქის შეტევების ჩაშლასაც ახერხებდა და თავისი გუნდის იერიშის წამოწყებასაც. გადამწყვეტი გოლიც შემთხვევით არ გაუტანია - სიტუაციაში კარგად გაერკვა და ზუსტი დარტყმით ძვირფასი სამი ქულა მოუტანა თავის გუნდს. სხვათა შორის, მასპინძლების შტურმი რომ ვახსენეთ, იმითაც იყო განპირობებული, რომ ჟონატასმა და „პაჭელომ" თამაშის გაგრძელება ველარ შეძლეს. ჩინებულად გაისარჯა **კესანიც**, რომელმაც მასპინძელთა შეტევების მთავარი სულის ჩამდგმელი **დავით ბოლქვაძე** გაანეიტრალა, ისე როგორც კახა ჩხეტიანი - მარცხენა ფლანგზე **გრიგოლ დოლიძე** ამოკეტა, შეტევებშიც ხშირად ერთვებოდა და საერთოდაც, მერამდენედ დაამტკიცა, რომ თავის ამპლუაში საქართველოს ჩემპიონატში საუკეთესოა. კიდევ ერთი პერსონალური „დუელიც" უნდა გამოვყოთ, 90 წუთი რომ გრძელდებოდა მასპინძელთა ცენტრფორვარდს **რევაზ გოცირიძესა** და სტუმართა მცველ **უჩა ლობჟანიძეს** შორის. „დუელი", რომელიც „ზესტაფონის" ახალგაზრდა მცველის გამარჯვებით დასრულდა - ლობჟანიძემ გამოცდილ მეტოქეს თითქმის ყველა ორთაბრძოლა მოუგო! რაც შეეხება „ამერს", ყველაზე აქტიურად **გიზო ჯელაძე** გამოიყურებოდა - თავის ფლანგზე უპირატესობაც ჰქონდა და მეტოქის კარსაც ხშირად ემუქრებოდა. სწორედ მის ფლანგურ გარღვევას მოყვა შეხვედრის ყველაზე საკამათო ეპიზოდიც: ჭანტურიამ ბურთი მოიგერია, **დეკანოსიძემ** დაამატა და გოლიც გავიდა. ოღონდ, კარისკენ მიმავალი ბურთი რევაზ გოცირიძეს მოხვდა და ისე გაეხვა ბადეში. გვერდითი მსაჯის აზრით კი გოცირიძე თამაშგარე მდგომარეობაში იმყოფებოდა... რა თქმა უნდა, ბევრი იკამათეს მასპინძლებმა (ისევე როგორც მათ კარში დანიშნული პენალტის შემთხვევაშიც), მაგრამ ამით არაფერი შეცვლილა. სამაგიეროდ „ამერის" თამაში შეიცვალა მას შემდეგ, რაც მოედანზე **დიმიტრი ტატანაშვილი** გამოჩნდა. საქართველოს ნაკრების ფორვარდმა მეტოქის საჯარიმოში „ცეცხლი დაანთო", მაგრამ ცოტა იღბალიც არ ეყო და, ალბათ, დროც...

...გრიგოლ ჭანტურიამ ჯერ **გიორგი ელბაქიძის** უძლიერესი დარტყმა მოხსნა „ცხრიანიდან", მერე ზედიზედ ორჯერ **ტატანაშვილის** და **კაკაშვილის** თავური დარტყმები მოიგერია, ერთ ეპიზოდში თავის კარის „ხარიხაც" მიეხმარა, ბოლო წუთზე კი კაკაშვილის თავური დარტყმა, მართლაც, სასწაულებრივ მოიგერია! აი, ასეთი დაბოლოება ჰქონდა ამ, მართლაც, ლამაზ შეხვედრას, სადაც, ბევრის აზრით, „ამერი" ერთ ქულას იმსახურებდა. თუმცა მეორეს მხრივ, იმასაც ვერავინ იტყვის, „ზესტაფონმა" დაუმსახურებლად მოიგოო.

**რჩეული**

### ჟონატასი

გამარჯვებულთა გუნდში ერთდროულად რამდენიმე მოთამაშე გამოირჩა, თუმცა რჩეულად მაინც ჟონატასი დავასახელეთ. „ზესტაფონის" ბრაზილიელმა ლეგიონერმა გადამწყვეტი გოლიც გაიტანა და სანამ მოედანზე იყო, უდავოდ, ჩინებული შთაბეჭდილება დატოვა.

**გია ტუხაშვილი**

# როცა გაფუჭებული პენალტი დასჯადი არაა

## ვიტ ჯორჯია-მესხეთი

**3:0**

01.12. მცხეთა. არმაზი
100 მაყურებელი

1:0 გ. დათუნაიშვილი (40. სახოკიას პასით), 2:0 გელაშვილი (68. მელქაძის პასით), 3:0 ლუქაშვილი (86)

*გამოუყენებელი პენალტები: გ. დათუნაიშვილი (37), გელაშვილი (53. მეკარე)*

ვიტ ჯორჯია: ბედიაშვილი – პ. დათუნაიშვილი, ა. კვახაძე, დ. ლომაია, ჯაფარიძე - რაზმაძე, გ. დათუნაიშვილი (46. ბეჭვაია), კლიმიაშვილი, მელქაძე – გელაშვილი (70. ლუქაშვილი), სახოკია (79. ლიპარტია).

*სათადარიგოები: ღურბელეიშვილი, ადამაძე, კაიშაური, ინჯგია.*

მესხეთი: სომხიშვილი – ვ. აკოფიანი (67. კევლიშვილი), ლეკიშვილი, ძამსაშვილი, თურმანიძე – ზ. ჩხეტიანი, აფრიამაშვილი (67. გ. სუდაძე), მ. თაყაძე, გვირჯიშვილი, ლონლაძე (79. ჰ. აკოფიანი) – ინასარიძე.

*სათადარიგოები: ძამუნაშვილი, ქოჩორაშვილი, მეტრეველი, კობესაშვილი.*

გაფრთხილება: ლეკიშვილი (24), გ. დათუნაიშვილი (29), ზ. ჩხეტიანი, რაზმაძე (45), პ. დათუნაიშვილი (54), დ. ლომაია (71).

გაძევება: მ. თაყაძე (29)

არბიტრი: მ. ურუშაძე

**11.** კლიმიაშვილის დატყმული კარგი პოზიციიდან ცოტათი აცდა კარს.

**21.** ლომაიამ სახიფათოდ დაარტყა, სომხიშვილმა მოიგერია.

**25.** მელქაძემ ბურთი ჯარიმიდან "ცოცხალ კედელში" გააძვრინა, მაგრამ მას სომხიშვილი ადგილზე დახვდა.

**37.** არბიტრმა სტუმართა კარის მიმართულებით პენალტი დანიშნა. ლუკა რაზმაძის დარტყმული კარს აცდა.

**40.** 1:0 - სახოკიას დიაგონალური პასი გიორგი დათუნაიშვილმა შეირგო და ზუსტი დარტყმით ანგარიში გახსნა.

**53.** ისევ პენალტი სტუმართა კარში. დარტყმა ამჯერად ნიკა გელაშვილმა ითავა, მაგრამ ვერც მან გაიტანა - სომხიშვილმა მოიგერია.

**56.** სახოკიას შეეძლო ანგარიშის გაზრდა, მაგრამ სომხიშვილმა კიდევ ერთხელ გადაარჩინა "მესხეთი".

**68.** 2:0 - მელქაძის პასით გელაშვილმა ანგარიში გაზარდა.

**82.** ბეჭვაიას დარტყმული სომხიშვილმა მოიგერია.

**86.** 3:0 - შეცვლაზე შესულმა ლუქაშვილმა საბოლოო ანგარიში დააფიქსირა.

წყვილში ფავორიტად "ვიტ ჯორჯია" იყო მიჩნეული, მაგრამ „მესხეთმა" წლეულს არაერთი სენსაცია შემოგვთავაზა და არ იყო გამორიცხული მცხეთიდანაც წაელო ქულები, თუმცა სტუმრები ბოლოს არბიტრის სუბიექტურობაზე ჩიოდნენ. **ურუშაძემ** ჯერ **თაყაძე** გააძევა მოედნიდან გინებისთვის, თუმცა გაოგნებულმა თაყაძემ ყველას გასაგონად არბიტრს მიმართა – შვილს ვფიცავარ თუ შემეგინებინოსო... მერე კი საქმეს რომ ვერაფრით უშველა მართლა მიაყენა არბიტრს სიტყვიერი შეურაცხყოფა. 37-ე წუთზე კი პენალტი დანიშნა სტუმართა კარში, რომელიც ასევე გახდა დავის საგანი. პენალტი ვახსენეთ და აქვე გეტყვით, რომ "ვიტ ჯორჯიამ" იმ დღეს ორი თერთმეტრმეტრიანი ვერ გამოიყენა.

კაცნაკლულმა, კლასითა და შემადგენლობით უფრო სუსტმა "მესხეთმა" მასპინძლებს წინააღმდეგობა ველარ გაუწია და მეორე ტაიმში კიდევ ორი გოლი გაუშვა. თუმცა მასპინძლები მეტსაც გაიტანდნენ, მეკარე სომხიშვილს რამდენიმე უძნელესი ბურთი რომ არ აელო. ახალციხელებს დიდი ანგარიშით რომ არ წაეგოთ, სომხიშვილი ალბათ, ტურის სიმბოლურ ნაკრებშიც მოხვდებოდა.

**დავით ცაბაძე**
მცხეთა-თბილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბათუმს სამი ქულა, ბაციკაძეს ტელევიზორი

**ბათუმი-ლოკომოტივი**

**1:0**

01.12. ბათუმი. ადლი
450 მაყურებელი

1:0 ბაციკაძე (90. დარჩიძის პასით)

ბათუმი: თოთლაძე (49. მამინაშვილი) — კუნჭულია, გალოგრე, თედორაძე, მარკარიანი — ოქრუაშვილი, ცანავა (46. ბაციკაძე), კ. მახარაძე, დარჩიძე, ბეჟანიძე (46. დემურაძე) — კაკალაძე.

*სათადარიგოები:* ლ. მახარაძე, ბაჯელიძე, ტულუში.

ლოკომოტივი: გვარამაძე — ფოფხაძე, გუშარაშვილი, ლ. ჩაგელიშვილი (82. კვახაძე), ხოხონიშვილი — ჟღენტი, მალიჩავა, ბარბაქაძე (46. ბობოხიძე), გულორდავა, სამხარაძე, — იმედაძე (62. დ. ჩაგელიშვილი).

*სათადარიგოები:* მიგინეიშვილი, ლალაძე, ქუხილავა, მიქაძე.

გაფრთხილება: გუშარაშვილი (19), გალოგრე (20), ოქრუაშვილი (49), ხოხონიშვილი (60), ბაციკაძე (90)

გაძევება: ხოხონიშვილი (89)

არბიტრი: ლ. კვარაცხელია

**1.** ოქრუაშვილის შორეული დარტყმა მცირე მანძილით სცდება გვარამაძის კარს.

**5.** მახარაძის დარტყმული გვარამაძემ მოიგერია.

**40.** გამჭოლი გადაცემა საჯარიმოში და დარჩიძემ გატანის ჩინებული შანსი გაუშვა ხელიდან.

**45.** ამჯერად გოლს მასპინძლები გადაურჩნენ - ბარბაქაძის ახლოდან დარტყმული თოთლაძემ მოიგერია.

**47.** შეცვლაზე შემოსული ბაციკაძე ბურთთან პირველივე შეხებას კარში დარტყმით ასრულებს.

**49.** თოთლაძემ ტრავმა მიიღო. კარში მამინაშვილი ჩადგა.

**75.** „ლოკომოტივი" გადარჩა კაკალაძის დარტყმის მერე.

**79.** დავით ჩაგელიშვილის დარტყმას მამინაშვილი იგერიებს.

**89.** ორი ყვითელი ბარათის მიღებისთვის ხოხონიშვილს მოედანი დაატოვებინეს.

**90+3.** 1:0 - დარჩიძის პასი, ბაციკაძის დარტყმა და ნანატრი სამი ქულა.

**დარჩიძემ** მეტოქის საჯარიმოს სიახლოვეს მიიღო ბურთი, ერთი შეხებით **ბაციკაძეს** გადააწოდა, მანაც არ დააყოვნა და... გვარამაძემ მხოლოდ თვალი გააყოლა ბურთს - 1:0. „ბათუმმა" მიმდინარე ჩემპიონატში პირველი გამარჯვება მოიპოვა. მთელი გუნდი მოედანზე შეიჭრა, უდიდესმა ემოციამ ამოხეთქა. ყველაფერი ეს მატჩის მიწურულს, მსაჯის მიერ დამატებულ მესამე წუთზე მოხდა, მანამდე კი...

სტადიონზე მოსულმა გულშემატკივარმა გოლამდე გვარიანად ინერვიულა. აქვე გეტყვით იმასაც, რომ **ბადრი პატარკაციშვილის** საარჩევნო შტაბი ბათუმელთაგან პირველი გოლის გამტანს სიურპრიზს ჰპირდებოდა. სიურპრიზი კი ტელევიზორი აღმოჩნდა, რომელიც **ბაციკაძეს** გადაეცემა. თუმცა ფაქტია, რომ ტელევიზორზე მეტად გუნდს სამი ქულა სჭირდებოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში ისედაც სავალალო მდგომარეობას კიდევ უფრო დაამძიმებდა. სწორედ ამიტომ იყო, მსაჯის სასტვენისთანავე მასპინძლები იერიშზე რომ გადავიდნენ და პირველივე წუთზე **ოქრუაშვილმა** მოსინჯა **გვარამაძის** სიფხიზლე.

5 წუთში უკვე **კახა მახარაძემ** დაარტყა შორიდან და გვარამაძეს მოუხდა თამაშში ჩართვა. „ლოკომოტივმა" „ბათუმის" პირველ შემოტევას გაუძლო და თამაში თანდათან გაათანაბრა. შემდგომი 30 წუთიც ძირითადად ორმხრივ იერიშებში გავიდა, თუმცა ორივე გუნდის მცველები საკმაოდ კარგად ირჯებოდნენ და მეტოქეს საგოლე მომენტის შექმნის საშუალებას არ აძლევდნენ. ვითარება ტაიმის ბოლოს შეიცვალა - მე-40 წუთზე კაკალაძემ მახვილი კუთხიდან კარში დარტყმა სცადა, თუმცა გამჭოლი გადაცემა უფრო გამოუვიდა, მეკარის მოედანზე მყოფი დარჩიძე ამას არ ელოდა და მომენტიც დაიკარგა.

მეორე ტაიმში ორივე მწვრთნელმა ტაქტიკურ ცვლილებებს მიმართა და შემტევი ხაზი გააძლიერა. **გიორგი კიკნაძემ** მოედანზე **ბობოხიძე** შეუშვა, **კუნჭულიამ** კი კაკალაძეს **ბაციკაძე** შეუწყვილა, რომელმაც ბურთთან პირველივე შეხება კარში დარტყმად აქცია. გვარამაძე ამჯერადაც ფხიზლად იყო. აშკარაა, ბათუმელთა ახალგაზრდა ფორვარდს დიდი პოტენციალი გააჩნია, კარგად არჩევდა პოზიციას, არც შავი სამუშაოს შესრულებას თაკილობდა.



აუტსაიდერთა ბრძოლაში ბათუმმა გაიმარჯვა

პირველ ტაიმში ხომ თოთლაძემ გადაარჩინა მასპინძლები გოლს, მეორეში ამის გაკეთება მის შემცვლელ მამინაშვილს მოუწია - პირისპირ გასული დავით ჩაგელიშვილის დარტყმულის მოგერიება ბათუმელთა კარის დარაჯმა ფეხით შეძლო. მცველები წინ იყვნენ წაწეულები და ჩაგელიშვილსაც ამიტომ მიეცა თავისუფლად გადაადგილების საშუალება. მატჩის ბოლოს კი იყო გოლი. კარგა ხნის ლოდინის შემდეგ, პირველი სამი ქულა მოპოვებულია. თუკი ბათუმელები „მესხეთთანაც" შეძლებენ სამი ქულის მოპოვებას, სატურნირო ცხრილში მდგომარეობას შედარებით გაიუმჯობესებენ.

**ირაკლი დარცმელიძე**
ბათუმიდან
გურამ ტურაშვილის ფოტო

# სიონს ქარყინვაში ლოლოები მოაკლეს

**მერანი-სიონი**

**1:1**

02.12. თბილისი. მერანი
100 მაყურებელი

0:1 ჩასემი (39), 1:1 ოქროპირიძე (ს.კ. 47)

გამოუყენებელი პენალტი: ლოლაძემ (78)

მერანი: თევდორაძე - ლოლაძე, გიგაური, კობიაშვილი (60. ავალიანი), სალარიძე - ჯანგიძე, კობერიძე, ტყეშელაშვილი, ლომაშვილი (46. კალაძე), კ. დეისაძე (70. ი. დეისაძე) - ჟღენტი

*სათადარიგოები:* სეფიაშვილი, ფურთუხია, გოჩაშვილი

სიონი: ბობლიაშვილი - ქურასბედიანი (46. რაქვიაშვილი), სვანიძე, ბოიომო, ვაშაკიძე - სანიკიძე, კვიტაიშვილი, ბაჯელიძე, ოქროპირიძე (63. ქარდავა), ნადირაძე - ჩასემი (76. ქუთათელაძე)

*სათადარიგოები:* იაშვილი, ქუცურუა, ევოჩე, მენთეშაშვილი

გაფრთხილება: სვანიძე (79)

არბიტრი: ლ.ფანიაშვილი

**21.** კობერიძე მარცხნიდან გაიჭრა კარგ პოზიციაზე და ოდნავ მახვილი კუთხიდან ოდნავ ააცილა „სიონის" კარს.

**31.** სიონელმა ერიკ რომეო ჩასემმა საშუალო დისტანციიდან ვერ გაისწორა მიზანი.

**36.** კობა დეისაძეს შეეძლო გოლის გატანა, მაგრამ ახლოდან ვერ დაუმიზნა ბოლნისელთა კარს.

**39.** 0:1 - თენგიზ კობიაშვილის შეცდომით კარგად ისარგებლა ჩასემმა და რევაზ თევდორაძეს მოხდენილად გადაუგდო ბურთი.

**47.** 1:1 - ბექა ჟღენტმა ფლანგური ჯარიმა ჩააწოდა, გიორგი ოქროპირიძემ თავით სცადა ბურთის მოგერიება, თუმცა საკუთარ კარში ჩაეჭრა.

**49.** დავით სვანიძის შორეული ჯარიმა „მერანის" კარის ხარიხამ აისხლიტა.

**56.** ჩასემი კარგად დაუსხლტა მეტოქეს, მაგრამ მეკარესთან მიახლოებას მოერიდა, ისევ ბურთის თავზე გადაგდება მოუნდომა რევაზ თევდორაძეს, მაგრამ მერანელთა მეკარე ბურთს შესწვდა და კუთხურზე მოიგერია ის.

**78.** მერანელთა მწვავე შეტევას ბექა ჟღენტის დარტყმა მოჰყვა, ბურთს დავით სვანიძის ხელი გადაეღობა და პენალტი - გიორგი ლოლაძემ ბურთი კარს ააცილა

ავტოგოლი, გაფუჭებული პენალტი, ორმოცდაათიოდე მაყურებელი, ქარყინვა და მატჩი ლოგიკური შედეგით - ქულა ორივე გუნდზე ალალი იყო, თუმცა **გიორგი ლოლაძეს** თერთმეტმეტრიანი რომ გაეტანა, „სიონს" ძალიან გაუჭირდებოდა თამაშის შემობრუნება.

ბოლნისელები პირველ ტაიმში მცირე უპირატესობას ფლობდნენ. აქტიური იყო კამერუნელი **ჩასემი,** მაგრამ აფრიკელი შეტევაში მაინც მარტოდ გრძნობდა თავს - „სიონი" წინ დიდი ძალებით წასვლას მაინც ერიდებოდა.

მწყობრი შეტევები არ გამოსდიოდა „მერანს", თუმცა რამდენჯერმე მაინც დაემუქრა „სიონს" და **მიხეილ კობერიძეს** და **კობა დეისაძეს** მომენტები რომ გამოეყენებინათ, ვინ იცის, როგორც დატრიალდებოდა ყველაფერი.

ჩასემის გოლით დაწინაურებული „სიონი" თავს თითქოს არხეინად გრძნოდა, მშვიდად თამაშობდა, თითქოს დაავიწყდა, რომ ერთბურთიანი ფორა გლუვი უპირატესობაა.

მეორე ტაიმი დაიწყო თუ არა, „მერანმა" ანგარიში გაათანაბა და „სიონი" პასუხისთვის გაიქაჩა, რამდენიმე მწვავე იერიში მიიტანა მასპინძელთა კართან.

მერე კი თანდთან განელდა ბოლნისელთა მუხტი , „მერანისამ" კი პირიქით - მოიმატა. მასპინძელთაგან **ბექა ჟღენტი** გამოირჩეოდა, კარგად ჩაერთო თამაშში შეცვლაზე შესული **იაგო დეისაძეც,** მაგრამ „სიონი" მარცხისგან გიორგი ლოლაძის გაფუჭებულმა თერთმეტმეტრიანმა იხსნა.

**დავით თაპართქილაძე**

ფოლქსვაგენის თასი

გორის, თენგიზ ბურჯანაძის სახელობის სტადიონი

9 დეკემბერი
2007

ოლიმპი
ამერი

pfl.ge

დასაწყისი: 13:00

ფოლქსვაგენი
VOLKSWAGEN
ჯეოსელი
GEOCELL
აქსისი
დეველოპერული კომპანია
საქართველოს ბანკი
BANK OF GEORGIA

საინფორმაციო მხარდაჭერა

106.9 FM FORTUNA
ფორტუნა
სარბიელი
ოლიმპი

გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბრძოლა სიცივისა და ერთმანეთის წინააღმდეგ

**სპარტაკი-ოლიმპი**

**0:2**

01.12. გორი. ქართლი
50 მაყურებელი

0:1 ორბელაძე (44. გენაძის პასით), 0:2 ჯიქია (68. ნავალოვსკის პასით)

სპარტაკი: ქვილითაია - ბახტურიძე, ხაჭიპერაძე, ქემოკლიძე, ავალიანი - მამუკაშვილი, ჩირიკაშვილი, თარხნიშვილი (85. ივანაშვილი), ძარია (78. კუპრეიშვილი), გოგოხია (63. დარბაიძე) - ჯანელიძე

*სათადარიგოები: კოდალაევი, თექთუმანიძე, ტატაევი, დათუნაიშვილი*

ოლიმპი: მერლანი - ორბელაძე, აკუასაგა, ნავალოვსკი (78. კოშკაძე), მახვილაძე - დევდარიანი (85. მგელაძე), კახელიშვილი, სილაგაძე, გენაძე - ჯიქია, დვალიშვილი (71. ქებაძე)

*სათადარიგოები: ალავიძე, ჩივაძე, მოდებაძე, ყრუაშვილი*

გაფრთხილება: მამუკაშვილი (85)

არბიტრი: ა. კრიჭაშვილი

**38.** კარიდან ორიოდ მეტრში ზურგით მდგარმა დვალიშვილმა სუსტად დაარტყა და ქვილითაიას არ გაუჭირდა ბურთის დაჭერა.

**44.** 0:1 - რევაზ გენაძის კუთხურიდან მოწოდებულ ბურთს ორბელაძე თავით გზავნის კარში.

**60.** ჯანელიძემ ვერ გამოიყენა კარგი მომენტი.

**68.** 0:2 - კახელიშვილის კარის გასწვრის ჩაწოდებულს დვალიშვილი ვერ შეწვდა, პირითი ხაზიდან ბურთი ნავალოვსკიმ თერთმეტმეტრიანის ნიშნულთან დააბრუნა, სადაც ჯიქიამ მოიგდო და აუღებელი დაურტყა ქვილითაიას.

**85.** ქვილითაიამ სილაგაძის დარტყმის მერე გოლისაგან იხსნა კარი.

„სპარტაკი" ისეთივე საშინაო ცხოვრებას ეწევა, როგორც დევნილს შეეფერება - გუნდი ცხინვალისაა, თბილისში ვარჯიშობს და გორში „თენგიზ ბურჯანაძეზე" თამაშობს, მაგრამ ვინაიდან ამ სტადიონზე რამდენიმე დღეში სუპერთასის მატჩია გასამართი, მოედნის საფარი რომ არ დაზიანდეს, პირველ წრეში დარჩენილ ორივე საშინაო შეხვედრას ცხინვალელები „ქართლზე" გამართავენ.

რუსთაველებმა მეტოქეს თამაშით ისე ვერ აჯობეს, ნეიტრალურ მაყურებელს დაფიქსირებული ანგარიშისთვის გარჯის შესაბამისი რომ დაერქმია, თუმცა „ოლიმპმა" მოიგო და ალბათ, პირველ ყოვლისა გამოცდილების ხარჯზე, რადგან კლასით მოწინააღმდეგეთა შორის დიდი სხვაობა არ ჩანდა. სტუმარ-მასპინძელს ენერგიული მოძრაობა არა მხოლოდ ერთმანეთის, სიცივესთან ბრძოლისთვისაც სჭირდებოდათ. **კობა ჟორჟიკაშვილის** შეგირდებს მოედანზე დაუზარელი მოქმედება ახასიათებთ, ამიტომაც ნომინალური მასპინძლები ამ მატჩშიც ენერგიულად მოძრაობდნენ და ღირსეულ წინააღმდეგობას უწევდნენ ჩემპიონს. თავის მხრივ პირველი ხიფათი **ვლადიმერ დვალიშვილმა** შექმნა მე-2 წუთზე. საერთოდ, მან ამ მომენტშიც და შემდგომაც სახეირო მომენტების რეალიზაციით ვერ გამოიჩინა თავი. ეს ყველაზე უკეთ **რევაზ ჯიქიას** გამოუვიდა. ტანმაღალი რუსთაველი ფეხბურთელი ახალგაზრდა ცხინვალელებს კლასით და საკუთარი ფიზიკური კონდიციების წყალობითაც ჯაბნიდა და არაერთხელ გამოიყენა ეს უპირატესობა, თუმცა მისი გოლად გარდასახვა ერთხელ მოახერხა. ისე კი ამ მატჩში ვინმეს ფიზიკურ შესაძლებლობებზე თუ ჩამოვარდა საუბარი, შეუძლებელია არ აღინიშნოს დაუღალავი და გაუვალი გაბონელი მცველი **ერნესტ აკუასაგა**. ისე ლაღად გრძნობდა თავს იმდღევანდელ სიცივეში, თითქოს აფრიკულ სიცხეში თამაშობდა.

მეტოქის კარის ასაღებად კი „სპარტაკი" მხოლოდ ერთი გამოკვეთილი თავდამსხელის **დავით ჯანელიძის** ჩაუქრობის იმედად არ ყოფილა, მოწინააღმდეგე მცველები **ნუკრი გოგოხიამაც** გვარიანად შეაწუხა და **ჩირიკაშვილმაც** ტრადიციულად არაერთხელ სცადა შორიდან გატანა. თითქოს პირველი ტაიმი ფრედ უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ „ოლიმპი" ამას არ დათანხმდა და კუთხურის სახით გამოხატული ერთ-ერთი ბოლო იერიში, რომელის დროსაც **მირზა მერლანის** გარდა ყველა ფეხბურთელი „სპარტაკის" საჯარიმოში შეგროვილიყო, გოლით დასრულდა.

ცხინვალელებმა შესვენების შემდგომ სათამაშო აგრესიის გამოხატვასაც მიჰყვეს ხელი. საწყისი 15-20 წუთი ტერიტორიული უპირატესობაც იგდეს ხელთ, ჯანელიძემ ინდივიდუალური შესაძლებლობების ჩვენებაც შეძლო. **ირაკლი ძარიაც** უქმნიდა პრობლემებს მეტოქეს, თუმცა ხასიათის გაფუჭებას გადაურჩა **ანატოლი პისკოვეცკი**, სამაგიეროდ ჯიქიას გოლმა ხასიათი ჟორჟიკაშვილს გაუფუჭა. მეორე გოლმა „ოლიმპს" თავდაჯერებულობა კიდევ უფრო შემატა, ხოლო ხელმოცარულ მასპინძლებს გული გაუტყდათ, რამაც ანგარიშის შემცირებისათვის ბრძოლის ჟინიც მოუკლა.

**მატჩის რჩეული**

**რევაზ ჯიქია**

**მოწინააღმდეგის მეკარისა და მცველების ყველაზე დიდი შემწუხებელი სწორედ ის იყო. მისმა ფიზიკურმა მომზადებამ და ტექნიკურმა არსენალმა ბევრის საშუალება მისცა.**

ვასილ ბალახაძე
გორიდან



ხუციშვილის პენალტი - 2:0

# ხუციშვილისა და მერებაშვილის დილა

**დინამო-დილა**

**5:0**

02.12. თბილისი. ეროვნული
300 მაყურებელი

1:0 მერებაშვილი (22. ხმალაძის პასით), 2:0 ხუციშვილი (30. პენ), 3:0 მერებაშვილი (53. ოდიკაძის პასით), 4:0 ხუციშვილი (63. ოდიკაძის პასით), 5:0 ხუციშვილი (90. დილმელაშვილის პასით)

დინამო: ოვონო – შ. კაშია, (85. გ. კაშია) ზელიჩი, კრშკო, დობეში – ოდიკაძე, ხმალაძე, დილმელაშვილი, მერებაშვილი (65. კობახიძე) – ხუციშვილი, აკირემი (60. სპასოევიჩი).

*სათადარიგოები: გრიშიკაშვილი, თომაშვილი, ფეიქრიშვილი, ფირცხალავა.*

დილა: კეჩხუაშვილი – გ. ბალაშვილი, ლაცაბიძე, დ. ხანიშვილი, ბალიაშვილი – სადალაშვილი (57. კურტანიძე), ნოზაძე (62. ტლაშაძე), შატაკიშვილი, სულთანიშვილი, ბ. ჩიტაია – სამადაშვილი (68. უვადიეგვუ).

*სათადარიგოები: ილურიძე, ლომიძე, მასურაშვილი, იჩქითი.*

არბიტრი: გ. დოგრაშვილი

15. მერებაშვილის მიერ ოსტატურად შესრულებულ საჯარიმო დარტყმას სტუმართა მეკარე გადაეფარა.

21. ოდიკაძის კარგი პასით მერებაშვილი ხელსაყრელ პოზიციაზე აღმოჩნდა, მაგრამ არაზუსტად დაარტყა.

22. 1:0 - ხმალაძის პასს მერებაშვილმა ოსტატური დარტყმა მიაყოლა.

30. 2:0 - მერებაშვილის მიერ მოპოვებული პენალტი ხუციშვილმა ზუსტად შეასრულა.

53. 3:0 - ოდიკაძის ჩინებული პასით მერებაშვილმა დუბლი მიითვალა.

63. 4:0 - ოდიკაძის კარგი გადაცემა ხუციშვილმა შეირგო.

90. გორელებს პრესტიჟის გოლის გატანის ჩინებული შანსი ჰქონდათ. შატაკიშვილის დარტყმულს ოვონო გადაეფარა, ასხლეტილი ბურთი დობეშს მოხვდა და კარში წავიდა. თუმცა მცველმა ბურთი კარის ხაზიდან მოიგერია, რომელიც ისევ შატაკიშვილს მიუვიდა, მაგრამ მისი დარტყმული კარს აცდა.

90. 5:0 - საგოლე მომენტის გამოუყენებლობის გამო სტუმრები დაისაჯნენ. დილმელაშვილის პასით ხუციშვილმა ჰეთ-თრიკი შეასრულა.

შაბათს "ზესტაფონმა" მოიგო და **დუშან უჰრინის** გუნდს ეს თამაში უცილობლად უნდა მოეგო ლიდერთან ჩამორჩენა რომ არ გაეზარდა. მასპინძლებმა თავისი უპირატესობა სრულად გამოიყენეს. **დიდიე ოვონოს** მხოლოდ ორჯერ მოუწია თამაშში ჩართვა. მატჩის მიწურულს სტუმრებს გოლის გატანის ჩინებული შესაძლებლობა მიეცათ, მაგრამ გამოცდილმა **შატაკიშვილმა** მომენტი ვერ გამოიყენა. აღსანიშნავია ისიც, რომ ოვონოსა და აკირემს ტრიბუნიდან **ჩასემი, ბოიომო, კესანი** და **ტორესი** შიგადაშიგ კომპლიმენტებს უძღვნიდნენ ხოლმე.

გუშინ „დინამოს" „ზესტაფონთან" პრინციპული მატჩის წინ ჩინებული რეპეტიცია ჰქონდა. ჩვენი ინფორმაციით, 6 დეკემბრის მატჩს ზესტაფონოდან სულ მცირე 1000 გულშემატკივარი დაესწრება, რაც მატჩს უდაოდ შემატებს ხიბლს.

დავით ცაგაძე

# ძნელად მოპოვებული გამარჯვება

**ბორჯომი-მგლები**

**4:3**

02.12. ბორჯომი. ჯ. ზეინკლიშვილი
500 მაყურებელი

1:0 შ. ჯიქია (6. მემარნიშვილის პასით), 2:0 ყველაშვილი (12), 2:1 ჭედია (59. კაკაბაძის პასით), 3:1 ქარჩუზაშვილი (72. ყველაშვლის პასით), 3:2 კუტალია (82. ჭკადუას პასით), 3:3 კუტალია (86. ჭკადუას პასით), 4:3 თედიაშვილი (87. შ. ჯიქიას პასით)

ბორჯომი: გლუნჩაძე, ქარჩუზაშვილი, მერებაშვილი, ჭელიძე (46. თედიაშვილი), ლომიძე, კ. ხანიშვილი (76. ნასყიდაშვილი), მემარნიშვილი, ნერგაძე, დევიძე (52. გოგიჩაიშვილი), შ. ჯიქია, ყველაშვილი

*სათადარიგოები: შეყრილაძე, ლონდაძე, გრიგალაშვილი*

მგლები: ივარდავა, ქომეთიანი, ხუხია, მაჭავარიანი, კაკაბაძე, ქირია (77. ჭკადუა), ჯოჯუა, ხუბუა (46. გაბედავა), წურწუმია, ბაკარანძე (69. კუტალია), ჭედია

*სათადარიგოები: ჭითანავა, ლიპარტია*

გაფრთხილება: დევიძე (37)

არბიტრი: გ. ვადაჭკორია

**6.** 1:0 - მარცხენა ფლანგიდან მემარნიშვილმა ჩააწოდა და მეკარის მოედნის წინ მდგომმა ჯიქიამ დასწრებაზე ითამაშა კარგად.

**12.** 2:0 - ივარდავამ ბურთი თავის მცველს მიაწოდა, რომელსაც ის ფეხებში აებლანდა, რითაც ისარგებლა ყველაშვილმა.

**26.** ისევ ყველაშვილს მიეცა გატანის შანსი, მაგრამ მისი დარტყმული აცდა კარს.

**35.** შოთა ჯიქია 5 მეტრიდან აცილებს.

**41.** წურწუმია ყველასთვის მოულოდნელად შეიჭრა საჯარიმოში, მეკარეს აართვა ბურთი და 2 მეტრში მდგომს ნამდვილად მართებდა გატანა, თუმცა მოულოდნელად ბურთს ქარჩუზაშვილი გადაელობა და თავისიანები გოლს გადაარჩინა.

**59.** 2:1 - კაკაბაძე აწვდის ჯარიმას, ბურთზე ყველაზე ადრე გადის ჭედია და თავით ახლო მანძილიდან გააქვს.

**72.** 3:1 - ქარჩუზაშვილი შეიჭრა საჯარიმოში კედელი გაითამაშა ყველაშვილთან და მარჯვენა დაბალ კუთხეში გაუტანა ივარდავას.

**82.** 3:2 - კუტალიას დარტყმულს მეკარე იგერიებს, დამატებაზე ისევ კუტალიას გააქვს.

**86.** 3:3 - ჭკადუას გადაცემის მერე ისევ კუტალიას გააქვს გოლი.

**87.** 4:3 - სამსვლიანი კომბინაციის შემდეგ თედიაშვილი შევიდა საჯარიმოში საბოლოო ანგარიში დააფიქსირა.

მიუხედავად საკმაო თოვლისა, ბორჯომის სტადიონის პერსონალის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მინდორი თითქმის იდეალურ მდგომარეობაში დაახვედრეს შეხვედრის მონაწილეებს. სტუმართა მწვრთნელმა **შეროზიამ** ძირითადში დააბრუნა **ბაკარანძე**, რაც შეეხება მასპინძლებს, **ხაჩიძემ** თავს „ფუფუნების" უფლება მისცა და ძირითადის სამი უცვლელი ფეხბურთელი **გრიგალაშვილი, შეყრილაძე** და **ლონდაძე** დაასვენა.

ამის მიუხედავად მასპინძლებმა მალევე გაიხარეს. მე-6 წუთზე ფლანგური შეტევისას **შოთა ჯიქიამ** გახსნა ანგარიში, რასაც მალე ზუგდიდელი მცველის „ხელშეწყობით" **ყველაშვილის** გოლიც მოყვა. ამის მერე სტუმრები გააქტიურდნენ და მალე ორი კარგი იერიშიც განახორციელეს. პირველ შემთხვევაში ბორჯომელთა ახალგაზრდა მეკარემ იყოჩაღა, მეორე მომენტისას კი მასპინძლებს ძელი დაეხმარა.

მეორე ტაიმის დასაწყისში საინტერესო ბურთაობა გაჩაღდა ჯერ ყველაშვილს ჰქონდა ორი კარგი მომენტი, მაგრამ ვერ გამოიყენა. შემდეგ კი სტუმართა ჯერი დადგა - **კაკაბაძის** ჯარიმისას **ჭედიამ** დაასწრო მცველებს და ერთი გოლი გაქვითა, რითაც თამაშს ინტრიგა დაუბრუნა. 70-ე წუთზე სტუმრებს მართებდათ გათანაბრება, თუმცა **კუტალიას** დარტყმა ოდნავ აცდა მიზანს. მან მაინც გაიტანა, თანაც ორჯერ, მაგრამ ამით თანაგუნდელებს ვერ უშველა. საბოლოო შედეგი მასპინძელმა თედიაშვილისმა დააფიქსირა.

**მატჩის შემდეგ**

**ბესიკ შეროზია (მეგლები):** *„ტრავმების გამო რამდენიმე ფეხბურთელ გვაკლდა. ახალგაზრდული გუნდით რაც შეგვეძლო ვიბრძოლეთ და ვფიქრობ, ცუდად არ გვითამაშია. მეორე წრეში ალბათ უფრო გავძლიერდებით და ჩვენ დასახულ მიზანს მივაღწევთ".*

**ვლადიმერ ხაჩიძე (ბორჯომი):** *„ჩვენც გვაკლდა წითლების გამო ხალხი. თავიდან კარგად დავიწყეთ. შემდეგ მოვეშვით და კინაღამ დავისაჯეთ, თუმცა კარგია, რომ საბოლოოდ მაინც შევძელით გამარჯვება."*

**რჩეული**

**ამირან ყველაშვილი**

მატჩში მართლაც გამორჩეული იყო. გაიტანა გოლი, გააკეთა საგოლე გადაცემა და რამდენჯერმე გატანა კიდევ შეეძლო.

მერაბ ბრძელიძე
ბორჯომიდან

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ზესტაფონი | 12 | 11 | 1 | 0 | 26-4 | 34 |
| 2. დინამო | 12 | 11 | 0 | 1 | 33-4 | 33 |
| 3. ვიტ ჯორჯია | 12 | 9 | 1 | 2 | 22-8 | 28 |
| 4. ბორჯომი | 12 | 7 | 3 | 2 | 17-9 | 24 |
| 5. ოლიმპი | 12 | 7 | 2 | 3 | 13-8 | 23 |
| 6. ამერი | 12 | 7 | 0 | 5 | 21-13 | 21 |
| 7. მესხეთი | 12 | 5 | 2 | 5 | 13-16 | 17 |
| 8. მგლები | 12 | 5 | 0 | 7 | 13-16 | 15 |
| 9. სიონი | 12 | 3 | 3 | 6 | 13-16 | 12 |
| 10. ლოკომოტივი | 12 | 3 | 0 | 9 | 8-19 | 9 |
| 11. სპარტაკი | 12 | 2 | 3 | 7 | 3-14 | 9 |
| 12. მერანი | 12 | 2 | 1 | 9 | 6-23 | 7 |
| 13. დილა | 12 | 1 | 3 | 8 | 7-23 | 6 |
| 14. ბათუმი | 12 | 1 | 1 | 10 | 4-26 | 4 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ხუციშვილი (დინამო) | 9 |
| გ. მერებაშვილი (დინამო) | 8 |
| გ. ნოდ. ჭელიძე (ზესტაფონი) | 8 |
| გელაშვილი (ვიტ ჯორჯია) | 7 |
| აკირემი (დინამო) | 6 |
| სპასოევიჩი (დინამო) | 6 |
| რ. ჯიქია (ოლიმპი) | 6 |
| ჭედია (მგლები) | 6 |
| შ. ჯიქია (ბორჯომი) | 6 |
| ტატანაშვილი (ამერი) | 5 |

**მომდევნო ტური**

| | |
|---|---|
| **5 დეკემბერი. ოთხშაბათი** | |
| 14:00 | ბორჯომი-ოლიმპი |
| 14:00 | ბათუმი-მესხეთი |
| 14:00 | ამერი-ვიტ ჯორჯია |
| 14:00 | სპარტაკი-ლოკომოტივი |
| **6 დეკემბერი. ხუთშაბათი** | |
| 14:00 | სიონი-მგლები |
| 14:00 | მერანი-დილა |
| 14:00 | დინამო-ზესტაფონი |

# ქართული ფეხბურთი ახალ სკანდალში?

ქართულ ფეხბურთს კიდევ ერთი სკანდალი ელის - საქმე ისევ გარიგებულ მატჩებს ეხება. „შპიგელი" იუწყება, რომ უეფა იწყებს ახალ გამოძიებას, რომელიც ევროთასების 29 მატჩს შეეხება, რომელთაგანაც ყველაზე ადრეული 2005 წლის შეხვედრაა. გერმანული ჟურნალის მტკიცებით საქმე უმთავრესად აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების კლუბებს შეეხება, მათ შორის კი კონკრეტულად ბულგარეთი, საქართველო, სერბეთი, ხორვატია და ბალტიის ქვეყნები დასახელდა. უეფამ უკვე გადასცა 96-გვერდიანი დოსიე ევროპოლიციას, საქმეში აზიური სათამაშო ბიზნესის მაფიაც ჩანს გარეული. ევროპოლი იძიებს სხვა საკითხებსაც, რომელიც ტოტალიზატორების მეშვეობით პროსტიტუციით, იარაღის გაყიდვით და ნარკოტიკებით ნაშოვნი ფულის გათეთრებას ეხება.

სხვა ცნობებით, საუბარია არა 29, არამედ 15 მატჩზე, თუმცა სამწუხარო ისაა, რომ ამ შემთხვევაშიც მოხსენიებულია საქართველო. უეფას წარმომადგენელმა **ტომას ჯორდანომ** „ჩენელ 4"-ს განუცხადა: *„ჩვენ გვაქვს გამაფრთხილებელი სისტემა აწყობილი, როცა საბუკმეკერო კომპანიები რაიმე საეჭვოს ამჩნევენ რომელიმე მატჩთან დაკავშირებით, ისინი ამის შესახებ ჩვენ გვატყობინებენ. ეს არის ერთობლივი გამოძიება ჩვენი და ევროპოლის სადისციპლინო კომიტეტისა. ევროპოლს ჩვენზე მეტი ძალაუფლება აქვს, ხალხის დაკითხვის და ინფორმაციების შეგროვების კუთხით".*

გუშინ უეფას პრეზიდენტმა **მიშელ პლატინიმაც** დაასატურა, რომ გამოძიება დაწყებულია. *„უეფა და ევროპოლი ერთობლივად იძიებს 15 მატჩის საკითხს. ამის შესახებ ევროკავშირთან სერიოზული დისკუსიები გვქონდა 28 და 29 ნოემბრის ბრიუსელის კონგრესზე. მე მიყვარს ფეხბურთი და ყველაფერს გავაკეთებ მის დასაცავად".* როგორც ჩანს, საბოლოოდ მხოლოდ 15 მატჩზე კეთდება აქცენტი, რომელიც წლევანდელი სეზონისაა. უეფას სპეციალური განაცხადის თანახმად მათში ერთიც არაა ევრო-2008 წლის საკვალიფიკაციო შეხვედრა. როგორც ჩანს, ამ მატჩებზე ფსონების მაქინაციით აზიურმა სინდიკატმა მილიონობით დოლარი იშოვნა. ინგლისური „თაიმსი" იხსენებს 2004 წლის უეფას თასის მატჩს თბილისის „დინამოსა" და ბერძნულ „პანიონიოსს" შორის, რომელიც ბერძენთა გამარჯვებით 5:2 დასრულდა. მაშინ ამ შეხვედრამ საბუკმეკერო კანტორებში უჩვეულოდ ბევრი ადამიანი დააინტერესა. უეფას გამოძიება არ დასრულებულა და მას საბოლოო ვერდიქტი ამ თამაშზე არ გამოუტანია - წერს „თაიმსი". თუმცა ფაქტია, რომ ახალ სკანდალს ეს მატჩი არ ეხება, რადგან საუბარია 2005 წლის და მის შემდგომ გამართულ საეჭვო მატჩებზე.

ნიკოლოზ ნეფარიძე

www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ქართული ლეგიონი

# 700: ქანქავას საიუბილეო

**ჯაბა კანკავამ** „დნიპროს" რიგით მე-700 გოლი გაიტანა უკრაინის ჩემპიონატში და ზამთრის შესვენებაზე გუნდი ლიდერად გაიყვანა. ზედიზედ მეორე კვირაა ქართული ლეგიონის უქმეების გმირი ნაკრების საყრდენი ნახევარმცველია, რომელმაც ნოემბერში ნაკრებში და კლუბში უბადლოდ ითამაშა.



ჯაბა კანკავამ (20) საიუბილეო გოლი გაიტანა

## ნაკლებად ელეგანტური, მაგრამ ეფექტური

ამ სეზონში სერია A-ში მეათედ მოირგო „მილანის" შავ-წითელი მაისური **კახა კალაძემ**, მისი გუნდი „იუვენტუსს" დაუპირისპირდა, შეხვედრაში გოლები არ გასულა - 0:0. მატჩის შემდეგ „იუვენტუსის" თავკაცმა **კლაუდიო რანიერიმ** აღნიშნა, რომ **ვინჩენცო იაკინტა ალესანდრო ნესტამ** და კახა კალაძემ პირწმინდად დაჩაგრეს. **ბუფონმა** ერთხელ კალაძის დარტყმა კუთხურზე მოიგერია. TG.COM-მა კალაძის გარჯა 6 ქულით შეაფასა: „ნაკლებად ელეგანტური იყო დაცვის ცენტრში ვიდრე მისი მეწყვილე ნესტა, თუმცა ისეთივე ეფექტური. ერთხელ **ტრეზეგე** დაუძვრა, სხვა მხრივ თავს კარგადართმევდა ამოცანას და ერთი-ორჯერ **სერჟინოც** დააზლვია მარცხენა ფლანგზე". „დატასპორტმაც" ექვსიანი დაუწერა ქართველ მცველს. „ლა ვოკემ" კალაძის თამაში 7,5 ქულა დაუწერა, მასზე მაღალი შეფასება მხოლოდ ნესტას ჰქონდა - 8.

## სამნახევარი ქართველებს

ბუნდესლიგის მე-15 ტურმაც წინას მსგავსად უქართველოდ ჩაიარა, **ლევან კობიაშვილი** დიდი ხანია ტრავმირებულია, **ალექსანდრე იაშვილი** კი გამოჯანმრთელდა, მაგრამ ჩვენებური მხოლოდ სათადარიგოთა სკამზე ჯდომით დააკმაყოფილეს. იაშვილის გუნდი კი სტარტზე მოპოვებულ უპირატესობას ნელნელა თმობს, „კარლსრუე" კოტბუსის „ენერგის" ესტუმრა და 0:2 დამარცხდა. „შალკემ" ლევან კობიაშვილის გარეშე 1:0 დაამარცხა „ბოხუმი". „კარლსრუეს" 26 ქულა აქვს და მეხუთე ადგილზეა, მას კვალში „შალკე" მიჰყვება 25 ქულით.

იენის „კარლ ცეისმა" მეორე გამარჯვება იზეიმა და დროებით თავი დააღწია ბოლო ადგილს, სამი ქართველი ლეგიონერის გუნდმა შინ „აუე" დაამარცხა - 2:1. **გიორგი ონიანმა** დაცვის ცენტრში, ხოლო **ილია კანდელაკმა** ნახევარდაცვის მარცხენა ფლანგზე 90-90 წუთი ითამაშეს, ონიანმა ყვითელი ბარათი მიიღო. გუშინ **მათე ღვინიანიძის** „მიუნხენმა" **დავით სირაძის** „პადერბორნს" უმასპინძლა, მატჩში გოლები არ გასულა, სირაძე საქართველოშია და მკურნალობს, მათემ 90 წუთი ითამაშა. „მიუნხენი" 25 ქულით მეექვსე ადგილზეა, „პადერბორნი" კი კვლავ დაენია „კარლ ცაისს". „შპორტალმა" სამივე ჩვენებური 3,5 ქულით შეაფასა. კვლავ სათადარიგოობას დასჯერდა **ოთარ ხიზანეიშვილი**, რომლის „ფრაიბურგი" 29 ქულით მეორე ადგილზეა.

## შაშიაშვილი უკვე მეორეა

**ზურაბ ხიზანიშვილისთვის** „ბლექბერნის" უელსელმა მწვრთნელმა **მარკ ჰიუზმა** ვერც ამჯერად გამოძებნა მატჩის განაცხადში ადგილი, „ბლექბერნმა" უმისოდ აჯობა „ნიუკასლს" 3:1. ავსტრიაში მსაჯის მიერ დამატებულ მეორე წუთზე გაიტანა „შტურმმა" გამარჯვების გოლი და „მატერსბურგი" 2:1 დაამარცხა. გრაცელთა რიგებში 90 წუთი ითამაშა **გიორგი შაშიაშვილმა**, მისი კლუბი კი 33 ქულით ავსტრიულ ბუნდესლიგაში მეორე ადგილზე გადავიდა. მეორე ბუნდესლიგაში ფეხბურთს დაუბრუნდა ტრავმამოშუშებული **მირზა ბჟალავა**, მირზამ ვენის „აუსტრიის" სამოყვარულო გუნდთან მატჩში ბოლო ნახევარი საათი ითამაშა. ლუშტენაუს „აუსტრია" კი 1:2 დამარცხდა და მესამე ადგილზე ჩამოქვეითდა. შვეიცარიაში **სანდრო იაშვილმა** მე-60 წუთამდე ითამაშა „ბაზელის" წინააღმდეგ თუმცა მის დაცვას ვერაფერი დააკლო, საბოლოოდ „თუნი" 0:2 დამარცხდა და 14 ქულით ბოლოსწინა ადგილზე დარჩა.



მილანელთაგან კალაძე ერთ-ერთი საუკეთესო იყო

## ალადაშვილს ჯაფა წყალში ჩაუყარეს

უკრაინის ვიშა ლიგა ზამთრის პაუზაზე გავიდა, მე-18 ტურში გადაიდო ლიდერ „შახტარის" მატჩი, რითაც უმალ ისარგებლა „დნიპრომ" - დონეცკში ადგილობრივი „მეტალურგი" 3:0 გაანადგურა და პირველ ადგილზე გადავიდა. სასიხარულოა, რომ ზედიზედ მეორე ტურია გოლი **ჯაბა კანკავას** გააქვს, ქართველმა ლეგიონერმა 48-ე წუთზე **სამოდინის** პასით ისარგებლა, საჯარიმოში შეიჭრა და მეკარისგან შორეულ კუთხეში გაიტანა. ამ გოლით ანგარიში 2:0 გახდა. ქართველის გოლი „დნიპროსთვის" საიუბილეო, მე-700 აღმოჩნდა უკრაინის ჩემპიონატში. ჯაბა კანკავა ძალზე აქტიური იყო, განსაკუთრებით კი მეორე ტაიმში, როდესაც ერთი-ორჯერ სახიფათოდ მოაწოდა კუთხური. სეზონში ჯაბას სამი გოლი დაუგროვდა და უკრაინაში მოთამაშე ქართველ ლეგიონერთა შორის ბომბარდირი გახდა, არადა მათი დიდი ნაწილი ფორვარდია, ჯაბა კი საყრდენი ნახევარმცველი.

**კახა ალადაშვილის** და **ოთარ მარცვალაძის** „ზაკარპატიე" უჟგოროდში დამარცხდა „მეტალისტთან" (0:1), ამით დასავლეთუკრაინული კლუბი ბოლო ადგილზე გადავიდა. მთელი მატჩის განმავლობაში აქტიურობდა კახა ალადაშვილი, მაგრამ ქართველ მარჯვენაფლანგელს შრომა წყალში ბოლო წუთზე ჩაეყარა, როდესაც სტუმრებმა უნაკლოდ შეასრულეს საჯარიმო დარტყმა. რაც შეეხება ოთარ მარცვალაძეს, ის მხოლოდ ბოლო 8 წუთით გამოჩნდა მოედანზე. სტუმართა ფორვარდი **ლაშა ჯაკობია** არ გამოჩენილა.

ახტირკაში ორი ვეტერანი ქართველი ფორვარდის გუნდი დაუპირისპირდა ერთმანეთს, **ვასილ გიგიაძის** „ნეფტიანიკი" და **გიორგი დემეტრაძის** „არსენალი". ორივეს ერთნაირი პრობლემები აქვთ, დაბალი შედეგიანობა (გიგიაძეს საერთოდ არ გაუტანია გოლი) და სასტარტოში მოხვედრის პრობლემები. გიგიაძე კვლავ სათადარიგო იყო, აი, დემეტრაძეს კი ამჯერად ენდნენ, თუმცა 55-ე წუთზე შეცვალეს. მასპინძლებმა 1:0 მოიგეს და უკანასკნელ ადგილს თავი დააღწიეს. „ზარია"-"შახტარი" გადაიდო. გუშინ **დავით კვირკველიამ** მეორე ტაიმში ითამაშა „ხარკივთან" 1:0 მოგებულ მატჩში.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

| ფეხბურთელი | მატჩი | ანგ. | შენიშვნა | სტატ. |
|---|---|---|---|---|
| **იტალია** | | | | |
| სერია A. XV ტური | | | | |
| კახა კალაძე | მილანი-იუვენტუსი | 0:0 | 90 წუთი | 10 თ. 0 გ. |
| **გერმანია** | | | | |
| ბუნდესლიგა. XV ტური | | | | |
| ლევან კობიაშვილი | შალკე-ბოხუმი | 1:0 | ტრავმა | 4 თ. 1 გ. |
| ალექსანდრე იაშვილი | ენერგი-კარლსრუე | 2:0 | სათადარიგო | 9 თ. 0 გ. |
| მეორე ბუნდესლიგა. XIV ტური | | | | |
| ილია კანდელაკი | კარლ ცაისი-აუე | 2:1 | 90 წუთი | 8 თ. 0 გ. |
| გიორგი ონიანი | კარლ ცაისი-აუე | 2:1 | 90 წუთი, გააფრთხილეს | 7 თ. 0 გ. |
| გიორგი სეთურიძე | კარლ ცაისი-აუე | 2:1 | ტრავმა | 0 თ. 0 გ. |
| ოთარ ხიზანეიშვილი | ოფენბახი-ფრაიბურგი | 0:0 | სათადარიგო | 1 თ. 0 გ. |
| დავით სირაძე | მიუნხენი-პადერბორნი | 0:0 | ტრავმა | 9 თ. 0 გ. |
| მათე ღვინიანიძე | მიუნხენი-პადერბორნი | 0:0 | 90 წუთი | 13 თ. 0 გ. |
| რეგიონალლიგა. XV ტური | | | | |
| მიხეილ საჯაია | როიტლინგენი-ბაიერნი (მ) | 2:1 | არ უთამაშია | 5 თ. 0 გ. |
| **ინგლისი** | | | | |
| პრემიერლიგა. XIV ტური | | | | |
| ზურაბ ხიზანიშვილი | ბლექბერნი-ნიუკასლი | 3:1 | არ უთამაშია | 1 თ. 0 გ. |
| **უკრაინა** | | | | |
| ვიშა ლიგა. XVIII ტური | | | | |
| დავით კვირკველია | ხარკივი-მეტალურგი ზ. | 0:1 | 45 წთ (შეცვლაზე), გააფრთხ | 18 თ. 2 გ. |
| ლაშა ჯაკობია | ზაკარპატიე-მეტალისტი | 0:1 | არ უთამაშია | 3 თ. 0 გ. |
| ვასილ გიგიაძე | ნეფტიანიკი-არსენალი | 1:0 | სათადარიგო | 13 თ. 0 გ. |
| ლადო ბურდული | ზარია-შახტარი | - | გადაიდო | 15 თ. 0 გ. |
| გიორგი ციმაკურიძე | ზარია-შახტარი | - | გადაიდო | 2 თ. 0 გ. |
| გიორგი დემეტრაძე | ნეფტიანიკი-არსენალი | 1:0 | 55 წთ. (შეცვალეს) | 16 თ. 2 გ. |
| ოთარ მარცვალაძე | ზაკარპატიე-მეტალისტი | 0:1 | 8 წთ. (შეცვლაზე) | 9 თ. 1 გ. |
| კახა ალადაშვილი | ზაკარპატიე-მეტალისტი | 0:1 | 90 წუთი | 9 თ. 0 გ. |
| ჯაბა კანკავა | მეტალურგი დ.-დნიპრო | 0:3 | 90 წუთ, 1 გოლი | 12 თ. 3 გ. |
| **ესპანეთი** | | | | |
| პრიმერა დივიზიონი. XIV ტური | | | | |
| შოთა არველაძე | ხეტაფე-ლევანტე | 2:1 | ტრავმა | 0 თ. 0 გ. |
| **შვეიცარია** | | | | |
| სუპერლიგა. XVII ტური | | | | |
| სანდრო იაშვილი | თუნი-ბაზელი | 0:2 | 60 წთ. (შეცვალეს) | 14 თ. 1 გ. |
| **ავსტრია** | | | | |
| ბუნდესლიგა. XXI ტური | | | | |
| გიორგი შაშიაშვილი | შტურმი-მატერსბურგი | 2:1 | 90 წუთი | 20 თ. 0 გ. |
| მეორე ბუნდესლიგა. XIX ტური | | | | |
| მირზა ბჟალავა | აუსტრია ვ. (მ)-აუსტრია ლ. | 2:1 | 29 წთ. (შეცვლაზე) | 4 თ. 0 გ. |
| **დანია** | | | | |
| სუპერლიგა. XVIII ტური | | | | |
| გიორგი ფოფხაძე | რანდერსი-ვიბორგი | 0:2 | ტრავმა | 6 თ. 0 გ. |

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
24 საათის განმავლობაში
• უწყვეტი მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი • გადაზიდვა ხაზიდან გაუქმებლად
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!



დარეკე, შეუკვეთე, ჩართე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge



კალაძე იაკუნტა გაუმკლავდა

იტალია. სერია A. XIV ტური

# ჯერ კიდევ არ არის გვიან...

შაბათს ევროფეხბურთის მთავარი მატჩი მილანში გაიმართა. 0:0, ასეთია შედეგი თამაშისა, რომელიც მაინცდამაინც ამ ანგარიშს არ იმსახურებდა. ჯერჯერობით, ახალი „იუვენტუსი" გრანდებთან არ აგებს: სამი ფრე „რომასთან" (2:2), „ინტერთან" (1:1) და ბოლოს „მილანთან". აი, ეს „მილანი" კი კვლავ ვერ ახერხებს საკუთარ კედლებში გამარჯვებას და ამასობაში, ზედიზედ 9 მოუგებელი საშინაო მატჩით, საკლუბო რეკორდსაც უწია. ჰქონდა თუ არა „როსონერის" გამარჯვების შანსი? რა თქმა უნდა, ჰქონდა, მაგრამ ასეთივე შანსი ჰქონდა „იუვესაც". პრინციპში, ეს თითქმის თანაბარი ძალის მეტოქეთა დაპირისპირება იყო...

მიუხედავად იმისა, რომ მატჩისწინა პერიოდში **კახა კალაძე** სავარაუდო რეზერვისტებს შორისაც კი არ ფიგურირებდა, **კარლო ანჩელოტიმ** ტრადიციულ სქემას არ უღალატა და საქართველოს ნაკრების კაპიტანი ძირითადში დააყენა. თუ არ ჩავთვლით ერთ ეპიზოდს, როცა **ნედვედმა** აუბნია თავგზა, კალაძემ საერთო ჯამში, ასე ვიტყოდით, აკურატულად ითამაშა. რამდენჯერმე ის მეტოქის საჯარიმოშიც ჩავიდა, ერთხელ **ბუფონს** თავურიც დაურტყა, მეორე ტაიმში კი დიდებულად გაუჭრა პასი **ინძაგის**, რომელსაც ხელს ალარავინ უშლიდა, მაგრამ „იუვეს" კიპერმა ბურთი ფეხებით მოიგერია. რაკი საგოლე მომენტებზე ჩამოვარდა სიტყვა, ისიც გავიხსენოთ, **ტრეზეგემ** პირველ ტაიმში ძელს რომ მოარტყა ბურთი **ძანეტის** გენიალური გადაცემის შემდეგ. მერე იყო **სალიჰამიჯიჩის** მშვენიერი მანევრი, როცა ბოსნიელმა ორი მეტოქე ჩამოიცილა და დაახლოებით საჯარიმოს ხაზიდან შორეულ კუთხეში ურტყამდა, მაგრამ **დიდა** ბრწყინვალე იყო...

მეორე ნახევარში რამდენჯერმე ბუფონმაც იყოჩაღა. ინძაგის ეპიზოდზე უკვე ვთქვით, უფრო რეალური შანსი ჰქონდა **კაკას**, რომელიც შვიდიოდ მეტრიდან სრულიად თავისუფლად ურტყამდა, მაგრამ ჯიჯიმ ამ შემთხვევაშიც ფეხები დაიხმარა. ერთ მომენტში კი „მილანს" პენალტიც ეკუთვნოდა. იმავე კაკას პასის შემდეგ, ბურთისკენ გაჭრილი **ჯილარდინო ლეგროტალიემ** აშკარად ტრუსზე მოქაჩა და დარტყმის საშუალება არ მისცა. ეს ეპიზოდი არბიტრზე კარგად ლაინსმენს უნდა დაენახა, მაგრამ **ემიდიო მორგანტის** არ იყოს, რეაგირება არც მას მოუხდენია...

ნამატჩევს **კლაუდიო რანიერი** გახარებული იყო: *„ჩინებულია. ალტაცებული ვარ ჩემი ბიჭების ხასიათის სიმტკიცით. დღეს ჩვენ ევროპის მოქმედ ჩემპიონს ვეთამაშებოდით და შედეგით უკმაყოფილების საბაბი ნამდვილად არ მაქვს, მიუხედავად იმისა, რომ გოლების გატანა შეგვეძლო. ბოლო წუთებში გავრისკეთ და მოედანზე სამი ფორვარდიც დავაყენეთ... მოკლედ, მილანიდან თავანეულები მივდივართ. „იუვე" სკუდეტოს გზაზე რჩება".*

**კარლო ანჩელოტიმ** თამაში ასე შეაჯამა: *„პირველ ტაიმში გვიჭირდა, მეორეში კი „იუვენტუსის" დანოლა ჩავაცხრეთ და თამაშის სადავეები ჩვენს კონტროლქვეშ მოვაქციეთ. გოლების გატანაც შეგვეძლო, არბიტრს პენალტიც უნდა დაენიშნა ჯილარდინოს წაქცევისთვის, მაგრამ ახლა ამაზე ნუწუნი გვიანია... „იუვე" კომპაქტური გუნდია. სამწუხაროდ, მათ შეძლეს პირლოს თამაშიდან გამოთიშვა".*

შაბათსვე, „სამპდორიამ" „რეჯინას" უმასპინძლა და 3:0 დაამარცხა. მაგრამ ეს ანგარიში სრულად ვერ ასახავს მოედანზე განვითარებულ მოვლენებს, რადგან „დორიას" ორჯერ მეტის გატანაც შეეძლო. გაგვიჭირდება იმის ახსნა, თუ რატომ იყო „რეჯინა" ესოდენ პასიური. ამ კითხვაზე პასუხი **რენცო ულივიერიმ** უნდა გასცეს. სხვათა შორის, ის ერთ დროს (1981-84) „სამპის" დამრიგებელიც გახლდათ და „მარასიზე" შეკრებილი აუდიტორია მას თბილადაც შეხვდა. მაგრამ იმავე ულივიერის ტრიბუნებიდან სასტიკადაც უსტვინეს, როცა სერია A-ს ყველაზე ასაკოვანი (66 წლის) მწვრთნელი, თამაშის დროს, **კასანოსთან** სიტყვიერ შეხლა-შემოხლაში ჩაება. არბიტრმა დამსახურებული სპეციალისტი უმალ ტრიბუნაზე მიაბრძანა, თუმც ანალოგიური სასჯელი არ გამოუწერა კასანოს, რომელიც დაახლოებით 20 წამის განმავლობაში „ამკობდა" ულივიერის. ისე კი, ფედერკალჩომ შესაძლოა კასანო მოგვიანებით დასაჯოს. საუბარია ეპიზოდზე, როცა მან ჯერ მეტოქეზე იუხეშა (რასაც ვიდეოგარჩევა აუცილებლად დააფიქსირებს), მერე კი რეფერიც გამოლანძლა. გენუელთა მწვრთნელი **ვალტერ მაძარი** მიხვდა, რომ ამას გაგრძელებაც ექნებოდა და კასანო დაუყოვნებლივ შეცვალა...

„ფიორენტინამ" ვერაფრით ანუგეშა თავისი მწვრთნელი **ჩეზარე პრანდელი**, რომელსაც ორშაბათს მეუღლე მანუელა გარდაეცვალა. ახლა, ვგონებთ, მას „ვიოლაც" ეცლება ხელიდან. წინა მიმოხილვაში ვთქვით, რომ პრანდელის გუნდს კრიზისი ეწყებოდა და გუშინ ეს კიდევ ერთხელ დადასტურდა. ფაქტობრივად, მასპინძელს არც ერთი, ასე თუ ისე რეალური საგოლე მომენტიც კი არ ჰქონია. „ინტერი" მოედნის თითოეულ გოჯს აკონტროლებდა. მაშინაც კი, როცა მეორე ტაიმიდან თამაშში **ვიერი** და **იორგენსენი** ჩაერთვნენ, სტუმართა დაცვას განსაკუთრებული დატვირთვა არ უგრძვნია. ცხადია, როცა სუსტ „ფიორენტინაზე" ვსაუბრობთ, ვგულისხმობთ იმასაც, რომ ეს „ინტერის" სიძლიერის დამსახურებაცაა...

**ხიმენესისა** და **კრუსის** გოლებში წვლილი **იბრაჰიმოვიჩს** მიუძღვოდა. მაგრამ „წვლილი" ძალიან მოკრძალებული შეფასებაა. ზლატანმა ორი ისეთი გადაცემა გააკეთა, ნამდვილად ღირდა ამ ორ გოლად. განსაკუთრებით მეორე ეპიზოდი უნდა გამოვყოთ: იბრა კარისკენ ზურგით იდგა, როცა კრუსისგან მიილო პასი და ბურთთან რაღაც საოცარი შეხებით უკანვე დაუბრუნა, მერე იყო მეკარესთან პირისპირ გასვლა და მეორე გოლი. ისე, ვუყურებთ ამ იბრაჰიმოვიჩს და, ალბათ, ბევრს ებადება კითხვა: როგორ მოხდა, რომ შვედი „ოქროს ბურთის" ლაურეატთა ხუთეულშიც არ აღმოჩნდა?

„რომამ" გაჭირვებით მოუგო „უდინეზეს", რომელსაც ზედიზედ 8 თამაში არ წაეგო. თამაშის მიწურულს ფრიულელები 9 კაცით დარჩნენ და თქვენ წარმოიდგინეთ, ამ სიტუაციაშიც კი ლამის ფრეს მიაღწიეს. ბოლო წუთზე **ფლორო ფლორესს** რომ შეეგდო, ნეტავ არ შერცხვებოდა „ჯალოროსის"?

რომაელებისა რა გითხრათ, მაგრამ სირცხვილით კი „ნაპოლის" უნდა იწვოდეს. უცნაურია, რომ გუნდი, რომელსაც შეუძლია უდინეში 5:0 მოიგოს, მერე „იუვენტუსი" 3:1 დაამარცხოს, ბერგამოში 1:5-ს რატომ უნდა აგებდეს? კი ბატონო, ამაზრზენად ითამაშა სტუმართა მეკარე **იეცომ**, მაგრამ მარტო მასზეც ნუ გადავტეხავთ ჯოხს. ხდება ხოლმე და აკი ნეაპოლელთა მწვრთნელმა **ედი რეიამაც** თქვა ნამატჩევს - ტრაგედია შეგვემთხვა და ვეცდებით, სასწრაფოდ თავიდან ამოვიგდოთო. შეძლებს თუ არა „ნაპოლი" ამ შოკიდან გამოსვლას, ამას მალე ვნახავთ. ამასობაში კი „ატალანტა" მე-6 ადგილზე ალზევდა. მართალია, ეს გუნდი სტაბილურობით დიდად ვერ დაიკვეხნის, მაგრამ **ლუიჯი დელ ნერის** ხელი ნამდვილად ეტყობათ.

გუშინ ორი მწვრთნელის დებიუტიც შედგა. „ემპოლის" ახალმა დამრიგებელმა **ალბერტო მალეზანიმ** სერია A-ში დაბრუნება"პარმასთან" მარცხით აღნიშნა. გავიხსენოთ, რომ ამ კლუბთან ერთად მან 1999 წელს უეფას თასი მოიგო. ამიტომ, „ენიო ტარდინიზე" ის ძალიან უყვართ. თუმცა გუშინ მალეზანი სახლში განბილებული დაბრუნდა. **მიმო დი კარლომ** კი მინიმუმ ერთი კვირით გაიხანგრძლივა პარმელთა ცხელ სკამზე ჯდომა. მარცხიანი გამოდგა ასევე **ფრანჩესკო გვიდოლინის** მეოთხედ მისვლა „პალერმოში", რომელმაც სიცილიურ დერბიში „კატანიასთან" წააგო. პუბლიკამ ტკივილით გაიხსენა 2 თებერვალი, როცა ამ გუნდებს შორის მატჩს პოლიციელ **ფილიპო რაჩიტის** მკვლელობა მოჰყვა...

**მომდევნო ტური**

**8 დეკემბერი. ლაციო-კატანია, პალერმო-ფიორენტინა. 9 დეკემბერი. ემპოლი-კალიარი, ჯენოა-სიენა, ინტერი-ტორინო, იუვენტუსი-ატალანტა, ლივორნო-რომა, რეჯინა-მილანი, უდინეზე-სამპდორია, ნაპოლი-პარმა.**

**სამპდორია-რეჯინა 3:0**

**სამპდორია:** კასტელაცი-შ.გ, სალა-6, მაჯო-6, გასტალდელო-6 (83. აკარდი-შ.გ), კამპანიარო-6, ვოლპი-6.5, პიერი-6, პალომბო-6, სამარკო-6.5, კასანო-6 (66. ბონაცოლი-6), ბელუჩი-7 (80. კარაჩოლო-შ.გ).

**რეჯინა:** კამპანიოლო-5, ვალდესი-5, არონიკა-5, მოდესტო-4.5, ლანძარო-4.5, კაშონე-4.5, ჰალფრედსონი-5 (46. ბარეტო-5.5), ვიჯანი-5 (80. პ. ალვარესი-შ.გ), მისიროლი-5, ამორუზო-4.5, ჟოელსონი-4.5 (64. ჩერავოლო-5).

**გოლები:** 1:0 ბელუჩი (5), 2:0 სამარკო (55), 3:0 ბელუჩი (75)

**გაძევება:** ლანძარო (75. რეჯინა)

**გაფრთხილება:** 3-4; **კუთხური:** 7-6; **ჯარიმა:** 20-28; **თამაშგარე:** 1-3; **კარში დარტყმა:** 17-10 (8-6); **ბურთის ფლობა:** 53%-47%.

**მაყურებელი:** 23 540

**მილანი-იუვენტუსი 0:0**

**მილანი:** დიდა-7, ოდო-6.5 (79. ბონერა-შ.გ), ნესტა-6.5, კალაძე-6.5, სერჟინიო-6 (64. მალდინი-6), პირლო-6, გატუზო-6, ამბროზინი-6, ზეედორფი-5.5, კაკა-5.5, ჯილარდინო-6 (64. ფ. ინძაგი-6).

**იუვენტუსი:** ბუფონი-6.5, ზებინა-6, ლეგროტალიე-6, მოლინარო-6.5, კიელინი-6, ნოჩერინო-6, კ. ძანეტი-6.5, სალიჰამიჯიჩი-6.5 (71. მარკიონი-შ.გ), ნედვედი-7 (82. პალადინო-შ.გ), იაკუინტა-6 (71. დელ პიერო-შ.გ), ტრეზეგე-6.

**გაფრთხილება:** 0-3; **კუთხური:** 5-5; **ჯარიმა:** 16-24; **თამაშგარე:** 11-3; **კარში დარტყმა:** 7-10 (6-6); **ბურთის ფლობა:** 57%-43%.

**მაყურებელი:** 76 145

**ფიორენტინა-ინტერი 0:2**

**ფიორენტინა:** ფრეი-7, პასკუალი-6, პოტენცა-5, უიფალუში-5, გამბერინი-5, სემიოლი-5, ლივერანი-5 (60. სანტანა-5), კუზმანოვიჩი-5 (46. იორგენსენი-6), დონადელი-5.5, პაცინი-6 (46. ვიერი-6), მუტუ-6.

**ინტერი:** ჟულიო სეზარი-6.5, მაიკონი-7, კორდობა-6, სამუელი-7, კივუ-6.5, ხ. ძანეტი-6.5, დაკური-შ.გ (23. მაქსველი-6), კამბიასო-7, ხიმენესი-6.5 (82. მატერაცი-შ.გ), იბრაჰიმოვიჩი-7, კრუსი-6.5 (73. სუაზო-6).

**გოლები:** 0:1 ხიმენესი (10), 0:2 კრუსი (45)

**გაფრთხილება:** 1-3; **კუთხური:** 4-7; **ჯარიმა:** 22-20; **თამაშგარე:** 2-5; **კარში დარტყმა:** 19-13 (6-7); **ბურთის ფლობა:** 48%-52%.

**მაყურებელი:** 41 380

**რომა-უდინეზე 2:1**

**რომა:** ა. დონი-7, კასეტი-6.5 (41. პანუჩი-6.5), ჟუანი-7, მექსე-6, ტონეტო-6, დე როსი-6.5, პისარო-6.5, ჟიული-6, ტადეი-6.5 (70. სისინიო-6), მანსინი-5.5 (85. ბრიგი-შ.გ), ვუჩინიჩი-5.5.

**უდინეზე:** ჰანდაროვიჩი-6.5, კოდა-6, ლუკოვიჩი-5.5, დოსენა-5, ზაპოტოჩნი-5 (46. მესტო-6), საპატა-6, ინლერი-6, გ. დ'აგოსტინო-6 (63. პინცი-4), პეპე-6 (74. ფლორო ფლორესი-6.5), კვალიარელა-6.5, დი ნატალე-5.5.

**გოლები:** 1:0 ჟუანი (11), 1:1 კვალიარელა (12), 2:1 ტადეი (27)

**გაძევება:** პინცი (78. უდინეზე), დოსენა (80. უდინეზე)

**გაფრთხილება:** 3-2; **კუთხური:** 11-3; **ჯარიმა:** 15-18; **თამაშგარე:** 1-3; **კარში დარტყმა:** 21-9 (8-4); **ბურთის ფლობა:** 57%-43%.

**მაყურებელი:** 45 000

**ატალანტა-ნაპოლი 5:1**

**ატალანტა:** ფ. კოპოლა-6, კაროციერი-6.5, ბელინი-6, ბელერი-6, კაპელი-6, კ. დონი-7.5 (86. მუსლიმოვიჩი-შ.გ), გუარენტე-6, ტისონე-6.5, პინტუ-7 (78. პელეგრინო-შ.გ), ლანჯელა-6.5 (51. პადოინი-6), ფლოკარი-7.

**ნაპოლი:** იეცო-4.5, კანავარო-5, დომიცი-5, სავინი-5, დარიში-4.5, კუპი-5.5 (33. ბოლიაჩინო-5.5), გარგანო-5, ბლაზი-5, ჰამსიკი-5 (59. სოსა-6), ლავეცი-6, სალაიეტა-5 (59. კალაიო-5).

**გოლები:** 1:0 ფლოკარი (5), 2:0 ლანჯელა (21), 3:0 კ. დონი (37), 4:0 კაროციერი (48), 4:1 სოსა (60), 5:1 პინტუ (74)

**გაფრთხილება:** 2-2; **კუთხური:** 7-6; **ჯარიმა:** 19-11; **თამაშგარე:** 3-5; **კარში დარტყმა:** 16-8 (8-2); **ბურთის ფლობა:** 46%-54%.

**მაყურებელი:** 11 000

**კატანია-პალერმო 3:1**

**კატანია:** პოლიტო-6.5, ტერლიცი-6.5, ვარგასი-6.5, სარდო-6.5, სტოვინი-6.5, მარტინესი-7 (90. საბატო-შ.გ), ედუსეი-6.5, ბაიოკო-6.5, ჯაკ. ტედესკო-შ.გ (23. კოლუჩი-6), სპინეზი-6, მასკარა-6.5 (56. იცკო-6).

**პალერმო:** ა. ფონტანა-7.5, ბიავა-5.5, ძაკარდო-6, კასანი-6, ბარძალი-5.5, ბრეშანო-5 (55. კაზერტა-6), სიმპლისიუ-5, გუანა-6, ბრიენცა-6 (75. იანკოვიჩი-შ.გ), დიანა-5 (55. ჯოვ. ტედესკო-6), ამაური-6.

**გოლები:** 1:0 მასკარა (29), 2:0 სპინეზი (42-პენ), 2:1 კაზერტა (63), 3:1 მარტინესი (89)

**გაძევება:** კაზერტა (66. პალერმო)

**გაფრთხილება:** 3-3; **კუთხური:** 10-3; **ჯარიმა:** 20-20; **თამაშგარე:** 0-2; **კარში დარტყმა:** 20-16 (10-5); **ბურთის ფლობა:** 52%-48%.

**მაყურებელი:** 18 000

**სიენა-ლაციო 1:1**

**სიენა:** მანინგერი-6, პორტანოვა-6, დე ჩელიე-6.5, ბერტოტო-6, ლორია-5, ვერგასოლა-6, კოდრეა-5 (64. იაროლიმი-6), გალოპა-6.5, ლოკატელი-6 (78. ფორესტიერი-შ.გ), მაკარონე-6 (87. კორვია-შ.გ), ფრიკი-6.

**ლაციო:** ბალოტა-5, სტენდარდო-6, კრიბარი-6, კოლაროვი-6.5, ლედესმა-6, ფირმანი-6, მეგნი-5.5 (67. მაური-5) , მუდინგაი-5.5, ბეჰრამი-5.5 (46. სკალონი-5.5), პანდევი-6 (73. როკი-შ.გ), მაკინვა-5.

**გოლები:** 0:1 პანდევი (23), 1:1 მაკარონე (32)

**გაფრთხილება:** 2-2; **კუთხური:** 4-8; **ჯარიმა:** 17-24; **თამაშგარე:** 7-2; **კარში დარტყმა:** 9-17 (5-2); **ბურთის ფლობა:** 48%-52%.

**მაყურებელი:** 7 000

**კალიარი-ლივორნო 0:0**

**კალიარი:** მარუოკო-6.5, ლოპესი-6, აგოსტინი-6, ფერი-6, ბიანკო-6, ფოჯა-6.5, კონტი-6, პაროლა-6, ბიონდინი-5.5 (62. ფინი-5.5), აკვაფრესკა-6.5 (88. მანკოზუ-შ.გ), მატრი-5 (59. ლარივეი-5.5).

**ლივორნო:** ამელია-6.5, კნეჟევიჩი-6, გალანტე-5.5, პასკუალე-6, ბალერი-5.5, გრანდონი-6.5, ე. ფილიპინი-6, პულცეტი-6.5, დე ვეცე-6 (90. პავანი-შ.გ), დიეგო ტრისტანი-6 (77. როსინი-შ.გ), ტავანო-5 (59. ბოგდანი-5).

**გაფრთხილება:** 2-2; **კუთხური:** 10-2; **ჯარიმა:** 11-23; **თამაშგარე:** 5-0; **კარში დარტყმა:** 16-8 (2-2); **ბურთის ფლობა:** 57%-43%.

**მაყურებელი:** 10 000

**პარმა-ემპოლი 1:0**

**პარმა:** ბუჩი-6, ფალკონე-6, კასტელინი-6.5 (77. დ. ძენონი-შ.გ), კოლი-5.5, პაჩი-7, ჩიგარინი-6.5, პიზანუ-6.5, მორონე-6.5, გასბარონი-5 (72. მორფეო-შ.გ), რეჟინალდო-6 (64. მატეინი-6), კორადი-6.

**ემპოლი:** ბალი-6, მარძორატი-6, ტონტო-6, რაჯი-6.5, პრატალი-6 (80. აბატე-შ.გ), [illegible] (66. მარიანინი-6), მორო-6, ბუსე-5.5, [illegible] (7?. ჯოვინკო-შ.გ), საუდატი-5.5, [illegible].

**გოლი:** 1:0 პაჩი (21)

**გაფრთხილება:** 3-3; **კუთხური:** 4-8; **ჯარიმა:** 19-21; **თამაშგარე:** 5-1; **კარში დარტყმა:** 11-11 (7-1); **ბურთის ფლობა:** 44%-56%.

**მაყურებელი:** 20 000

**ტორინო-ჯენოა 1:1**

**ტორინო:** სერენი-6.5, კომოტო-6, ნატალი-6, დელაფიორე-6, ლანა-6, დი ლორეტო-5.5, კორინი-6, პ. ძანეტი-6, როზინა-6.5 (81. მალონგა-შ.გ), დი მიკელე-6 (87. მოტა-შ.გ), რეკობა-6 (51. ვენტოლა-6).

**ჯენოა:** სკარპი-6, ბეგა-5.5, ბოვო-6, ლუკარელი-6, მ. როსი-6, მილანეტო-6, კონკო-5.5, ფაბიანო-6 (82. გლეისონი-შ.გ), პაპა ვაიგო-5 (46. ლეონი-6), ბორიელო-7, დი ვაიო-5.5 (56. სკული-6.5).

**გოლები:** 0:1 ბორიელო (47), 1:1 ლანა (55)

**გაფრთხილება:** 1-4; **კუთხური:** 3-4; **ჯარიმა:** 30-16; **თამაშგარე:** 5-5; **კარში დარტყმა:** 13-13 (6-4); **ბურთის ფლობა:** 43%-57%.

**მაყურებელი:** 19 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 13 | 9 | 4 | 0 | 26-8 | 31 |
| 2. რომა | 13 | 8 | 4 | 1 | 28-17 | 28 |
| 3. იუვენტუსი | 14 | 7 | 4 | 2 | 29-13 | 26 |
| 4. უდინეზე | 14 | 7 | 4 | 3 | 17-15 | 25 |
| 5. ფიორენტინა | 14 | 6 | 6 | 2 | 19-11 | 24 |
| 6. ატალანტა | 13 | 5 | 6 | 2 | 21-16 | 21 |
| 7. სამპდორია | 14 | 6 | 2 | 6 | 18-17 | 20 |
| 8. მილანი | 13 | 4 | 6 | 3 | 20-10 | 18 |
| 9. ნაპოლი | 14 | 5 | 3 | 6 | 22-20 | 18 |
| 10. კატანია | 14 | 4 | 6 | 4 | 14-14 | 18 |
| 11. პალერმო | 14 | 4 | 6 | 4 | 18-24 | 18 |
| 12. ტორინო | 14 | 2 | 9 | 3 | 14-15 | 15 |
| 13. პარმა | 14 | 3 | 6 | 5 | 16-22 | 15 |
| 14. ჯენოა | 14 | 3 | 6 | 5 | 13-19 | 15 |
| 15. ლაციო | 13 | 3 | 5 | 5 | 13-17 | 14 |
| 16. ლივორნო | 14 | 3 | 4 | 7 | 17-25 | 13 |
| 17. სიენა | 14 | 1 | 7 | 6 | 13-21 | 10 |
| 18. კალიარი | 13 | 2 | 4 | 7 | 11-20 | 10 |
| 19. რეჯინა | 14 | 1 | 7 | 6 | 9-21 | 10 |
| 20. ემპოლი | 14 | 2 | 4 | 8 | 7-20 | 10 |

**ბომბარდირები:** 11 - ტრეზეგე (იუვენტუსი); 7 - ბელუჩი (სამპდორია), ბორიელო (ჯენოა), კრუსი (ინტერი), კ. დონი (ატალანტა), იბრაჰიმოვიჩი (ინტერი), კაკა (მილანი), ტოტი (რომა); 6 - იაკუინტა (იუვენტუსი), მუტუ (ფიორენტინა), ტავანო (ლივორნო), სალაიეტა (ნაპოლი).

## სერია B

XV ტური

**ბარი-ბოლონია 1:1**

**გოლები:** 0:1 მარაცინა (20), 1:1 დონდა (37)

**გაძევება:** ტერცი (62. ბოლონია)

**ბრეშა-კიევო 0:2**

**გოლები:** 0:1 იტალიანო (57), 0:2 პელისიე (71)

**ჩეზენა-სპეცია 1:1**

**გოლები:** 1:0 მოსკარდელი (15), 1:1 პადოინი (89)

**გროსეტო-ასკოლი 1:1**

**გოლები:** 1:0 ვალერი (62), 1:1 პეშე (82)

**მანტოვა-ფროზინონე 3:2**

**გოლები:** 0:1 მარტინი (35), 1:1 კორონა (40), 2:1 გოდეასი (47), 3:1 გოდეასი (50), 3:2 ევაკუო (56)

**მესინა-აველინო 1:0**

**გოლი:** 1:0 ბიანკოლინო (3ბ)

**გაძევება:** კაველია (90. მესინა)

**მოდენა-ტრიესტინა 1:2**

**გოლები:** 0:1 გრანოკე (23), 0:2 როსეტი (57), 1:2 კოფი (88)

**პიზა-ლეჩე 1:1**

**გოლები:** 0:1 კოტაფავა (8), 1:1 ძოპეტი (88)

**გაძევება:** მუნარი (72. ლეჩე)

**რავენა-რიმინი 0:1**

**გოლი:** 0:1 პეკარიზი (20)

**გაძევება:** როზა (86. რავენა)

**ვიჩენცა-პიაჩენცა 0:1**

**გოლი:** 0:1 ფისორე (90-საკ. კარში)

**ალბინოლეფე-ტრევიზო** *4 დეკემბერს*

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პიზა | 16 | 10 | 3 | 3 | 29-23 | 33 |
| 2. ალბინოლეფე | 15 | 10 | 2 | 3 | 29-15 | 32 |
| 3. ბოლონია | 15 | 9 | 5 | 1 | 20-7 | 32 |
| 4. კიევო | 16 | 9 | 4 | 3 | 28-19 | 31 |
| 5. ლეჩე | 15 | 8 | 5 | 2 | 23-12 | 29 |
| 6. რიმინი | 16 | 8 | 4 | 4 | 26-17 | 28 |
| 7. ბრეშა | 16 | 8 | 3 | 5 | 23-18 | 27 |
| 8. მანტოვა | 16 | 7 | 4 | 5 | 24-16 | 25 |
| 9. ფროზინონე | 16 | 7 | 3 | 6 | 25-22 | 24 |
| 10. ასკოლი | 15 | 6 | 4 | 5 | 23-17 | 22 |
| 11. მოდენა | 16 | 6 | 4 | 6 | 24-21 | 22 |
| 12. მესინა | 16 | 6 | 4 | 6 | 13-19 | 22 |
| 13. ტრიესტინა | 16 | 5 | 5 | 6 | 22-28 | 20 |
| 14. პიაჩენცა | 16 | 6 | 1 | 9 | 13-20 | 19 |
| 15. გროსეტო | 16 | 4 | 6 | 6 | 13-21 | 18 |
| 16. სპეცია | 16 | 3 | 7 | 6 | 21-21 | 16 |
| 17. ბარი | 16 | 3 | 7 | 6 | 16-22 | 16 |
| 18. ტრევიზო | 15 | 4 | 1 | 10 | 14-23 | 13 |
| 19. აველინო | 16 | 3 | 3 | 10 | 14-23 | 12 |
| 20. რავენა | 16 | 3 | 3 | 10 | 18-30 | 12 |
| 21. ვიჩენცა | 16 | 2 | 6 | 8 | 16-28 | 12 |
| 22. ჩეზენა | 15 | 0 | 8 | 7 | 13-26 | 8 |

**ბომბარდირები:** 13 - კასტილიო (პიზა); 11 - ჩელინი (ალბინოლეფე), გოდეასი (მანტოვა), გრანოკე (ტრიესტინა), ჟედა (რიმინი); 9 - ლოდი (ფროზინონე), სონჩინი (ასკოლი); 8 - ბრუნო (მოდენა), ჩერჩი (პიზა); 7 - გუიდეტი (სპეცია), პოსანცინი (ბრეშა), სუჩი (რავენა).

## სერია C1/A

XVI ტური

**ფოლინიო-ვენეცია 2:0; ლეკო-პრო სესტო 0:1; ლენიანო-ჩიტადელა 1:1; მანფრედონია-სასუოლო 0:2; მონცა-ფოჯა 1:0; ნოვარა-ვერონა 1:0; პადოვა-კრემონეზე 2:3; პაგანეზე-კავეზე 1:0; ტერნანა-პრო პატრია 1:2.**

## სერია C1/B

XVI ტური

**ანკონა-სამბენედეტეზე 1:1; იუვე სტაბია-პისტოიეზე 3:3; ლუკეზე-სორენტო 2:1; მარტინა-ლანჩანო 0:0; მასეზე-არეცო 1:1; პესკარა-სალერნიტანა 2:1; პოტენცა-პერუჯა 1:3; სანჯოვანეზე-ტარანტო 0:1; კროტონე-გალიპოლი დღეს.**

ინგლისი. პრემიერლიგა. XIV ტური

# სანამ მანჩესტერი ითამაშებდეს

## ისევ არსენალი, ლივერპულის 21 გოლი ხუთ მატჩში და მაკლიშის წარმატებული დებიუტი...



ასტონ ვილა-არსენალი. ემანუელ ადებაიორს მეორე გოლი გააქვს მასპინძელთა კარში

„არსენალი" წაუგებლად ასპარეზობს. „მეთოფეებმა" ცხრილის სათავეში პოზიციები განიმტკიცეს. „ასტონ ვილამ" მატჩი აქტიურად დაიწყო. **კრეიგ გარდნერმა** ანგარიში გახსნა (მისი მესამე გოლი ამ სეზონში). ბირმინგემელებს იმედი მიეცათ, რომ ლონდონელებთან 18-მატჩიან მოუგებელ სერიას შეწყვეტდნენ, მაგრამ ამაოდ. „არსენალმა" ტაიმის დარჩენილ დროში საფეხბურთო გაკვეთილი ჩაატარა. **მატიო ფლამინიმ** და **ემანუელ ადებაიორმა** მეტოქეს ორი გოლი უძღვნეს. ეს სასურველი შედეგის მისაღწევად საკმარისი აღმოჩნდა. „ვილა" ზედიზედ მოგებული ოთხი მატჩის შემდეგ დამარცხდა.

ბირმინგემელ თავდამსხმელებს ბოლო ოთხ შეხვედრაში 11 გოლი ჰქონდათ გატანილი. მათ „არსენალთანაც" აქტიურად დაიწყეს, თუმცა პირველი მომენტი მასპინძელთა კართან შეიქმნა. **სკოტ კარსონმა** ემანუელ ებუეს 25 მეტრიდან დარტყმული ბურთი აუღო. მომდევნო ეპიზოდში **ალექსანდრ გლები** ვილელთა საჯარიმოში შეიჭრა. კარსონმა კარი დროულად დატოვა და მდგომარეობა განმუხტა.

მე-14 წუთზე გარდნერმა გოლი გაიტანა. **ჯონ კარუმ** მარცხენა ფლანგზე გაილალა და მეტოქის საჯარიმოში შეიჭრა. „არსენალის" მცველებმა მისი პასის ჩაჭრა სცადეს. ბურთი გარდნერს მიუგორდა, რომელმაც ზუსტად დაარტყა. „არსენალმა" გლების იერიშით უპასუხა. **მარტინ ლაურსენი** ძლიერ დარტყმას მთელი ტანით გადაეღობა. ლაურსენმა მომდევნო იერიშის დროსაც ისახელა თავი. მან ადებაიორის დარტყმას ფეხი შეუშვირა. ბურთმა მიმართულება შეიცვალა და კარს ასცდა.

23-ე წუთზე „არსენალმა" დამსახურებული გოლი გაიტანა. ადებაიორმა **ებუე** მოძებნა. ებუემ საჯარიმოში დაბალი ბურთი ჩააწოდა. გლები მას ვერ შესწვდა, სამაგიეროდ, ბურთი მატიო ფლამინის მიუგორდა. ფრანგმა ნახევარმცველმა სეზონის მესამე გოლი შეაგდო. 30-ე წუთზე მასპინძლებს **სტილიან პეტროვი** დაუშავდათ. მის ნაცვლად **შონ მელონი** გამოვიდა. ექვს წუთში „არსენალმა" მეორე გოლი გაიტანა: **ბაკარი სანიამ** ბურთი ბირმინგემელთა საჯარიმოში ჩაჰკიდა. ადებაიორს **ოლოფ მელბერგი** და **ზან ნაიტი** მეურვეობდნენ. ტოგოელმა თავდამსხმელმა მაინც იყოჩაღა და სეზონის მერვე გოლი ჩაიწერა აქტივში.

შესვენების შემდეგ „ასტონ ვილა" მდგომარეობის გამოსწორებას ეცადა. **კარუ** გლებს ეუხეშა და ყვითელი ბარათი მიიღო. ბელორუსმა ნახევარმცველმა თამაშის გაგრძელება ვერ მოახერხა. მის ნაცვლად თამაშში თეო უოლკოტი ჩართეს. მატჩის მიწურულს კარუ **ეშლი იანგის** პასს გამოეხმაურა და თავით ძლიერად დასცხო. ბურთმა ხარიხა შეაზანზარა...

„მანჩესტერ იუნაიტედი" დღეს ითამაშებს. „ჩელსიმ" ამით ისარგებლა და მეორე ადგილზე გადაინაცვლა. „არისტოკრატებმა" „ვესტ ჰემს" ლონდონური დერბი მოუგეს. გადამწყვეტი გოლი „ჩაქუჩების" ყოფილმა ვარსკვლავმა **ჯო კოულმა** გაიტანა. შესვენებამდე მინდორზე განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. იყო ერთი საჯარიმო დარტყმა და ოთხი ყვითელი ბარათი. არბიტრმა **ჰოვარდ ვებმა** მეტოქეებს ორ-ორი გაფრთხილება ჩამოურიგა. ერთ ეპიზოდში თამაშში ჩაერთო მეოთხე არბიტრიც. მას **დიდიე დროგბამ** შესჩივლა. კოტდივუარელი თავდამსხმელი უკმაყოფილებას გამოთქვამდა იმის გამო, რომ მინდვრის ერთ-ერთ კიდესთან „ვესტ ჰემის ფანები" თვალებში ლაზერს აშუქებდნენ.

უხეშობა და გაწევ-გამოწევები ბევრად აღემატებოდა სახიფათო მომენტებს. **ფრენკ ლემპარდმა** და **ალექსმა** საჯარიმოები ცოცხალ კედელს გაარტყეს. **კალუმ** საჯარიმოს მისადგომებიდან ძალიან არაზუსტად დაარტყა. დროგბას იერიშისას ბურთი კარში წავიდა, მაგრამ **რობ გრინმა** იყოჩაღა. მეორე კართან ჩელსის ყოფილი თავდამსხმელი კარლტონ კოული შეეცადა კუდიჩინისთან პირისპირ გასვლას, მაგრამ მასზე თამაშგარე დააფიქსირეს. ტაიმის ყველაზე რეალური მომენტი **ჯონ ტერიმ** შექმნა. ჩელსის კაპიტანი ლემპარდის კუთხურს გამოეხმაურა და თავით სახიფათოდ დაარტყა. გრინმა საუცხოო სეივი გააკეთა.

მეორე ტაიმის დასაწყისში **ჟულიანო ბელეტიმ** ორი შეცდომა დაუშვა: 55-ე წუთზე **მეტ ეთერინგტონის** მოცელვისათვის ყვითელი ბარათი აუფრიალეს. შემდეგ კი ბოა მორტეს ვერ შეუშალა ხელი. **კუდიჩინიმ** და ტერიმ პორტუგალიელის იერიში ერთობლივი ძალისხმევით განმუხტეს. ამასობაში, 76-ე წუთიც დადგა. „ვესტ ჰემის" საჯარიმოში ჯერ დროგბამ ითამაშა თავით, მერე კალუმ. კოულმა ბურთი თამაშგარის ზღვარზე მიიღო, მეკარე გრინი ოსტატურად მოატყუა და ცარიელ კარში შეაგორა...

„ლივერპულმა" ზედიზედ მეხუთე თამაში მოიგო. მერსისაიდელებმა ამ ხნის განმავლობაში 21 გოლი გაიტანეს. **რაფა ბენიტესის** შეგირდები „ჩელსის" ერთი ქულით ჩამორჩებიან. „მანჩესტერ იუნაიტედის" დღევანდელ მატჩამდე მათ მესამე ადგილზე გადაინაცვლეს. როგორც ჩანს, ბენიტესმა ამერიკულ ბოსებთან უთანხმოება მოაგვარა. კლუბის მფლობელებს უკმაყოფილების საფუძველი აღარ უნდა ჰქონდეთ. „ლივერპულმა" რვა გოლი გაუტანა „ბეშიქთაშს", ოთხი „პორტუს" და კიდევ ოთხი „ბოლტონს". ზაფხულის უძვირეს შენაძენ **ფერნანდო ტორესს** 17 მატჩში 11 გოლი აქვს, რაც აგრეთვე შთამბეჭდავი მაჩვენებელია. ბოლტონელებს **გარი მეგსონის** დანიშვნის შემდეგ ხუთმატჩიანი წაუგებელი სერია ჰქონდათ, მაგრამ...

„ნიუკასლმა" ბოლო ხუთი მატჩიდან მეოთხე წააგო. ამჯერად „ბლექბერნთან" 1:3. ინგლისის ნაკრების გარემარბმა **დევიდ ბენტლიმ** ორი საუცხოო გოლი გაიტანა. სტუმართა 6 ათასი გულშემატკივარი, რომელთაც „ივუდ პარკის" მთელი ტრიბუნა ეჭირათ, შინ იმედგაცრუებულნი გაემგზავრნენ.

პირველ ნახევარში ბევრი არაფერი მომხდარა. სამაგიეროდ, **ობა მარტინსმა** მეორე ნახევრის დასაწყისშივე გაიტანა გოლი. **ბრეტ ემერტონი ჯეიმს მილნერთან** დაჯარიმდა. **შარლ ნზოგბიამ** ბურთი საჯარიმოში ჩააწოდა. მარტინსი მეურვეს დაუსხლტა, ბურთს თავი დაჰკრა და გაიტანა. ეს ნიგერიელის მეექვსე გოლი იყო ამ სეზონში. „ბლექბერნს" გასათანაბრებლად დიდხანს არ დასჭირვებია ლოდინი. ბენტლიმ კარიდან 25 მეტრში დანიშნული საჯარიმო აქცია გოლად. მან ისე უზადოდ დაარტყა, რომ **შეი გივენმა** განძრევაც კი ვერ მოასწრო. ორ წუთში **ჯოი ბარტონს** სტუმართა დაწინაურება შეეძლო. მისი დარტყმა **კრისტოფერ სამბამ** მოიგერია. ბურთი ისევ ბარტონს მიუგორდა. სანამ ის ხელახლა შეუტევდა, **ბრედ ფრიდელი** ფეხებში ჩაუხტა და დაუფარა. 67-ე წუთზე ბენტლიმ ისევ შორიდან გაიტანა. მან ბურთი პირდაპირ ცხრიანში გაახვია. 74-ე წუთზე ბენტლიმ ძელი შეაზანზარა. თამაშს ვეტერანმა თურქმა ნახევარმცველმა **თუგაი ქერიმოღლუმ** დაუსვა წერტილი. მან ჯეისონ რობერტსის საგოლე გადაცემით ისარგებლა...

„პორტსმუთის" თავდამსხმელები გოლების გატანას გადაეჩვივნენ. გუნდმა ბოლო ხუთი საშინაო მატჩიდან ოთხში მეტოქის დამწუხრება ვერ მოახერხა. ამ ოთხიდან ერთი მატჩი შაბათს შედგა. „პორტსმუთის" მეტოქე წინა ტურის გმირი „ევერტონი" გახლდათ (ლივერპულელებმა „სანდერლენდს" 7:1 მოუგეს). მასპინძლებს სტრესით აღსავსე კვირა ჰქონდათ. თამაშამდე ორი დღით ადრე მთავარი მწვრთნელი **ჰარი რედნაპი** პოლიციაში მიაბრძანეს. საქმე ფინანსური მაქინაციების ბრალდებითაა აღძრული. რედნაპი ჯერჯერობით მოწმის სტატუსით დაიკითხა. სკანდალში გახვეულ მწვრთნელს „ფრეტონ პარკზე" დიდი ოვაციებით შეხვდნენ. უგოლო თამაშზე ბევრს არაფერს გეტყვით. გუნდებმა წაუგებელი სერიები გააგრძელეს - „პორტსმუთმა" 10 თამაშამდე, ხოლო „ევერტონმა" - 8 თამაშამდე. სტუმრებს პირველ ტაიმში სამი ყვითელი ბარათი აუფრიალეს...

„სანდერლენდმა" მასზე უფრო სუსტ „დერბის" მინიმალურად მოუგო. ირლანდიელმა თავდამსხმელმა **სტოუკსმა** ბურთი მსაჯისაგან დამატებულ წუთებზე შეაგდო. სტუმართა თავკაც პოლ ჯუელის დებიუტი წარუმატებელი აღმოჩნდა. „დერბიმ" მოუგებელი მატჩების სერია 9-მდე აიყვანა. გუნდს 701 წუთია, გოლი არ გაუტანია. მასპინძელთა თავკაცმა **როი კინმა** გაბედული ნაბიჯი გადადგა. მან სკამზე დასვა ბრიტანეთის უძვირესი მეკარე (9 მილიონად შეიძინეს), შოტლანდიელი **კრეიგ გორდონი**. შეგახსენებთ, ერთი კვირის წინ „ევერტონმა" შოტლანდიის ნაკრების გოლკიპერს შვიდი გოლი გაუტანა.

„ვიგანმა" „მანჩესტერ სიტისთან" უმძიმესი მატჩი გადაიტანა. **სტივ ბრუსის** სადებიუტო შეხვედრაში გუნდმა პრემიერლიგის წლევანდელი გათამაშების უსწრაფესი გოლი გაუშვა, უძვირესი ფეხბურთელი **ემილ ჰესკი** დაუშავდა და კაპიტანი **მარიო მელხიოტი** გაუგდეს. ამის მიუხედავად, „ვიგანმა" წაგებათა რვამატჩიან სერიას წერტილი დაუსვა და თამაში 1:1 დაასრულა. 28-ე წამზე მანჩესტერელმა **ჯოვანიმ ტიტუს ბრემბლის** უხეში შეცდომის წყალობით გაიტანა. **პოლ შარნერმა** 25-ე წუთზე გაათანაბრა. მელხიოტზე კი იმას გეტყვით, რომ მან **სტივ ირლანდს** კინაღამ ფეხი მოტეხა. უშეხობა იმდენად აშკარა იყო, რომ ჰოლანდიელ მცველს სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია ემუქრება.

ნუხელ „ტოტენჰემმა" „ბირმინგემთან" 2:3 წააგო. მასპინძლები იგებდნენ, მაგრამ უპირატესობა ვერ შეინარჩუნეს, თანაც ორი გოლის ავტორი **რობი კინი** გააძევეს მინდვრიდან. ბირმინგემელმა **სებასტიან ლარსონმა** გადამწყვეტი გოლი მსაჯისაგან დამატებულ დროში გაიტანა. **ალექს მაკლიში** პრემიერლიგაში უკეთეს დებიუტს ვერცკი ინატრებდა...

### მომდევნო ტური

**8 დეკემბერი. ასტონ ვილა-პორტსმუთი, ბლექბერნი-ვესტ ჰემი, ბოლტონი-ვიგანი, ჩელსი-სანდერლენდი, ევერტონი-ფულჰემი, მანჩესტერ იუნ-დერბი, მიდლსბრო-არსენალი, ნიუკასლი-ბირმინგემი, რედინგი-ლივერპული, ტოტენჰემი-მანჩესტერ სიტი.**

### ჩელსი-ვესტ ჰემი 1:0

**ჩელსი:** კუდიჩინი, ალექსი, ბელეტი, ბრიჯი, ტერი, ჯო კოული (89. მაკელელე), ლემპარდი, ობი მიკელი, სიდველი (66. რაიტ-ფილიპსი), დროგბა, კალუ.

**ვესტ ჰემი:** გრინი, გებიდონი, მაკარტნი, ნილი, აპსონი, ეთერინგტონი (79. ეშტონი), მულინზი, პარკერი (79. სპექტორი), სოლანო (74. ლიუნგბერგი), ბოა მორტე, კარლტონ კოული.

**გოლი:** 1:0 ჯო კოული (76).

**გაფრთხილება:** 5-3; **დარტყმა:** 16(5)-5(1); **ჯარიმა:** 15-26; **კუთხური:** 7-0; **ბურთის ფლობა:** 55%-45%.

**მაყურებელი:** 41 830

### ბლექბერნი-ნიუკასლი 3:1

**ბლექბერნი:** ფრიდელი, მოკოენა (66. რიდი), ოოიერი, სამბა, უორნოკი, ბენტლი, დანი (58. პედერსენი), ემერტონი, თუგაი, მაკარტი (61. რობერტსი), სანტა კრუსი.

**ნიუკასლი:** გივენი, ბეიე, როზენალი, ბარტონი, ბატი, ფაიე (24. კარი/72. ვიდუკა), ჯერემი, მილნერი, ნზოგბია, მარტინსი, სმიტი.

**გოლები:** 0:1 მარტინსი (47), 1:1 ბენტლი (54), 2:1 ბენტლი (67), 3:1 თუგაი (90).

**გაფრთხილება:** 2-3; **დარტყმა:** 15(6)-23(8); **ჯარიმა:** 21-17; **კუთხური:** 1-1; **ბურთის ფლობა:** 48%-52%.

**მაყურებელი:** 27 477

### პორტსმუთი-ევერტონი 0:0

**პორტსმუთი:** ჯეიმსი, სოლ კემპბელი, დესტენი, გლენ ჯონსონი, პამარო, დიოპი, კრანჩარი, მუნტარი, პედრო მენდესი, უტაკა (57. კანუ), მვარუვარი.

**ევერტონი:** ჰოვარდი, ლესკოტი, ფილ ნევილი, ნუნუ ვალენტე, იობო, არტეტა, კაჰილი, კარსლი, ოსმანი, პიენაარი (53. ენდი ჯონსონი), იაკუბუ (67. ანიჩებე).

**გაფრთხილება:** 1-2; **დარტყმა:** 22(6)-5(2); **ჯარიმა:** 14-13; **კუთხური:** 9-0; **ბურთის ფლობა:** 58%-42%.

**მაყურებელი:** 20 102

### რედინგი-მიდლსბრო 1:1

**რედინგი:** ჰანემანი, ინგიმარსონი, მერტი, შორი, სონკო, კონვეი (77. ბიკეი), გუნარსონი (86. ლონგი), ჰარპერი, ჰანტი, დოილი, კიტსონი.

**მიდლსბრო:** ტერნბული, პოგატეცი, ვიტერი, ვუდგეიტი (69. ჰუთი), იანგი, ჯორჯ ბოატენგი, დაუნინგი, ადამ ჯონსონი (89. კატერმოული), როშემბაკი, ალიადიერი, ლი (70. სანლი).

**გოლები:** 1:0 კიტსონი (54), 1:1 თუნჯაი (83).

**გაფრთხილება:** 2-1; **დარტყმა:** 12(7)-16(11); **ჯარიმა:** 11-16; **კუთხური:** 5-4; **ბურთის ფლობა:** 56%-44%.

**მაყურებელი:** 22 262

### სანდერლენდი-დერბი 1:0

**სანდერლენდი:** ვორდი, კოლინზი, ჰელფორდი, ჰიგინბოთემი, მაკშეინი, ედვარდსი (78. სტოუკსი), ლიდბიტერი (83. მილერი), უოლესი, უაითჰედი, ენდი კოული (64. ჩოპრა), ჯოუნსი.

**დერბი:** ბაივოტერი, კლოდ დევისი, გრიფინი, მაკევილი, მური, ბარნესი (70. ფეგანი), ოუკლი, პერსონი, ტილი (84. ლიკოკი), ჰოვარდი, მილერი (86. ერნშო).

**გოლი:** 1:0 სტოუკსი (90).

**გაფრთხილება:** 1-1; **დარტყმა:** 20(9)-13(9); **ჯარიმა:** 12-15; **კუთხური:** 5-3; **ბურთის ფლობა:** 52%-48%.

**მაყურებელი:** 42 380

### ვიგანი-მანჩესტერ სიტი 1:1

**ვიგანი:** კერკლანდი, ბოისი, ბრემბლი, მელხიოტი, შარნერი, კილბეინი, კუმასი, ლანდზაატი, ვალენსია, მარკუს ბენტი, ჰესკი (53. ტეილორი).

**სიტი:** ისაკსონი, კორლუკა, დანი, გარიდო (36. ბოლი), რიჩარდსი, ელსონი, ჯოვანი (69. ეტუჰუ), ჰამანი, ირლანდი, მარტინ პეტროვი, სამარასი (78. ბიანკი).

**გოლები:** 0:1 ჯოვანი (1), 1:1 შარნერი (25).

**გაძევება:** მელხიოტი (88. ვიგანი)

**გაფრთხილება:** 2-2; **დარტყმა:** 5(4)-4(1); **ჯარიმა:** 13-10; **კუთხური:** 2-4; **ბურთის ფლობა:** 57%-53%.

**მაყურებელი:** 18 614

### ასტონ ვილა-არსენალი 1:2

**ვილა:** კარსონი, ბუმა (76. ბერგერი), ნაიტი, ლაურსენი, მელბერგი, ბერი, გარდნერი, სტილიან პეტროვი (32. მელონი), აგბონლაორი, კარუ, იანგი.

**არსენალი:** ალმუნია, კლიში, ებუე, გალასი, სანია, კოლო ტურე, ლასანა დიარა, ფლამინი, გლები (60. უოლკოტი), როსიცკი (74. ჟილბერტო), ადებაიორი (90. ბენდტნერი).

**გოლები:** 1:0 გარდნერი (14), 1:1 ფლამინი (23), 1:2 ადებაიორი (36).

**გაფრთხილება:** 3-2; **დარტყმა:** 11(5)-14(9); **ჯარიმა:** 16-10; **კუთხური:** 4-7; **ბურთის ფლობა:** 57%-43%.

**მაყურებელი:** 42 018

### ლივერპული-ბოლტონი 4:0

**ლივერპული:** რეინა, არბელოა, კარაგერი (51. ჰობსი), ჰიიპია, ბენაიუნი, ჯერარდი, კიუელი (67. ბაბელი), ლუკასი, რიისე, კრაუჩი, ტორესი (76. კუიტი).

**ბოლტონი:** იაასკელაინენი, მეიტე, მიხალიკი, სამუელი, კამპო, რკარდო გარდნერი, მაკენი, სპიდი, ანელკა, კევინ დევისი, დიუფი (66. იანაკოპულოსი).

**გოლები:** 1:0 ჰიიპია (17), 2:0 ტორესი (45), 3:0 ჯერარდი (56-პენ), 4:0 ბაბელი (86).

**გაფრთხილება:** 0-3; **დარტყმა:** 24(14)-6(3); **ჯარიმა:** 11-14; **კუთხური:** 5-5; **ბურთის ფლობა:** 64%-36%.

**მაყურებელი:** 43 270

### ტოტენჰემი-ბირმინგემი 2:3

**ტოტენჰემი:** რობინსონი, ბეილი (75. ლი), შიმბონდა, დოსონი, კაბული (46. ჰადლსტონი), ლენონი, მალბრანკი, ზოკორა, დარენ ბენტი (46. დეფო), ბერბატოვი, რობი კინი.

**ბირმინგემი:** მაიკ ტეილორი, ჯურუ, კელი, რიჯველი, შმიტცი (63. პერნაბი), დე რიდერი (66. ფორსელი), ლარსონი, მაკშეფრი (77. კაპო), მუამბა, ნაფტი, ჯერომი.

**გოლები:** 0:1 მაკშეფრი (24-პენ), 1:1 რობი კინი (50-პენ), 2:1 რობი კინი (53), 2:2 ჯერომი (62), 2:3 ლარსონი (90).

**გაძევება:** რობი კინი (68. ტოტენჰემი)

**გაფრთხილება:** 2-1; **დარტყმა:** 10(7)-12(6); **ჯარიმა:** 13-13; **კუთხური:** 8-3; **ბურთის ფლობა:** 53%-47%.

**მაყურებელი:** 35 635

### მანჩესტერ იუნ.-ფულჰემი დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. არსენალი | 14 | 11 | 3 | 0 | 31-11 | 36 |
| 2. ჩელსი | 15 | 9 | 4 | 2 | 22-9 | 31 |
| 3. ლივერპული | 14 | 8 | 6 | 0 | 26-6 | 30 |
| 4. მანჩესტერ იუნ | 14 | 9 | 3 | 2 | 23-7 | 30 |
| 5. მანჩესტერ ს | 15 | 9 | 3 | 3 | 19-15 | 30 |
| 6. ასტონ ვილა | 15 | 8 | 3 | 4 | 26-16 | 27 |
| 7. პორტსმუთი | 15 | 7 | 6 | 2 | 25-13 | 27 |
| 8. ბლექბერნი | 15 | 7 | 5 | 3 | 20-18 | 26 |
| 9. ევერტონი | 15 | 7 | 3 | 5 | 26-16 | 24 |
| 10. ვესტ ჰემი | 14 | 5 | 4 | 5 | 19-12 | 19 |
| 11. ნიუკასლი | 14 | 5 | 3 | 6 | 20-24 | 18 |
| 12. ბირმინგემი | 15 | 4 | 2 | 9 | 16-24 | 14 |
| 13. რედინგი | 15 | 4 | 2 | 9 | 18-32 | 14 |
| 14. სანდერლენდი | 15 | 3 | 4 | 8 | 15-29 | 13 |
| 15. ფულჰემი | 14 | 2 | 7 | 5 | 18-22 | 13 |
| 16. ტოტენჰემი | 15 | 2 | 6 | 7 | 26-28 | 12 |
| 17. ბოლტონი | 15 | 2 | 5 | 8 | 12-22 | 11 |
| 18. მიდლსბრო | 15 | 2 | 5 | 8 | 13-27 | 11 |
| 19. ვიგანი | 15 | 2 | 3 | 10 | 11-26 | 9 |
| 20. დერბი | 15 | 1 | 3 | 11 | 5-34 | 6 |

**ბომბარდირები:** 8 - ბენჯანი (პორტსმუთი), კინი (ტოტენჰემი), ადებაიორი (არსენალი); 7 - ანელკა (ბოლტონი); 6 - აგბონლაჰორი (ასტონ ვილა), ფერნანდო ტორესი (ლივერპული), რონალდო (მანჩესტერ იუნ), ფაბრეგასი (არსენალი); 5 - მაკარტი (ბლექბერნი), ვან პერსი (არსენალი), აიეგბენი (ევერტონი), დროგბა (ჩელსი), ჯერარდი (ლივერპული), მარტინსი (ნიუკასლი).

### ჩემპიონატი

XIX ტური

**ბლეკპული-ქუინზ პარკი 1:0**
გოლი: 1:0 ბარჯესი (90)

**კრ. პალასი-ვესტ ბრომვიჩი 1:1**
გოლები: 0:1 ჰადსონი (8-საკ. კარში), 1:1 მორისონი (21)

**ჩარლტონი-ბარნლი 1:3**
გოლები: 0:1 გრეი (8), 0:2 მაკკანი (13), 1:2 რიდი (36), 1:3 გრეი (70-პენ)

**ქოვენთრი-შეფილდი 0:1**
გოლი: 0:1 არსტრონგი (62)

**ჰალი-კარდიფი 2:2**
გოლები: 1:0 მაკფი (3), 1:1 ტომპსონი (6), 2:1 რ. გარსია (43), 2:2 ჯონსონი (90)

**იფსვიჩი-ბარნსლი 0:0**

**ლესტერი-საუთჰემპტონი 1:2**
გოლები: 0:1 შ. ჯონი (32), 1:1 ა. კინგი (45), 1:2 სურმანი (56-პენ)

**პლიმუთი-სკანთორპი 3:0**
გოლები: 1:0 ებენქს-ბლეიკი (51), 2:0 ტიმარი (64), 3:0 აბდუ (77)

**უენსდი-კოლჩესტერი 1:2**
გოლები: 0:1 შერინგემი (1), 0:2 ელოკობი (26), 1:2 სოჯე (36)

**სტოკი-ნორვიჩი 2:1**
გოლები: 0:1 ჰაკერბი (5), 1:1 კორტი (46), 2:1 კრესუელი (89)

**ვულვზი-პრესტონი 1:0**
გოლები: 1:0 ჰენრი (55)

**უოტფორდი-ბრისტოლი 1:2**
გოლები: 0:1 შოვუნმი (75), 1:1 ო'ტული (87), 1:2 ბიფილდი (90)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. უოტფორდი | 19 | 11 | 3 | 5 | 33-25 | 36 |
| 2. ვესტ ბრომვიჩი | 19 | 10 | 5 | 4 | 38-18 | 35 |
| 3. ვულვზი | 19 | 9 | 6 | 4 | 20-15 | 33 |
| 4. ჩარლტონი | 19 | 9 | 4 | 6 | 25-21 | 31 |
| 5. ბრისტოლი | 19 | 8 | 7 | 4 | 23-23 | 31 |
| 6. პლიმუთი | 19 | 8 | 6 | 5 | 27-20 | 30 |
| 7. სტოკი | 19 | 8 | 6 | 5 | 27-24 | 30 |
| 8. იფსვიჩი | 18 | 8 | 5 | 5 | 33-23 | 29 |
| 9. ბარნლი | 18 | 7 | 7 | 4 | 26-22 | 28 |
| 10. ჰალი | 19 | 7 | 6 | 6 | 25-20 | 27 |
| 11. შეფილდი | 19 | 7 | 6 | 6 | 27-23 | 27 |
| 12. ბარნსლი | 19 | 7 | 6 | 6 | 23-25 | 27 |
| 13. საუთჰემპტონი | 19 | 8 | 2 | 9 | 27-36 | 26 |
| 14. ქოვენთრი | 19 | 7 | 4 | 8 | 21-28 | 25 |
| 15. უენსდი | 19 | 7 | 2 | 10 | 24-27 | 23 |
| 16. ლესტერი | 18 | 4 | 9 | 5 | 17-14 | 21 |
| 17. კრ. პალასი | 19 | 4 | 9 | 6 | 21-23 | 21 |
| 18. სკანთორპი | 19 | 5 | 6 | 8 | 20-26 | 21 |
| 19. კოლჩესტერი | 19 | 4 | 8 | 7 | 30-31 | 20 |
| 20. კარდიფი | 18 | 4 | 8 | 6 | 22-25 | 20 |
| 21. ბლეკპული | 18 | 4 | 7 | 7 | 20-25 | 19 |
| 22. ქუინზ პარკი | 18 | 3 | 7 | 8 | 15-28 | 16 |
| 23. პრესტონი | 19 | 3 | 6 | 10 | 16-25 | 15 |
| 24. ნორვიჩი | 19 | 4 | 3 | 12 | 16-29 | 15 |

**ბომბარდირები:** 12 - ბიტი (შეფილდი); 11 - გრეი (ბარნლი); 10 - ფილიპსი (ვესტ ბრომვიჩი); 9 - ჰენდერსონი (უოტფორდი), კინგი (უოტფორდი); 8 - ჰოვარდი (ბარნსლი), უოლტერსი (იფსვიჩი).

### II დივიზიონი

გადადებული მატჩები

- **როჩდეილი-რექსჰემი 0:0; შრიუსბერი-მაკლსფილდი 2:0.**

### კონფერენცია

გადადებული მატჩები

**ალტრინჩემი-ჰისტონი 1:2; სტეფორდი-ნორთვიჩი 0:0; იორკი-ქროული 1:1; სალისბერი-ალდერშოტი 0:4.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანია. ბუნდესლიგა. XV ტური

# ვერდერი ჩრდილოეთში პირველია!

## მაგრამ მხოლოდ ჩრდილოეთში...



ბუბაკარ სანოგომ ჰამბურგზე შური იძია!

„ვერდერი“ ჩრდილოეთში პირველი გუნდია. ბრემენულმა კლუბმა ეს შაბათს, „ჰამბურგთან“ მოპოვებული უმნიშვნელოვანესი გამარჯვებით დაამტკიცდა და რაკი „ბაიერნი“ გუშინ, ანუ, კვირას თამაშობდა, მინიმუმ ერთი დღით გერმანიაშიც პირველი გუნდი გახდა. ჩრდილოეთის დერბი ტრადიციულად ძალიან დაძაბული და დრამატული გამოდგა - ბრემენის „ვეზერშტადიონზე“ დაწყებული ბრძოლა მოგვიანებით სტადიონს მიღმაც გაგრძელდა, რის გამოც პოლიციამ 93 ფანი დააკავა და როგორც გაირკვა, ალვირახსნილმა გულშემატკივრებმა ერთ პოლიციელს ბოთლით თავი გაუტეხეს. *„ჩვენ ლიდერობას აღარ დავთმობთ, „ბაიერნი“ ნერვიულობს და დარწმუნებული ვარ, რომ ბილეფელდში ვერ მოიგებს,“* – ამბობდა ბრემენელი **იურიცა ვრანიეში** შაბათს.

**თომას შააფის** გუნდის გამარჯვება ექს-ჰამბურგელი **ბუბაკარ სანოგოსა** და **პეტრი პასანენის** იღბლიანი გოლის დამსახურებაა. ვერაფერს იტყვი – „რეალის“ დამარცხების შემდეგ „ვერდერს“ საქმეები ძალიან კარგად წაუვიდა. სანოგომ, რომელსაც “ჰამბურგზე” შურისძიება სურდა, სანადელი მე-15 წუთზე აისრულა, როცა ანგარიში გახსნა: ბუბამ ვრანიეშის პასით ისარგებლა და 7 მეტრიდან დაამწუხრა **ფრანკ როსტი**. რამდენიმე წუთში **მარკუს როზენბერგს** სხვაობის ორამდე გაზრდა მართებდა, მაგრამ **იენსენის** პასი ვერ გამოიყენა. „ჰამბურგი“ კი მხოლოდ 30-ე წუთიდან გამოცოცხლდა და ტაიმის მიწურულს **ოლიჩის** დარტყმის შემდეგ ბურთი მცირე მანძილით ასცდა **ფანდერის** კარს.

„ჰამბურგმა“ ანგარიში მეორე ტაიმში გაათანაბრა. ვინ გაიტანა? განა ამას კითხვა უნდა?! ცხადია, **რაფაელ ვან დერ ვაარტმა!** ჰოლანდიელმა „მუსიკოსთა“ მეკარის შეცდომით ისარგებლა – ფანდერმა ბურთი პირდაპირ მისი მისამართით მოიგერია, რაფამაც 22 მეტრიდან უპრობლემოდ დალაშქრა ცარიელი კარი. მაგრამ ზუსტად 3 წუთში „ვერდერმა“ მეორე გოლი გაიტანა – ამჯერად მეტოქის დახმარებით: პასანენის ჩაწოდებას ბელგიელი **კომპანი** უიღბლოდ გადაელობა და ბურთი რიკოშეტით გავიდა როსტის კარში. უნდა ითქვას, რომ ჰამბურგელებს აშკარად ეტყობოდათ დაღლა – HSV-მ ხომ ხუთშაბათს ითამაშა და ამრიგად, დასასვენებლად მხოლოდ ერთი დღე (პარასკევი) ჰქონდა. ამიტომაც იყო, მატჩის შემდეგ ჰამბურგელთა დამრიგებელი **ჰუუბ სტევენსი** რომ ჩიოდა, ჰალსტუხიან კაცებს, რომლებიც კალენდარს ადგენენ, მინდა ვუთხრა, რომ ეს უსამართლობაა, წესითა და რიგით ჩვენ კვირას უნდა გვეთამაშა, „ვერდერი“ ამ მხრივ მომგებიან მდგომარეობაში იყოო.

შაბათსვე, გერმანიის დროით 17 საათსა და 20 წუთზე დორტმუნდის „ბორუსიის“ მთავარი მწვრთნელი **თომას დოლი** პოსტიდან გათავისუფლებას გადაურჩა, რადგან სწორედ ამ დროს შტუტგარტის „გოტლიბ-დაიმლერ-შტადიონზე“ საფინალო სასტვენი გაისმა, რომელმაც ადგილობრივ პუბლიკას სტუმართა გუნდის გამარჯვება ამცნო. BVB-ს ეს თამაშიც რომ წაეგო, „დორტმუნდის“ შეფები დოლს აუცილებლად დაითხოვდნენ. *„შარშანაც ასეთ მდგომარეობაში ვიყავი, მაგრამ „ბორუსია“ „ჰამბურგისგან“ სწორედ იმით განსხვავდება, რომ კრიზისის დროს აქ ყველანი ერთმანეთს მხარში უდგანან,“* – ასეთი იყო დოლის რეაქცია. „შტუტგარტისთვის“ კი ეს მარცხი ძალიან მტკივნეულია, რადგან ზედიზედ ოთხმატჩიანი მოგებათა სერიის შემდეგ გულშემატკივრები როგორც იქნა, VFB-სკენ შემობრუნდნენ, ეგონათ, ფეხბურთელები აზრზე მოვიდნენო. და სწორედ ამ დროს, მარცხი კრიზისში მყოფ „დორტმუნდთან“, რამაც კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ „შტუტგარტის“ სტაბილურობაზე საუბარი ჯერ ნაადრევია.

„ბორუსიის“ პირველი გოლი კარგი ანეკდოტი იყო: მე-11 წუთზე **დედეს** ჩაწოდება შვაბთა მეკარე **რაფაელ შეფერმა** ვერ გააუვნებელყო, ბურთი **დელპიერს** მოხვდა და კარის ხაზი გადაკვეთა. 35-ე წუთზე წონასწორობა შვაბთა კაპიტანმა **ფერნანდო მეირამ** ზუსტი თავური დარტყმით ალადგინა. იმავე წუთზე, **კაკაუს** მეორე გოლი გაჰქონდა, მაგრამ მსაჯმა მასზე ერთობ საეჭვო თამაშგარე მდგომარეობა დააფიქსირა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ „ბორუსიამ“ ამ სეზონში საუკეთესო გასვლითი მატჩი ჩაატარა და მოგებაც დამსახურებულია: 79-ე წუთზე **მლადენ პეტრიჩმა ფედერიკოსგან** კარგი პასი მიიღო და მძიმე მდგომარეობაში მყოფ BVB-ს უმნიშვნელოვანესი 3 ქულა მოუტანა (პეტრიჩის მე-7 გოლი მიმდინარე სეზონში). რატომ ითამაშა „დორტმუნდმა“ ყველასათვის მოულოდნელად ასე კარგად? **ვაიდენფელერი**: *„ფეხბურთელები დავსხედით და დაველაპარაკეთ – მწვრთნელისა და ხელმძღვანელების გარეშე. ვფიქრობ, ამან შედეგი გამოიღო.“*

„შალკემ“ „ბოხუმთან“ 3 ქულა მოიპოვა და მეტი არაფერი! თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო გელზენკირხენელთა ერთ-ერთი ყველაზე უსახური თამაში მიმდინარე სეზონში, თუმცა გამარჯვება მაინც „ხუმარებს“ დარჩათ და მთავარიც ხომ ესაა. მაგრამ „შალკეს“ ერთგულ ფანებს მხოლოდ 3 ქულა არ აკმაყოფილებთ – ამიტომაც იყო, საფინალო სასტვენის შემდეგ თავიანთი საყვარელი გუნდის მოთამაშეები მოედნიდან სტვენით რომ გააცილეს. რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, „შალკე“ სტუმრად უფრო კარგად გამოიყურება (4:3 ჰანოვერში), ვიდრე შინ (0:1 „ვალენსიასთან“, 0:0 „ჩელსისთან“ და ა.შ.). **მირკო სლომკას** გუნდმა ამ სეზონში 8 საშინაო შეხვედრიდან 4 ვერ მოიგო. „შალკეს“ ბოხუმთანაც დაეტყო ის, რომ ნახევარდაცვაში მოაზროვნე კადრები არ ჰყავს, რომ ახალგაზრდა ფლეიმეიქერები, **იოზილი** და **რაკიტიჩი** ჯერ ვერ არიან ისეთები, როგორიც **ლინკოლნი** იყო. თავდასხმაში კი, საკმარისია **კევინ კურანის** თამაში არ წაუვიდეს, რომ გელზენკირხენულ კლუბს გოლის გატანა ძალიან გაუჭირდება. მაგალითად, „ბოხუმთან“, **ჰამით ალთინთოფმა** იმდენი მომენტი გააფუჭა, რომ ქომაგებს თმები ყალყზე დაუდგათ. ერთ-ერთ ეპიზოდში თურქმა ბურთი კარს 5 მეტრიდან ააცილა. მოკლედ, ბოხუმელები კარგად იბრძოდნენ, მაგრამ კლასმა მაინც თავისი ქნა: რაკიტიჩის კუთხურს **ბორდონი** გამოეხმაურა და თავით გაუტანა **რენოს** (**დრშეკი** სასტიკად შეცდა). მეორე ტაიმში ბოხუმელებს, კერძოდ კი **ფუხსს** სამჯერ შეეძლო გათანაბრება, მაგრამ 20 მეტრიდან უძლიერესი დარტყმა **ნოიერმა** მოიგერია (56), მერე მისი მაკრატელა ძელს მოხვდა (58), ბოლოს კი მანვე ბურთი მცირე მანძილით ააცილა „შალკეს“ კარს.

„ლევერკუზენი“ აღარ ხუმრობს! „ფარმაცევტებმა“ ზედიზედ მეოთხე თამაში მოიგეს და რაც მთავარია, ისევ დიდი ანგარიშით (3:0), თანაც სტუმრად, ამჯერად ბერლინში. ამ ოთხ თამაშში „ლევერკუზენს“ 13 გოლი აქვს გატანილი (4:0 „არმინიასთან“, 2:1 ვოლფსბურგში, 4:1 „დუისბურგთან“ და ახლა 3:0 ბერლინში). „ბაიერი“ უბერებელმა **კარსტენ რამელოვმა** დააწინაურა, რომელიც ხანგრძლივი პაუზის შემდეგ ძირითად შემადგენლობაში დაბრუნდა (სასტარტოში ბოლოს 31 აგვისტოს იყო). წარმოშობით ბერლინელმა რამელოვმა (ლევერკუზენში 1996 წლიდან თამაშობს) 31-ე წუთზე 20 მეტრიდან განხორციელებული უძლიერესი დარტყმით დაამწუხრა **დრობნი**. 50-ე წუთზე **ფრაიერის, ბარბარესისა** და **ბარნეტას** ჩინებული კომბინაცია ამ უკანასკნელმა უზადო დარტყმით და მეორე გოლით დააგვირგვინა. ბოლო წუთზე კი **ბარბარესმა** ეფექტური დარტყმით საბოლოო ანგარიში დააფიქსირა. „ჰერტას“ ქომაგები მთელი მატჩის განმავლობაში ყვიროდნენ, ეს საცოდაობა ყელში ამოგვივიდაო.

„ლევერკუზენმა“ კი მე-4 ადგილზე აინაცვლა, რადგან „კარლსრუე“ კოტბუსში დამარცხდა. აღარ ვიცით, დავარქვათ თუ არა ბადენელთა ამ წაგებას მოულოდნელი, რადგან რაც არ უნდა იყოს, KSC ბუნდესლიგის ახალწვეულია, მაგრამ სატურნირო ცხრილი იმაზე მეტყველებდა, რომ **ალექსანდრე იაშვილის** გუნდი ამ მატჩის უპირობო ფავორიტი უნდა ყოფილიყო. მაგრამ „ენერგიმ“ **ანგელოვისა** და **რანგელოვის** მეშვეობით დაამტკიცა, რომ ეს გუნდი არ მომკვდარა.

„ვოლფსბურგმა“ საკუთარ მოედანზე „აინტრახტის“ დამარცხება ვერ შეძლო (2:2), რაც „მგლების“ მთავარმა მწვრთნელმა **ფელიქს მაგათმა** სავსებით სამართლიანად მეკარე **სიმონ იენტცშს** დააბრალა, რომელიც **კრისის** გოლის დროს სასტიკად შეცდა და საერთოდ, ბოლო დროს ძალიან ბევრ შეცდომას უშვებს. დააკვირდით ტექნიკურ შედეგებში, მაგათმა იენტცში შესვენებაზე შეცვალა და კარში სათადარიგო მეკარე **ანდრე ლენცი** ჩააყენა, რომელმაც მეორე ნახევარში ორჯერ იხსნა „ვოლფსბურგი“. ამრიგად, დიდი შანსია, რომ მაგათი იენტცშს, რომელსაც ბუნდესლიგაში 241 მატჩი აქვს ჩატარებული, მომდევნო ტურშიც აღარ ენდოს. ლენცი კი ბუნდესლიგაში ორწელიწადნახევრიანი პაუზის შემდეგ დაბრუნდა. ამ ხნის მანძილზე „ვოლფსბურგის“ კარს ყველა თამაშში იენტცში იცავდა.

როგორც ხედავთ, ბრემენელი ვრანიეშის წინათგრძნობა არ გამართლდა: გუშინ „ბაიერნმა“ ზედმეტი ნერვიულობის გარეშე, მინიმალური ანგარიშით იმარჯვა ბილეფელდში და ისევ ცხრილის სათავეში მოექცა. ეს ერთადერთი გოლი **ფრანკ რიბერიმ** 22-ე წუთზე **ლუკა ტონის** პასით გაიტანა. გუშინვე, დუისბურგში გასავარდნ ზონაში მყოფთა ომი შედგა, რომელიც ადგილობრივმა MSV-მ ასევე 1:0 მოიგო.

### მომდევნო ტური

7 დეკემბერი. დორტმუნდი-არმინია; 8 დეკემბერი. შტუტგარტი-ვოლფსბურგი, ბაიერნი-დუისბურგი, ჰამბურგი-კოტბუსი, ბოხუმი-კარლსრუე, ჰანოვერი-ვერდერი, აინტრახტი-შალკე; 9 დეკემბერი. ლევერკუზენი-ჰანზა, ნიურნბერგი-ჰერტა.

### ჰანზა-ჰანოვერი 0:3

**ჰანზა**: ვეხტერი-5.5, დ. ლანგენი-4.5, სებასტიანი-3.5, ორესტესი-4, მ. შტაინი-3.5, რათგები-4, ბაიბლიხი-3.5 (87. ჰენგე), დორნი-4 (77. ბარტელსი), რანი-4.5 (46. პირსი-3.5), კერნი-4.5, აგალი-3.

**ჰანოვერი**: ენკე-3.5, ჩერუნდოლო-3, ვინიციუსი-2.5, ფარენჰორსტი-3, კ. შულცი-3, ბალიტში-4, ლალა-3, ს. პინტუ-3.5 (75. შტაინერი), ლაუთი-5 (69. ჰაშემიანი-2), ჰუშტი-2 (85. კრენსი), ჰანკე-3.

**გოლები**: 0:1 ფარენჰორსტი (84), 0:2 ჰანკე (86), 0:3 შტაინერი (87).

**გაფრთხილება**: 0-1; **დარტყმა**: 17-19; **კუთხური**: 6-7; **ჯარიმა**: 12-20; **ბურთის ფლობა**: 45%-55%.

**მაყურებელი**: 17 000.

### შტუტგარტი-ბორუსია (დ) 1:2

**შტუტგარტი**: რ. შეფერი-4.5, ტასკი-4 (46. ბაშთურქი-3.5), მეირა-3, დელპიერი-4.5, მანინი-2.5, ჰილბერტი-4 (62. ოსორიო-4), პარდო-3.5, ჰიტცლშპერგერი-3, ხედირა-4 (80. ევერტონი), მარიკა-3.5, კაკაუ-4.

**ბორუსია (დ)**: ვაიდენფელერი-2.5, ბლაშჩიკოვსკი-3, ამედიკი-4, კოვაჩი-3.5, დედე-3, კელი-2, კრინგე-3, ტინგა-3.5, ფედერიკო-3.5 (89. კრუსკა), პეტრიჩი-2.5, ვალდესი-4 (78. ბაკლი).

**გოლები**: 0:1 დელპიერი (11-საკ. კარში), 1:1 მეირა (35), 1:2 პეტრიჩი (79).

**გაფრთხილება**: 1-2; **დარტყმა**: 17-18; **კუთხური**: 4-2; **ჯარიმა**: 13-19; **ბურთის ფლობა**: 52%-48%.

**მაყურებელი**: 55 000.

### ვოლფსბურგი-აინტრახტი 2:2

**ვოლფსბურგი**: იენტცში-5 (46. ლენცი-3.5), ბაიერი-3, შიმუნეკი-4, რიკარდო კოშტა-4, კიროგა-3.5, გენტნერი-3, ჟოსუე-3, დეჟაგა-3.5 (84. რადუ), მარსელინიო-3.5, მუნტეანუ-4.5 (46. ჯეკო-2), გრაფიტე-3.

**აინტრახტი**: პრიოლი-4, პ. ოხსი-2, რუსი-3.5, გალინდო-4, შპიხერი-4.5, კრისი-3.5, მ. ფინკი-3.5, მაჰდავიკია-4 (77. ჰესი), ტოსკი-4 (80. ლიუბიჩიჩი), კიოლერი-3 (91. ჩაფტარი), ამანატიდისი-3.5.

**გოლები**: 1:0 გენტნერი (6), 1:1 კრისი (35), 2:1 ჯეკო (48), 2:2 მ. ფინკი (52).

**გაფრთხილება**: 0-0; **დარტყმა**: 11-12; **კუთხური**: 12-7; **ჯარიმა**: 20-16; **ბურთის ფლობა**: 55%-45%.

**მაყურებელი**: 20 656.

### კოტბუსი-კარლსრუე 2:0

**კოტბუსი**: ტრემელი-2.5, ვ. და სილვა-3, მიტრესკი-3, კვიტანოვიჩი-3.5, ციბიგი-2.5, ბასილა-2.5, ს. ანგელოვი-2, ტ. როსტი-3.5 (88. კიოიო), სკელა-2.5, რანგელოვი-2 (91. ალონეფტისი), დ. სიორენსენი-4 (76. რივიჩი).

**კარლსრუე**: კორნეტცკი-3.5, ა. გიორლიტცი-3.5, ეგიმანი-3, შტოლი-3.5, აიხნერი-5, პორცელო-4, მუტცელი-4.5, ტიმი-4.5 (58. ადუბე-4.5), ჰაინალი-4.5, ფრაისი-4, კაპლანი-3.5 (68. ორაჰოვიჩი-4).

**გოლები**: 1:0 ს. ანგელოვი (62), 2:0 რანგელოვი (75).

**გაფრთხილება**: 2-1; **დარტყმა**: 14-17; **კუთხური**: 6-7; **ჯარიმა**: 24-19; **ბურთის ფლობა**: 43%-57%.

**მაყურებელი**: 10 914.

### შალკე-ბოხუმი 1:0

**შალკე**: ნოიერი-3.5, რაფინია-4, ბორდონი-1.5, კრსტაიჩი-2.5, ვესტერმანი-4, ჯონსი-3, ერნსტი-3.5, რაკიტიჩი-3 (82. გროსმიულერი), იოზილი-3.5 (62. ასამოა-3.5), ჰალილ ალთინთოფი-4 (62. ლოვენკრანდსი-4), კურანი-4.

**ბოხუმი**: რენო-4.5, კონჩა-4, მალტრიტცი-3.5, იაია (14. პ. ბიონიგი-4), პფერტცელი-4, იმჰოფი-4.5, დრშეკი-5 (73. ბეხმანი), ეპალე-5, დ. ფუხსი-3, სესტაკი-5, მიჩიელი-5.

**გოლი**: 1:0 ბორდონი (32).

**გაფრთხილება**: 1-1; **დარტყმა**: 14-9; **კუთხური**: 12-1; **ჯარიმა**: 16-15; **ბურთის ფლობა**: 56%-44%.

**მაყურებელი**: 61 482.

### ჰერტა-ლევერკუზენი 0:3

**ჰერტა**: დრობნი-3, ჩაჰედი-4.5, ა. ფრიდრიხი-5, ფონ ბერგენი-4, ფათი-5, მინეირო-4.5 (74. გრანი), შიმუნიჩი-4, ლუსტენბერგერი-4.5, ჟილბერტო-4, ებერტი-4 (46. ანდრე ლიმა-4), პანტელიჩი-3.

**ლევერკუზენი**: რ. ადლერი-3, მ. ფრიდრიხი-3, ჰაგი-3.5, შარპეი-3, რამელოვი-3 (82. ზინკევიჩი), როლფესი-2.5, ფრაიერი-3 (72. ბ. შნაიდერი), ბარბარესი-2, ბარნეტა-2 (91. დუმი), კისლინგი-3.5.

**გოლები**: 0:1 რამელოვი (31), 0:2 ბარნეტა (50), 0:3 ბარბარესი (90).

**გაფრთხილება**: 3-4; **დარტყმა**: 14-13; **კუთხური**: 8-3; **ჯარიმა**: 15-19; **ბურთის ფლობა**: 45%-55%.

**მაყურებელი**: 40 527.

### ვერდერი-ჰამბურგი 2:1

**ვერდერი**: ფანდერი-5, პასანენი-2.5, მერტეზაკერი-3, ნალდო-2.5, ტოშიჩი-3, ბაუმანი-3.5 (46. ჰანტი-4), ვრანიეში-2.5, იენსენი-2, დიეგო-2.5, როზენბერგი-4 (81. კლასნიჩი), სანოგო-2.5 (87. ლ. ანდრეასენი).

**ჰამბურგი**: ფ. როსტი-4, ჯ. ბოატენგი-3.5, ბ. რაინჰარდტი-4, მატიისენი-3.5, ატუბა-4.5, იაროლიმი-3.5, დე იონგი-4 (59. კასტელენი-3.5), დემელი-4 (59. კომპანი-4), ვან დერ ვაარტი-2.5, ტროხოვსკი-5 (69. ზიდანი-4), ოლიჩი-3.5.

**გოლები**: 1:0 სანოგო (15), 1:1 ვან დერ ვაარტი (61), 2:1 პასანენი (64).

**გაფრთხილება**: 1-3; **დარტყმა**: ; **კუთხური**: ; **ჯარიმა**: ; **ბურთის ფლობა**: %-%.

**მაყურებელი**: 42 100.

### არმინია-ბაიერნი 0:1

**არმინია**: ჰაინი-4.5 (46. ფერნანდესი-3.5), კორზინიტცი-4, კუჩერა-3, გაბრიელი-4.5, შულერი-4.5 (82. ბიომე), კაუფი-4, ზუმა-5, კირხი-3.5, ტ. მარქსი-4, კამპერი-4.5, ვიხნიარეკი-5.5.

**ბაიერნი**: კანი-3, ლელი-2.5, ვან ბუიტენი-3.5, დემიკელისი-3, ლამი-3.5, ვან ბომელი-2.5, ზე რობერტო-3.5, კროოსი-3.5 (74. ჰამით ალთინთოფი), რიბერი-2, კლოზე-3 (88. ოტლი), ტონი-2.5.

**გოლი**: 0:1 რიბერი (22).

**გაფრთხილება**: 1-1; **დარტყმა**: 11-14; **კუთხური**: 0-3; **ჯარიმა**: 21-26; **ბურთის ფლობა**: 48%-52%.

**მაყურებელი**: 23 800.

### დუისბურგი-ნიურნბერგი 1:0

**დუისბურგი**: შტარკე-2, ვებერი-2.5, როკე ჟუნიორი-2.5 (85. ფილიპესკუ), შლიკე-3.5, ვილი-3.5, გრლიჩი-2, ტარარაჩე-4, ტიფერტი-4.5 (46. გეორგიევი-4), მოხტარი-4, იშიაკუ-3.5 (37. აილტონი-4), ლავრიჩი-4.

**ნიურნბერგი**: ბლაჟეკი-4, დ. რაინჰარდტი-4.5, ა. ვოლფი-4, ბოშამი-4.5, რ. შმიდტი-4.5, გალაშეკი-3.5, ენგელჰარდტი-4 (75. საენკო), ნ. ადლერი-5, მინტალი-4 (81. ვიდოშიჩი), მისიმოვიჩი-3.5, ხარისტეასი-5 (76. ბენკო).

**გოლი**: 1:0 გრლიჩი (72).

**გაფრთხილება**: 0-1; **დარტყმა**: 10-16; **კუთხური**: 8-9; **ჯარიმა**: 20-18; **ბურთის ფლობა**: 46%-54%.

**მაყურებელი**: 23 000.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაიერნი | 15 | 10 | 4 | 1 | 31-8 | 34 |
| 2. ვერდერი | 15 | 10 | 3 | 2 | 34-18 | 33 |
| 3. ჰამბურგი | 15 | 9 | 3 | 3 | 23-12 | 30 |
| 4. ლევერკუზენი | 15 | 8 | 3 | 4 | 27-11 | 27 |
| 5. კარლსრუე | 15 | 8 | 2 | 5 | 16-18 | 26 |
| 6. შალკე | 15 | 6 | 7 | 2 | 22-14 | 25 |
| 7. ჰანოვერი | 15 | 7 | 3 | 5 | 22-20 | 24 |
| 8. შტუტგარტი | 15 | 7 | 1 | 7 | 21-22 | 22 |
| 9. ჰერტა | 15 | 6 | 1 | 8 | 18-22 | 19 |
| 10. აინტრახტი | 15 | 4 | 7 | 4 | 16-21 | 19 |
| 11. ბოხუმი | 15 | 5 | 3 | 7 | 23-23 | 18 |
| 12. ბორუსია (დ) | 15 | 5 | 3 | 7 | 20-25 | 18 |
| 13. ვოლფსბურგი | 15 | 4 | 5 | 6 | 25-27 | 17 |
| 14. არმინია | 15 | 4 | 3 | 8 | 16-32 | 15 |
| 15. ჰანზა | 15 | 4 | 2 | 9 | 14-23 | 14 |
| 16. ნიურნბერგი | 15 | 3 | 3 | 9 | 18-25 | 12 |
| 17. დუისბურგი | 15 | 4 | 0 | 11 | 14-25 | 12 |
| 18. კოტბუსი | 15 | 2 | 5 | 8 | 12-26 | 11 |

**ბომბარდირები**: 9 – ვან დერ ვაარტი (ჰამბურგი), კლოზე (ბაიერნი), ტონი (ბაიერნი); 7 – პანტელიჩი (ჰერტა), დიეგო (ვერდერი), უგო ალმეიდა (ვერდერი), პეტრიჩი (ბორუსია დ), სანოგო (ვერდერი), გეკასი (ლევერკუზენი), გომესი (შტუტგარტი).

### II ბუნდესლიგა

XV ტური

**კარლ ცაისი-აუე 2:1**

**გოლები**: 0:1 ემერიხი (8-პენ), 1:1 პეტერსენი (74), 2:1 შიმაკი (89-პენ).

**ვეენი-ბორუსია (მ) 1:1**

**გოლები**: 1:0 სიმაჩი (30), 1:1 კოლაუტი (88).

**ზტ. პაული-კაიზერსლაუტერნი 3:4**

**გოლები**: 1:0 ტაკიი (13-პენ), 2:0 ტროიანი (21), 2:1 სიმპსონი (26), 2:2 იენდრიშეკი (30), 2:3 ბრონიშევსკი (44), 3:3 მეგლე (48), 3:4 ბელინგჰაუზენი (69).

**ფიურტი-ოსნაბრიუკი 6:3**

**გოლები**: 0:1 რაიხენბერგერი (19), 1:1 კოტულიაცი (29), 2:1 ნერიგი (35), 3:1 ლანიგი (41), 3:2 მანო (60), 3:3 რაიხენბერგერი (66), 4:3 რაიზინგერი (72), 5:3 რაიზინგერი (87), 6:3 კოტულიაცი (90).

**მიუნხენი-პადერბორნი 0:0**

**კიოლნი-აუგსბურგი 3:0**

**გოლები**: 1:0 ნოვაკოვიჩი (23), 2:0 ბროიხი (74), 3:0 ნოვაკოვიჩი (75).

**კობლენცი-ჰოფენჰაიმი 2:2**

**გოლები**: 0:1 სალიჰოვიჩი (7), 1:1 სუკალო (44), 1:2 ედუ (50), 2:2 ძაკა (64).

**ოფენბახი-ფრაიბურგი 0:0**

**ალემანია-მაინცი** დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბორუსია (მ) | 15 | 9 | 5 | 1 | 32-16 | 32 |
| 2. ფრაიბურგი | 15 | 8 | 5 | 2 | 24-15 | 29 |
| 3. კიოლნი | 15 | 8 | 3 | 4 | 30-21 | 27 |
| 4. ფიურტი | 15 | 7 | 5 | 3 | 25-17 | 26 |
| 5. მაინცი | 14 | 7 | 4 | 3 | 27-15 | 25 |
| 6. მიუნხენი | 15 | 6 | 7 | 2 | 24-15 | 25 |
| 7. ვეენი | 15 | 5 | 6 | 4 | 23-23 | 21 |
| 8. ჰოფენჰაიმი | 15 | 5 | 6 | 4 | 21-21 | 21 |
| 9. კობლენცი | 15 | 5 | 5 | 5 | 21-25 | 20 |
| 10. ალემანია | 14 | 5 | 4 | 5 | 20-18 | 19 |
| 11. ზტ. პაული | 15 | 5 | 3 | 7 | 17-22 | 18 |
| 12. ოსნაბრიუკი | 15 | 4 | 4 | 7 | 19-29 | 16 |
| 13. ოფენბახი | 15 | 4 | 4 | 7 | 12-24 | 16 |
| 14. კაიზერსლაუტ. | 15 | 3 | 3 | 6 | 14-16 | 15 |
| 15. აუე | 15 | 4 | 3 | 8 | 21-25 | 15 |
| 16. აუგსბურგი | 15 | 3 | 5 | 7 | 18-27 | 14 |
| 17. პადერბორნი | 15 | 1 | 7 | 7 | 8-17 | 10 |
| 18. კარლ ცაისი | 15 | 2 | 4 | 9 | 19-29 | 10 |

**ბომბარდირები**: 14 – ნოვაკოვიჩი (კიოლნი); 9 – ფრინდი (ბორუსია მ); 8 – რაიზინგერი (ფიურტი); 7 – გუნკელი (მაინცი), ნოივილი (ბორუსია მ), დი სალვო (მიუნხენი), რაიხენბერგერი (ოსნაბრიუკი), ჰელმესი (კიოლნი), ბორხა (მაინცი), გიოქთანი (მიუნხენი).

### რეგიონალლიგა (ჩრ)

XX ტური

ემდენი-ბრაუნშვაიგი 0:1; დრეზდენი-ჰამბურგი II 4:1; ფერლი-კოტბუსი II 0:1; მაგდებურგი-ვერდერი II 1:1; ლიუბეკი-ვუპერტალი 0:2; დიუსელდორფი-უნიონი 0:1; ალენი-ერფურტი 1:2; ობერჰაუზენი-როტ-ვაის ესსენი 1:0.

### რეგიონალლიგა (სამ)

XVIII ტური

ბურგჰაუზენი-კარლსრუე II 0:0; მიუნხენი II-ზიგენი 3:0; ელვერსბერგი-შტუტგარტი II 2:0; აალენი-კასელი 1:2; როიტლინგენი-ბაიერნი II 2:1; ფრანკფურტი-პფულენდორფი 3:2; უნტერჰახინგი-რეგენსბურგი 1:0; ოგერსჰაიმი-ზანდჰაუზენი 0:0; შტუტ. კიკერსი-ინგოლშტადტი 0:1.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი. XIV ტური

# მესის მაგია საკმარისი არ აღმოჩნდა

## ბარსელონამ სტუმრად მოგება უნდა ისწავლოს


რაულმა დუბლი შეასრულა

„ბარნაბეუზე" „რეალი" კვლავ შეუჩერებელია. სამეფო კლუბმა საკუთარ სტადიონზე მეშვიდე შეხვედრა ჩაატარა და მეშვიდე გამარჯვება იზეიმა. სანტანდერელთა დამარცხებაში მთავარი როლი **რაულმა** შეასრულა. კაპიტანმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი ფეხბურთელია. რაულმა შეხვედრის დებიუტში მასპინძელთა შესანიშნავი კომბინაცია დააგვირგვინა. გოლი ძალიან ეფექტური და ლამაზი გამოდგა. დედაქალაქელები სწრაფმა გოლმა ვერ დაამშვიდა. ისინი კვლავ დიდი ძალებით უტევდნენ და სასურველ შედეგს საკმაოდ მალე მიაღწიეს. მეათე წუთზე **სნაიდერისგან** შენუხებულმა და შეშინებულმა **სერხიო სანჩესმა** ბურთი უხეიროდ მოიგერია და ავტოგოლი მიითვალა. ჰოლანდიელი ნახევარმცველი **გუტის** დისკვალიფიკაციის გამო ძირითად შემადგენლობას დაუბრუნდა. მან საკმაოდ კარგად ისპარეზა. სანტანდერელები პირველივე ტაიმში შეეცადნენ, სხვაობა შეემცირებინათ, მაგრამ სანადელს ვერ მიაღწიეს. შესვენების შემდეგ მოვლენათა ეპიცენტრში კვლავ რაული მოექცა. გონსალეს ბლანკომ 69-ე წუთზე ულამაზესი საჯარიმო გაიტანა. რამდენიმე წუთში **პედრო მუნიტისმა** ერთი ბურთი გაქვითა, მაგრამ ამით არაფერი შეცვლილა. მატჩის ბედი უკვე დიდი ხნის გადაწყვეტილი იყო და ეს რა თქმა უნდა, რაულის დამსახურება გახლდათ. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ სამეფო კლუბმა გუნდის გული, ძრავა და სიმბოლო დაიბრუნა. თუ ვინმე თვლის, რომ ეს მხოლოდ ლიტონი სიტყვებია, ვურჩევთ, გონსალეს ბლანკოს წლევანდელ მაჩვენებლებს გაეცნოს. საგოლე გადაცემების, ართმეული ბურთებისა და უშუალოდ გოლების რაოდენობით ის ერთ-ერთი გამორჩეულია მთელ პრიმერა დივიზიონში. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, მეშვიდე ნომერმა „რასინგის" დამარცხებაში ლომის წვლილი შეიტანა.

შაბათის შეხვედრა **იკერ კასილიასისთვის** განსაკუთრებული გახლდათ. საქმე ის არის, რომ ახალგაზრდა მეკარემ სამეფო კლუბის ღირსება მ-400 მატჩში დაიცვა. დაგვეთანხმებით, 26 წლის მოთამაშისთვის ეს ფენომენალური მაჩვენებელია. იკერი ლეგენდარულ **ველასკესსა** და **ხუანიტოს** მხოლოდ ერთი თამაშით ჩამორჩება. ბუნებრივია, „რეალის" ვეტერანებს ის უახლოეს დღეებში გადაასწრებს. აი, **მანოლო სანჩისის** რეკორდის გაუმჯობესება კი საკმაოდ დიდი ხნის საქმეა. სანჩისს „რეალის" მაისურით ყველაზე მეტი, 712 დაპირისპირება აქვს ჩატარებული. თუ კასილიასი მომავალშიც ისევე სტაბილურად ისპარეზებს, როგორც ამას წინა წლებში ახერხებდა, ლეგენდარული კაპიტნის რეკორდს აუცილებლად გადააბიჯებს. ისე კი გამორიცხული არ არის, იკერს არა სანჩისთან, არამედ რაულთან მოუწიოს პაექრობა. საქმე ის არის, რომ გონსალეს ბლანკომ გასულ შაბათს სამეფო კლუბის სახელით 628-ე მატჩი ჩაატარა. სანჩისის დასაჩრდილად ამჟამინდელ კაპიტანს დაახლოებით სამი სეზონის სტაბილურად ჩატარება სჭირდება. ვნახოთ, ვინ მოიპოვებს მოწინავე პოზიციას. ახლა კი დროა, „რეალისა" და „რასინგის" მატჩისშემდგომი განცხადება შემოგთავაზოთ. თქვენს სამსჯავროზე **ბერნდ შუსტერის** სიტყვებს გამოვიტანთ: *„იმედია, თამაშის შეფასებისას ერთსულოვანნი ვიქნებით. სანტანდერელებმა მედგრად იბრძოლეს. ისინი მაშინაც კი არ დაგვნებდნენ, როცა უკვე სამბურთიანი უპირატესობით ვიგებდით. სტუმრები მთელი შეხვედრის განმავლობაში გვავიწროებდნენ, მაგრამ ჩვენ დამაჯერებელი გამარჯვება ვიზეიმეთ. გუნდმა ბევრი იშრომა. ყოველ ფეხბურთელს თვალებში ეწერა, რომ სამი ქულის მოსაპოვებლად იყო დაგეშილი. ასეთი შემართება უშედეგოდ არასოდეს ჩაივლის. მიმაჩნია, რომ დღეს ჩემმა შეგირდებმა სამაგალითო ბრძოლისუნარიანობა გამოამჟღავნეს. გულშემატკივრებს გულითად მადლობას მოვახსენებ. ბრემენში განცდილი მარცხის მიუხედავად მათ კარგად მიგვიღეს და გამარჯვებაში დიდი დახმარება გაგვიწიეს."*

„ესტადიო მონჟუიკზე" ფრიად უცნაური დაპირისპირება გაიმართა. უცნაურობა ტაიმებისა და უშუალოდ გუნდების განსხვავებულობაში გამოიხატება. „ბარსელონამ" კლანჭები პირველივე წამიდან გამოაჩინა. მესამე წუთზე კი გულშემატკივრებმა **ლეო მესის** მორიგი შედევრი იხილეს. ძნელია ამ ეპიზოდის საგაზეთო სტატიით აღქმა. ეს უნდა გენახათ. მოკლედ, ლეომ ფანტასტიკური დრიბლინგით „ესპანიოლის" ნახევარმცველები და მცველები გააბითურა და **ანდრეს ინიესტას** გოლის გატანაში დაეხმარა. ესპანელი მიმომხილველები ერთხმად აღნიშნავენ, უფრო სამართლიანი იქნებოდა, გოლი მესის ანგარიშზე ჩაწერილიყო. სწრაფი წარმატებით გახარებულმა სტუმრებმა მომდევნო ეპიზოდებიც მაღალ დონეზე ჩაატარეს. პირველი ტაიმის შემხედვარე ადამიანი ვერაფრით წარმოიდგენდა, რომ **ფრანკ რაიკაარდის** ბიჭები „მონჟუიკზე" ორ ქულას დატოვებდნენ...

მაგრამ მეორე ტაიმი სწორედ ისეთი სცენარით წარიმართა, რომ „ესპანიოლმა" ძლევამოსილ მეტოქეს ფრე გამოსტაცა. „ბარსა" პირველ ნახევარში გამოუყენებელი მრავალი მომენტის გამო მწარედ დაისაჯა. მასპინძლებმა შეტევისა და ნახევარდაცვის საგრძნობი გააქტიურებით ლოგიკური შედეგი მოიმკეს. **კორომ** ფრანკ რაიკაარდი სასოწარკვეთილებამდე მიიყვანა. ჰოლანდიელმა სპეციალისტმა ქულების დაკარგვა მართლაც ძალიან მტკივნეულად განიცადა: *„არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ პირველ ტაიმში მშვენივრად ვითამაშეთ. გოლიც ძალიან ლამაზი გამოვიდა. დარჩენილ დროში კი არაერთი მომენტი შევქმენით. საუბედუროდ, მეორე ბურთი ველარ შევაგდეთ. შესვენების შემდეგ კი „ესპანიოლმა" გაიტანა და ხელმოცარულები დაგვტოვა. ბუნებრივია, თავს ვერ გავიმართლებთ, რომ შესვენებამდე კარგად გამოვიყურებოდით. ბოლოს და ბოლოს სტუმრად მოგებას თუ არ ვისწავლით სეზონს ჩავაგდებთ. შორმა არ უნდა შევწყვიტოთ. ახლა გუნდი დიდი შემართებით მუშაობს. მომავალში კიდევ უფრო დიდი მონდომებით ვიმუშავებთ. იმედია, უიღბლობის გამო აღარ დავისჯებით."*

მიმომხილველთა პროგნოზი არ გამართლდა. ყველას ეგონა, რომ რაიკაარდი **რონალდინიოს** ძირითად შემადგენლობაში დააბრუნებდა, მაგრამ ჰოლანდიელმა უპირატესობა **ბოიანს** მიანიჭა. გაუჩოს მხოლოდ შეცვლაზე შესვლის შესაძლებლობა მიეცა. არავის გაკვირვებია, რომ მას ღირებული არაფერი გაუკეთებია. ნუთუ, ბრაზილიელის დრო წარსულში დარჩა? ალბათ, ასეთი დასკვნის გამოტანა ნაადრევი და არასერიოზულია.

„ხოსე სორილია" გრანდებს არ აღიარებს. „ვილიარეალმა" „რეალსა" და „ბარსელონას" კასტილიაში ორ-ორი ქულა დაატოვებინა. ახლა კი მათ „ვილიარეალს" სულაც სამი ქულა აართვეს. **მენდილიბარის** ბიჭებმა კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ ლიდერებთან თამაში ბევრად უფრო კარგად გამოსდით. მართალია, „ყვითლებმა" თავდაუზოგავად იბრძოლეს, მაგრამ მასპინძლებმა უფრო დიდი შემართება გამოამჟღავნეს და დამსახურებულად გაიმარჯვეს. გოლები **ლორენტესა** და **ვიქტორის** ანგარიშზე ჩაიწერა. პირველმა თავური დარტყმით შეაგდო, მეორემ კი მცველების შეცდომით ისარგებლა.

„ხეტაფე" აშკარა პროგრესის გზას ადგას. **მიქაელ ლაუდრუპის** შეგირდებმა ბოლო ხუთ შეხვედრაში 15 შესაძლებლიდან 13 ქულა მოიპოვეს. „ლევანტეს" კი პირიქით, ძალიან მწვავე პრობლემები აქვს. ვალენსიელებმა აქამდე ყველა გასვლითი შეხვედრა წააგეს. ამჯერად, მადრიდელებმა **ბრაულიოს** დუბლის წყალობით გაიმარჯვეს. ლაუდრუპი წარმატებით რა თქმა უნდა, ძალიან ბედნიერი დარჩა. დანიელმა სპეციალისტმა ხაზი გაუსვა, რომ მისმა შეგირდებმა კრიზისი დაძლიეს და აღმავალ გზას დაადგნენ. მას იმედი აქვს, რომ „ხეტაფე" უეფას თასის საგზურისთვის იბრძოლებს.

„დეპორტივომ" მშობლიურ „რიასორზე" მიმდინარე სეზონში მეხუთე მარცხი იწვნია. ლაკორუნიელებს საკუთარ სტადიონზე წელს მხოლოდ ერთი მატჩი აქვთ მოგებული. კატასტროფული შედეგები სატურნირო მდგომარეობაზე პირდაპირპროპორციულად აისახება. მიმომხილველები „დეპორს" პრმერადან გავარდნის ერთ-ერთ უპირველეს კანდიდატად მიიჩნევენ.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ **მარტინსის** დუბლმა **ვიქტორ მუნიოსი** უსამსახუროდ დარჩენისგან იხსნა. რამდენიმე დღის წინ გახმაურდა, თუ „რეკრეატივო" საშინაო შეხვედრაში „სარაგოსას" არ დაამარცხებდა, მთავარ მწვრთნელს კარისკენ მიუთითებდნენ. **დიეგო მილიტოს** გოლმა სენიორ მუნიოსი კინალამ ინფარქტამდე მიიყვანა, თუმცა არაგონელთა სიხარული ძალიან მცირე ხანს გაგრძელდა. მარტინსმა პირველ ტაიმში დუბლი შეასრულა და საკუთარი გუნდი გასავარდნ ზონას გაარიდა.

### მომდევნო ტური

9 დეკემბერი. ალმერია-ვალიადოლიდი, ვილიარეალი-ბეტისი, ატლეტიკო-ხეტაფე, ლევანტე-რეკრეატივო, სარაგოსა-ესპანიოლი, ბარსელონა-დეპორტივო, ოსასუნა-ვალენსია, ბილბაო-რეალი, რასინგი-მალიორკა, სევილია-მურსია.

### ალმერია-სევილია 1:0

**ალმერია:** დიეგო ალვესი, ლოპეს რეკარტე, პულიდო, კარლოს გარსია, ხუანმა ორტისი, ფელიპე მელო, ნეგრედო, კრუსატი, მანე (62. აკასიეტე), სორიანო (54. კორონა), კალუ უჩე (78. ნატალიო).

**სევილია:** პალოპი, ფასიო, მოსკერა, კრესპო, დანიელ ალვეში, მარტი, პოულსენი, დიეგო კაპელი, ხესუს ნავასი (90+1. ჩევანტონი), რენატო (57. კეიტა), კანუტე.

**გოლი:** 1:0 აკასიეტე (86)

**გაძევება:** დანიელ ალვეში (46. სევილია)

**გაფრთხილება:** 6-4; **დარტყმა:** 9(4)-16(4); **კუთხური:** 10-12; **თამაშგარე:** 0-3; **ჯარიმა:** 26-18; **ბურთის ფლობა:** 50%-50%

**მაყურებელი:** 16 000

### რეალი-რასინგი 3:1

**რეალი:** კასილიასი, სერხიო რამოსი, პეპე, კანავარო, მარსელო, ბაპტიშტა, დიარა (71. გახო), სნეიდერი (83. სავიოლა), რაული, ვან ნისტელროი, რობინიო (75. რობენი).

**რასინგი:** ტონიო, ორიოლი, გარაი, ლუის ფერნანდესი, სერხიო სანჩესი (63. მორატონი), დუშერი, ხორხე ლოპესი, სერანო, მუნიტისი, კოლსა (79. ხორდი), სმოლიარეკი (72. ჩიტე).

**გოლები:** 1:0 რაული (3), 2:0 სერხიო სანჩესი (9-საკ. კარში), 3:0 რაული (69), 3:1 მუნიტისი (72)

**გაფრთხილება:** 2-3; **დარტყმა:** 13(5)-11(4); **კუთხური:** 6-11; **თამაშგარე:** 4-3; **ჯარიმა:** 17-18; **ბურთის ფლობა:** 52%-48%

**მაყურებელი:** 78 000

### ესპანიოლი-ბარსელონა 1:1

**ესპანიოლი:** კამენი, ტორეხონი, ხარკე, კლემენტე როდრიგესი, საბალეტა, მოისეს ურტადო, ანხელი, ვალდო (64. კორო), რიერა (89. მოა), ტამუდო, ლუის გარსია (79. ჯონათან სორიანო).

**ბარსელონა:** ვიქტორ ვალდესი, მარკესი, გ. მილიტო, აბიდალი, პუიოლი (71. ძამბროტა), ჩავი, იაია ტურე, მესი, ინიესტა, გუდიონსენი (72. ესკერო), კრკიჩი (64. რონალდინიო).

**გოლები:** 0:1 ინიესტა (5), 1:1 კორო (68)

**გაფრთხილება:** 2-1; **დარტყმა:** 8(3)-16(7); **კუთხური:** 4-7; **თამაშგარე:** 3-2; **ჯარიმა:** 18-15; **ბურთის ფლობა:** 42%-58%

**მაყურებელი:** 34 000

### ვალიადოლიდი-ვილიარეალი 2:0

**ვალიადოლიდი:** სერხიო ასენხო, პედრო ლოპესი, გარსია კალვო, მარკოსი, რაფა, ვივარ დორადო, ალვარო რუბიო, სესმა, სისი (61. ბორხა), ვიქტორი (77. ესტოიანოფი), ლორენტე (87. ალექსისი).

**ვილიარეალი:** ვიერა, ხავი ვენტა, ფუენტესი, სიგანი, კაპდევილა, სენა, კანი, ბრუნო (46. კასორლა), პირესი (63. მატი ფერნანდესი), ფრანკო, ნიჰათი (63. ტომასონი).

**გოლები:** 1:0 ლორენტე (18), 2:0 ვიქტორი (56)

**გაფრთხილება:** 1-2; **დარტყმა:** 7(4)-6(2); **კუთხური:** 4-5; **თამაშგარე:** 0-5; **ჯარიმა:** 16-9; **ბურთის ფლობა:** 47%-53%

**მაყურებელი:** 23 000

### ხეტაფე-ლევანტე 2:1

**ხეტაფე:** აბონდანსიერი, კორტესი, კატადიასი, მარიო, ლიხტი, ალბანი, ბრაულიო, კასკერო (46. პაბლო ერნანდესი), გრანერო (58. მანუ დელ მორალი), დე ლა რედი, სოუზა (65. პალარდო).

**ლევანტე:** სტორარი, ხოსე სერანო, ბრუნო, დესკარგა (46. ალვარო), რუბიალესი, ტომაზი, ხავი ფუეგო, კურტუა, სავიო (72. საული), რიგა, გეიხო (63. მიგელ ანხელი).

**გოლები:** 0:1 რიგა (14), 1:1 ბრაულიო (60), 2:1 ბრაულიო (89)

**გაფრთხილება:** 4-5 **დარტყმა:** 24(5)-8(4); **კუთხური:** 12-2; **თამაშგარე:** 3-0; **ჯარიმა:** 15-20; **ბურთის ფლობა:** 67%-33%

**მაყურებელი:** 19 000

### რეკრეატივო-სარაგოსა 2:1

**რეკრეატივო:** სორენტინო, პამპა კალვო, იაგო ბუსონი, მარტინ კასერესი, პოლი (69. დანი ბაუტისტა), ხესუს ვასკესი, აიტორი, კარლუშ მარტინსი (69. ბარბერი), კამუნასი, ხავი გერერო, სინამა პონგოლე (77. კონგო).

**სარაგოსა:** სესარი, აიალა, პარედესი, ხუანფრანი, დიოგო (65. გაბი), საპატერი, ლუქსენი, აიმარი, დიეგო მილიტო, ოსკარი (65. ოლივეირა), სერხიო გარსია (74. დ'ალესანდრო).

**გოლები:** 0:1 დ. მილიტო (21), 1:1 კარლუშ მარტინსი (25), 2:1 კარლუშ მარტინსი (41)

**გაფრთხილება:** 2-3; **დარტყმა:** 12(8)-11(2); **კუთხური:** 3-9; **თამაშგარე:** 1-3; **ჯარიმა:** 22-15; **ბურთის ფლობა:** 41%-59%

**მაყურებელი:** 19 000

### დეპორტივო-ოსასუნა 1:2

**დეპორტივო:** ავატე, მანუელ პაბლო, ადრიან ლოპესი, კოლოჩინი, ფილიპე ლუისი, გუარდადო, ვერდუ (67. ლაფიტა), დე გუსმანი, სერხიო, რიკი (63. რუბენ კასტრო), ბოდიპო (62. ტაბორდა).

**ოსასუნა:** რიკარდო (82. ელია), კრუჩაგა, მიგელ ფლანიო, მონრეალი, ასპილიკუეტა, პენიალი, პლასილი, ექტორ ფონტი, ველა, მარგარაირასი (85. ხავი გარსია), დადი (91. პანდიანი).

**გოლები:** 0:1 პლასილი (46), 1:1 რუბენ კასტრო (83), 1:2 დადი (88)

**გაფრთხილება:** 0-2; **დარტყმა:** 19(6)-11(6); **კუთხური:** 4-5; **თამაშგარე:** 2-2; **ჯარიმა:** 19-16; **ბურთის ფლობა:** 52%-48%

**მაყურებელი:** 28 000

### მალიორკა-მურსია 1:1

**მალიორკა:** ლუქსი, ექტორი, ბალესტეროსი, ნუნიესი, ფერნანდო ნავარო, იონასი, იბაგასა (84. ბორხა ვალერო), არანგო (63. ვებო), ბასინასი, გუისა, ტუნი (46. კასტრო).

**მურსია:** ნოტარიო, დავიდ დე კოსი, ოჩოა, პენია, არსო, [illegible] (90. ბრუნო), რიჩი, დე ლუკასი, ბაიანო (76. გოიტომი), ინიგო (84. რეგეირო).

**გოლები:** 0:1 ინიგო (23), 1:1 ვებო (68)

**გაფრთხილება:** 1-6; **დარტყმა:** 12(3)-7(3); **კუთხური:** 6-7; **თამაშგარე:** 5-3; **ჯარიმა:** 14-20; **ბურთის ფლობა:** 59%-41%

**მაყურებელი:** 24 000

### ბეტისი-ატლეტიკო 0:2

**ბეტისი:** რიკარდო, დამია, სამორა, მელი, ფერნანდო ვეგა, სომოსა (72. რივერა), არსუ, ედუ, სობისი, ჩისკო (84. კაფა), პავონე.

**ატლეტიკო:** ლეო ფრანკო (87. აბიატი), ანტონიო ლოპესი, პაბლო, ელერი, პერნია, რაულ გარსია, მანიშე, მაქსი როდრიგესი, რეიესი (63. სიმაო), აგუერო (70. მოტა), ფორლანი.

**გოლები:** 0:1 ფორლანი (33), 0:2 რაულ გარსია (90+2)

**გაფრთხილება:** 5-4; **დარტყმა:** 8(3)-18(5); **კუთხური:** 5-0; **თამაშგარე:** 6-0; **ჯარიმა:** 22-24; **ბურთის ფლობა:** 44%-56%

**მაყურებელი:** 34 000

### ვალენსია-ბილბაო 0:3

**ვალენსია:** კანისარესი, მიგელი, ალბიოლი, მარჩენა, მორეტი, მანუელ ფერნანდესი (63. ვისენტე), ედუ (71. ალბელდა), ხოაკინი, სილვა, ვილია, მორიენტესი (62. ჟიგიჩი).

**ბილბაო:** არანსუბია, უსტარიტსი, ამორებიეტა, კოიკილი, ირაოლა, დავიდ ლოპესი, ორბაისი (54. ხავი მარტინესი), გაბილონდო (69. მურილიო), იესტე (77. გარმენდია), ეჩებერია, ლორენტე.

**გოლები:** 0:1 იესტე (32), 0:2 ლორენტე (61), 0:3 ლორენტე (90+2)

**გაფრთხილება:** 3-3; **დარტყმა:** 16(2)-10(4); **კუთხური:** 7-3; **თამაშგარე:** 3-4; **ჯარიმა:** 19-18; **ბურთის ფლობა:** 65%-35%

**მაყურებელი:** 45 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეალი | 14 | 10 | 2 | 2 | 33-14 | 32 |
| 2. ბარსელონა | 14 | 8 | 4 | 2 | 27-11 | 28 |
| 3. ვილიარეალი | 14 | 9 | 1 | 4 | 26-21 | 28 |
| 4. ატლეტიკო | 14 | 8 | 3 | 3 | 29-17 | 27 |
| 5. ესპანიოლი | 14 | 7 | 5 | 2 | 20-15 | 26 |
| 6. ვალენსია | 14 | 8 | 0 | 6 | 20-23 | 24 |
| 7. რასინგი | 14 | 6 | 5 | 3 | 12-12 | 23 |
| 8. მალიორკა | 14 | 5 | 5 | 4 | 24-21 | 20 |
| 9. სარაგოსა | 14 | 5 | 3 | 6 | 21-22 | 18 |
| 10. ხეტაფე | 14 | 5 | 3 | 6 | 16-17 | 18 |
| 11. ბილბაო | 14 | 4 | 5 | 5 | 15-16 | 17 |
| 12. ალმერია | 14 | 4 | 4 | 6 | 12-15 | 16 |
| 13. ვალიადოლიდი | 14 | 4 | 4 | 6 | 21-26 | 16 |
| 14. სევილია | 13 | 5 | 0 | 8 | 24-20 | 15 |
| 15. ოსასუნა | 13 | 4 | 3 | 6 | 16-17 | 15 |
| 16. მურსია | 14 | 3 | 6 | 5 | 10-15 | 15 |
| 17. რეკრეატივო | 14 | 4 | 3 | 7 | 10-19 | 15 |
| 18. დეპორტივო | 14 | 3 | 4 | 7 | 13-21 | 13 |
| 19. ბეტისი | 14 | 2 | 5 | 7 | 13-22 | 11 |
| 20. ლევანტე | 14 | 2 | 1 | 11 | 11-29 | 7 |

**ბომბარდირები:** 8 - რაული (რეალი), ლუიშ ფაბიანო (სევილია), მესი (ბარსელონა); 7 - გუისა (მალიორკა), აგუერო (ატლეტიკო), კანუტე (სევილია), როსი (ვილიარეალი); 6 - მორიენტესი (ვალენსია), ტამუდო (ესპანიოლი), ვან ნისტელროი (რეალი), დ. მილიტო (სარაგოსა), ლორენტე (ვალიადოლიდი), ვიქტორი (ვალიადოლიდი).

### II დივიზიონი

XV ტური

**გრანადა-სპორტინგი** 1:0
გოლი: 1:0 არანდა (37)

**ერკულესი-ხიმნასტიკი** 3:0
გოლები: 1:0 ფერნანდესი (15), 2:0 სენდოა (55), 3:0 სენდოა (87)

**სევილია A-სოსიედადი** 0:0

**ტენერიფე-ნუმანსია** 0:2
გოლები: 0:1 ხაიო (35), 0:2 ხორდა (69)

**მალაგა-სელტა** 1:1
გოლები: 0:1 კანობიო (55), 1:1 კალეხა (56)

**კადისი-ფეროლი** 3:1
გოლები: 1:0 კრისტიანი (8), 2:0 დანი (65), 2:1 ხაიმე (73), 3:1 დანი (86)

**კასტელონი-ლას პალმასი** 1:1
გოლები: 1:0 პერიკო (9), 1:1 ნოზე (21)

**ალავესი-ხერესი** 0:0

**ეიბარი-ეხიდო** 1:0
გოლი: 1:0 კოდინა (48)

**სალამანკა-ალბასეტე** 0:1
გოლი: 0:1 ბაჯო (45)

**კორდობა-ელჩე** 1:1

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მალაგა | 15 | 10 | 1 | 4 | 25-15 | 31 |
| 2. ნუმანსია | 15 | 9 | 3 | 3 | 24-13 | 30 |
| 3. სპორტინგი | 15 | 8 | 3 | 4 | 23-13 | 27 |
| 4. სევილია B | 15 | 6 | 7 | 2 | 15-12 | 25 |
| 5. ერკულესი | 15 | 6 | 5 | 4 | 24-18 | 23 |
| 6. ელჩე | 15 | 6 | 5 | 4 | 19-15 | 23 |
| 7. სელტა | 15 | 5 | 7 | 3 | 17-14 | 22 |
| 8. გრანადა | 15 | 6 | 4 | 5 | 17-16 | 22 |
| 9. სოსიედადი | 15 | 5 | 6 | 4 | 14-13 | 21 |
| 10. ეიბარი | 15 | 6 | 3 | 6 | 15-16 | 21 |
| 11. კორდობა | 15 | 4 | 8 | 3 | 19-20 | 20 |
| 12. სალამანკა | 15 | 5 | 4 | 6 | 21-20 | 19 |
| 13. ხიმნასტიკი | 15 | 5 | 4 | 6 | 18-18 | 19 |
| 14. ტენერიფე | 15 | 4 | 7 | 4 | 18-19 | 19 |
| 15. კასტელონი | 15 | 4 | 6 | 5 | 16-14 | 18 |
| 16. კადისი | 15 | 5 | 3 | 7 | 13-16 | 18 |
| 17. ფეროლი | 15 | 4 | 5 | 6 | 17-21 | 17 |
| 18. ალავესი | 15 | 4 | 5 | 6 | 14-18 | 17 |
| 19. ეხიდო | 15 | 4 | 3 | 8 | 13-25 | 15 |
| 20. ხერესი | 15 | 2 | 7 | 6 | 15-22 | 13 |
| 21. ალბასეტე | 15 | 3 | 4 | 8 | 9-16 | 13 |
| 22. ლას პალმასი | 15 | 2 | 4 | 9 | 14-26 | 10 |

## ინგლისის თასი

| | |
|---|---|
| ჰორშემი-სუონსი | 1:1 |
| ბრედფორდი-ტრანმერი | 0:3 |
| როვერსი-რაშდენი | 5:1 |
| ბარტონი-ბარნეტი | 1:1 |
| ბერი-ექსეტერი | 1:0 |
| კემბრიჯი-უეიმაუთი | 1:0 |
| დაგენჰემი-კიდერმინსტერი | 3:1 |
| ჰერეფორდი-ჰარტლპული | 2:0 |
| ჰადერსფილდი-გრიმსბი | 3:0 |
| მილუოლი-ბორნმუთი | 2:1 |
| ნორთჰემპტონი-უოლსოლი | 1:1 |
| ნოტსი-ჰავანტი | 0:1 |
| ოლდჰემი-ქრიუ | 1:0 |
| ოქსფორდი-საუთენდი | 0:0 |
| სტეინსი-პიტერბორო | 0:5 |
| სუინდონი-ფორესტ გრინი | 3:2 |
| ტორკი-ბრაიტონი | 0:2 |
| ჰაროგეიტი-მენსფილდი | 2:3 |
| პორტ ვეილი-ჩეისაუნი | 1:1 |

## საფრანგეთი

**XVI ტური**

| | |
|---|---|
| ლე მანი-ნანსი | 2:1 |
| ლილი-მარსელი | 1:1 |
| ლორიანი-სტ. ეტიენი | 1:1 |
| მეცი-ოსერი | 0:1 |
| მონაკო-ნიცა | 1:1 |
| პსჟ-კაენი | 0:1 |
| სოშო-ლანსი | 0:2 |
| ბორდო-ტულუზა | 4:3 |
| ვალანსი-რენი | 3:0 |
| ლიონი-სტრასბური | 5:0 |

**II დივიზიონი**

**XVII ტური**

| | |
|---|---|
| აიაჩო-გრენობლი | 2:1 |
| ამიენი-ბრესტი | 1:1 |
| ანჟერსი-ლიბურნი | 1:0 |
| ბულონი-ტრუა | 1:2 |
| შატორუ-ბასტია | 1:1 |
| გინგამი-დიჟონი | 0:0 |
| ნიორი-გენიონი | 2:2 |
| სედანი-კლერმონი | 2:2 |
| რეიმსი-ჰავრი | 3:3 |
| მონპელიე-ნანტი | დღეს |

## ჰოლანდია

**XIII ტური**

| | |
|---|---|
| უტრეხტი-სპარტა | 7:1 |
| გრონინგენი-ვენლო | 1:0 |
| როდა-ვიტესი | 3:2 |
| ვილემი-ექსელსიორი | 6:0 |
| გრააფშაპი-ეინდჰოვენი | 0:1 |
| აიაქსი-ბრედა | 1:3 |
| ტვენტე-ალკმაარი | 2:1 |
| ფეიენოორდი-ჰერაკლესი | 6:0 |
| ნიიმეგენი-ჰერენვეენი | 0:1 |

**II დივიზიონი**

**XIX ტური**

| | |
|---|---|
| აპელდოორნი-ტელსტარი | 0:1 |
| კამბური-ვეენდამი | 1:1 |
| ეინდჰოვენი II-ფორტუნა | 1:0 |
| ვოლენდამი-ვაალვიკი | 1:1 |
| იგლზი-დენ ბოში | 2:3 |
| ჰაარლემი-დორდრეხტი | 1:1 |
| მაასტრიხტი-ცვოლე | 4:1 |
| როსენდალი-ჰელმონდი | 1:4 |
| ტოპ ოსი-ემენი | 4:4 |
| ომნივორლდი-დენ ჰააგი | 4:0 |

## ბელგია

**XIV ტური**

| | |
|---|---|
| ანდერლეხტი-სტანდარდი | 0:0 |
| შარლერუა-ვარეგემი | 2:3 |
| ლოკერენი-სერკლი | 1:1 |
| მეხელენი-რუზელარე | 4:3 |
| მონსი-ვესტერლო | 1:3 |
| მუსკრონი-ბრიუსელი | 1:1 |
| სტ. ტრუიდენი-ბევერსხოტი | 0:3 |
| დენდერი-გენკი | 2:0 |
| ბრიუგე-გენტი | 0:0 |

**II დივიზიონი**

**XIV ტური**

| | |
|---|---|
| ანტვერპენი-ჰევერლე | 1:1 |
| ბევერენი-ტურნე | 1:2 |
| დაინცე-ვაასლანდი | 0:0 |
| ლომელი-ოლ. შარლერუა | 3:0 |
| ტუბიზე-ოსტენდე | 4:0 |
| ჰამე-გეელი | 3:0 |
| ეუპენი-ლიერსი | 1:2 |
| სტ. ჟილი-ვირტონი | 2:1 |
| ტინენი-კორტრიიკი | 2:3 |

## პორტუგალია

**XII ტური**

| | |
|---|---|
| სეტუბალი-ბელენენსეში | 1:1 |
| ბენფიკა-პორტუ | 0:1 |
| ამადორა-ლეიქსოეში | 2:0 |
| ნავალი-ფერეირა | 2:1 |
| ნასიონალი-ბოავიშტა | 2:0 |
| სპორტინგი-ლეირია | 1:1 |
| ბრაგა-მარიტიმუ | გვ. დას. |
| გიმარაეში-აკადემიკა | დღეს |

**II დივიზიონი**

**XII ტური**

| | |
|---|---|
| რიუ ავე-ტროფენსე | 1:1 |
| ვარზიმი-სანტა კლარა | 3:1 |
| ვიზელა-ავეში | 2:0 |
| ფატიმა-პენაფიელი | 0:3 |
| ფეირენსე-ეშტორილი | 2:1 |
| ჟილ ვისენტე-ფრეამუნდე | 1:0 |
| გონდომარი-ბეირა მარი | 1:0 |
| პორტიმონენსე-ოლანენსე | 2:1 |

## შოტლანდია

**XV ტური**

| | |
|---|---|
| ჰარტსი-სელტიკი | 1:1 |
| დანდი იუნ-ინვერნესი | 0:1 |
| მოზერველი-გრეტნა | 3:0 |
| რეინჯერსი-კილმარნოკი | 2:0 |
| სტ. მირენი-ფალკირკი | 1:5 |
| აბერდინი-ჰიბერნიანი | 3:1 |

**I დივიზიონი**

**XIV ტური**

| | |
|---|---|
| კლაიდი-ქუინი | 0:0 |
| დანფერმლაინი-დანდი | 0:1 |
| მორტონი-ლივინგსტონი | 2:2 |
| პარტიკი-სტ. ჯონსტონი | 2:2 |
| სტირლინგი-ჰამილტონი | 2:4 |

**II დივიზიონი**

**XIV ტური**

| | |
|---|---|
| ეირი-კოუდენბითი | 1:4 |
| ბრეჩინი-ბირუიკი | 2:2 |
| პიტერჰედი-ეირდრი | 0:1 |
| ქუინზ პარკი-ალოა | 1:0 |
| როსი-რეითი | 2:3 |

**III დივიზიონი**

**XIII ტური**

| | |
|---|---|
| ალბიონი-ელჯინი | 3:4 |
| არბროა-ფორფარი | 3:4 |
| ისტ ფაიფი-მონროუზი | 2:0 |
| სტენჰაუზმური-დამბარტონი | 2:1 |
| სტრანრარი-ისტ სტირლინგი | 2:1 |

## ავსტრია

**XXI ტური**

| | |
|---|---|
| აუსტრია (კ)-ტიროლი | 0:2 |
| ალტახი-ლინცერი | 0:0 |
| რაპიდი-ზალცბურგი | 1:3 |
| შტურმი-მატერსბურგი | 2:1 |
| რიდი-აუსტრია (ვ) | 1:1 |

**II დივიზიონი**

**XIX ტური**

| | |
|---|---|
| შვადორფი-ბად ოსი | 0:0 |
| აუსტრია II-აუსტრია (ლ) | 2:1 |
| ლუშტენაუ-გრატკორნი | 0:1 |
| კერნტენი-ლეობენი | 0:0 |
| პარნდორფი-ზალცბურგი II | 2:1 |
| კაპფენბერგი-შვანენშტადტი | 5:0 |

## დანია

**XVIII ტური**

| | |
|---|---|
| რანდერსი-ვიბორგი | 0:2 |
| ნორდსილანდი-ოდენსე | 3:3 |
| ოლბორგი-ლუნგბიუ | 5:3 |
| ორჰუსი-მიდტიულანდი | 2:0 |
| კოპენჰაგენი-ბრონდბიუ | 1:1 |
| ესბერგი-ჰორსენსი | დღეს |

## საბერძნეთი

**X ტური**

| | |
|---|---|
| პანათინაიკოსი-ქსანთი | 0:0 |
| აპოლონი-ლევადია | 2:0 |
| არისი-აეკ | 0:1 |
| ოფი-ლარისა | 0:0 |
| პანიონიოსი-ირაკლისი | 1:1 |
| ვერია-ერგოტელისი | 1:1 |
| ასტერასი-პაოკ | 2:0 |
| ატრომიტოსი-ოლიმპიაკოსი | 1:3 |

## შვეიცარია

**XVII ტური**

| | |
|---|---|
| ქსამაქსი-გრასჰოპერსი | 4:1 |
| სიონი-ლუცერნი | 0:0 |
| სტ. გალენი-იანგ ბოიზი | 2:7 |
| ტუნი-ბაზელი | 0:2 |
| ციურიხი-არაუ | 0:1 |

**ჩელენჯლიგა**

**XVII ტური**

| | |
|---|---|
| კონკორდია-კრიენსი | 1:1 |
| ფონდსი-ვოლენი | 2:1 |
| ლოკარნო-კიასო | 1:5 |
| ლუგანო-ლოზანა | 0:0 |
| შაფჰაუზენი-ივერდონი | 2:2 |
| ვილი-ბელინცონა | 2:0 |
| ვინტერტური-ჩამი | 2:1 |
| დელემონი-ვადუცი | 1:4 |
| სერვეტი-გოსაუ | 2:1 |

## თურქეთი

**XIV ტური**

| | |
|---|---|
| გენჩლერი-ტრაბზონი | 2:1 |
| ქასიმფაშა-ბურსა | 0:2 |
| ქონია-ანკარაგიუჯუ | 1:0 |
| დენიზლი-ფენერბაჩე | 0:1 |
| ანკარა-სივასი | 2:0 |
| ქაისერი-ოფთასი | 1:1 |
| მანისა-გაზიანთეპი | 1:0 |
| გალათასარაი-ისთანბული | 2:2 |
| ბეშიქთაში-რიზე | 1:1 |

## ხორვატია

**XVIII ტური**

| | |
|---|---|
| შიბენიკი-სიბალია | 2:0 |
| ზადარი-მედიმურიე | 4:0 |
| ინტერი-ოსიეკი | 1:1 |
| რიეკა-ვარტექსი | 1:1 |
| ჰაიდუკი-სლავენი | 1:0 |
| დინამო-ზაგრები | 6:3 |

## ჩეხეთი

**XV ტური**

| | |
|---|---|
| სიგმა-კლადნო | 1:1 |
| ქლინი-მოსტი | 1:1 |
| ვიქტორია-იაბლონეცი | 2:0 |
| ბანიკი-სპარტა | 0:0 |
| პლზენი-ბუდეიოვიცე | 1:1 |
| ტეპლიცე-ბოჰემიანსი | 2:0 |
| სლავია-ბოლესლავი | 1:1 |
| ლიბერეცი-ბრნო | დღეს |

## პოლონეთი

**XVI ტური**

| | |
|---|---|
| კორონა-ბელხატოვი | 2:2 |
| სოსნოვეცი-ლეხი | 0:0 |
| რუხი-გროცლინი | 1:2 |
| ლკს-ოდრა | 0:1 |
| ვიძევი-ზაგლებე | 1:1 |
| პოლონია-იაგიელონია | 0:1 |
| კრაკოვია-ლეგია | 0:2 |
| გურნიკი-ვისლა | 1:3 |

## სერბეთი

**XV ტური**

| | |
|---|---|
| ჩუკარიჩკი-სარტიდი | 2:2 |
| ბანატი-პარტიზანი | 0:2 |
| ნაპრედაკი-ბორაცი | 0:0 |
| მლადოსტი-ბეჟანია | 2:1 შეწყდა |

## სლოვაკეთი

**XVIII ტური**

| | |
|---|---|
| სლოვანი-კოშიცე | 2:1 |
| ტრენჩინი-რუჟომბეროკი | 0:3 |
| ჟილინა-ბისტრიცა | 1:0 |
| არტმედია-ნიტრა | 1:0 |
| მორავცე-შენეცი | 1:0 |
| დუბნიცა-ტრნავა | დღეს |

## სლოვენია

**XX ტური**

| | |
|---|---|
| ინტერბლოკი-პუბლიკუმი | 1:1 |
| ნაფტა-ლივარი | 4:2 |
| მარიბორი-გორიცა | 0:3 |
| დომჟალე-კოპერი | 1:1 |
| პრიმორიე-დრავა | 1:1 |

## უკრაინა

**XVIII ტური**

| | |
|---|---|
| ტავრია-ვორსკლა | 1:0 |
| ზაკარპატია-მეტალისტი | 0:1 |
| დინამო-ჩერნომორეცი | 5:2 |
| ნაფტოვიკი-არსენალი | 1:0 |
| მეტალურგი (დ)-დნეპრი | 0:3 |
| ხარკოვი-მეტალურგი (ზ) | 0:1 |
| კრივბასი-კარპატი | 0:1 |
| ზარია-შახტარი | გადაიდო |

## არგენტინა

**XVIII ტური**

| | |
|---|---|
| როსარიო-სან მარტინი | 3:2 |
| კოლონი-ესტუდიანტესი | 0:2 |
| ოლიმპო-რივერი | 4:0 |
| ხიმნასია (ხ)-ნიუელსი | 0:1 |
| ურაკანი-რასინგი | 3:0 |
| ბანფილდი-სან ლორენსო | 1:0 |
| არგ. ხუნიორსი-ტიგრე | 1:0 |
| ბოკა-ლანუსი | 1:1 |
| ინდეპენდიენტე-ველესი | გვ. დას. |

## ბრაზილია

**XXXVIII ტური**

| | |
|---|---|
| ატ.პარანაენსე-სან პაულუ | 2:1 |
| ბოტაფოგო-ფიგეირენსე | 1:1 |
| კრუზეირო-ამერიკა | 2:0 |
| გოიაში-ინტერნასიონალი | 2:1 |
| გრემიო-კორინთიანსი | 1:1 |
| ჟუვენტუდე-რესიფე | 2:1 |
| ნაუტიკო-ფლამენგო | 1:0 |
| პალმეირასი-ატ. მინეირო | 1:3 |
| სანტოსი-ფლუმინენსე | 2:4 |
| ვასკო და გამა-პარანა | 3:0 |

## ჩილე

| | |
|---|---|
| კობრესალი-უნ. ჩილე | 2:4 |
| ო'ჰიგინსი-კოლო კოლო | 0:5 |
| კობრელოა-აუდაქსი | 2:2 |

## ურუგვაი

**XV ტური**

| | |
|---|---|
| ფენიქსი-ბელა ვისტა | 2:0 |
| ხუვენტუდი-მირამარი | 2:0 |
| პროგრესო-ნასიონალი | 0:1 |
| რამპლა-სერო | 1:1 |
| სენტრალი-დეფენსორი | 1:2 |
| დანუბიო-ლივერპული | 4:3 |
| პენიაროლი-ტაკუარემბო | 1:1 |
| რივერ პლეიტი-უონდერერსი | 5:1 |

## მექსიკა

| | |
|---|---|
| ატლანტე-ჩივასი | 1:0 |

## იაპონია

**XXXIV ტური**

| | |
|---|---|
| ჰიროშიმა-გამბა | 2:2 |
| კობე-იოკოჰამა მარინოსი | 0:0 |
| ივატა-კაშივა | 4:0 |
| ნიიგატა-ოიტა | 0:2 |
| კოფუ-ტოკიო | 0:1 |
| იოკოჰამა-ურავა | 1:0 |
| იჩიჰარა-ნაგოია | 0:2 |
| ომიია-კავასაკი | 1:1 |
| კაშიმა-შიმიძუ | 3:0 |



ეროვნული ბიბლიოთეკა

16 ფინალისტის 16 მწვრთნელი

ევრო 2008. წილისყრა

# არის სიკვდილის ჯგუფი

## საფრანგეთი ისევ იტალიას შეხვდა, ესპანეთი კი 2004 წელში დააბრუნეს...

**გუშინ** ლუცერნში ევროპის ჩემპიონატის ფინალური რაუნდის კენჭისყრა გაიმართა. 16 გუნდი ოთხ ჯგუფად დაიყო. კალათები წინასწარ იყო ცნობილი. სავსებით შესაძლებელი გახლდათ ეგრეთ წოდებული სიკვდილის ჯგუფის შექმნა. ასეც მოხდა. C ჯგუფში ერთბაშად სამმა გრანდმა მოიყარა თავი.

**A ჯგუფი**

### შვეიცარია, ჩეხეთი, პორტუგალია, თურქეთი

შვეიცარია პირველ კალათში იყო, იმიტომ, რომ ტურნირის მასპინძელია. მეოთხე კალათიდან მას მეტოქედ თურქეთი ერგო. ორი წლის წინ შვეიცარიელებისა და თურქების დაპირისპირების ამბავი ყველას პირზე ეკერა. მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ფლეი ოფში შვეიცარიამ გაიმარჯვა, მაგრამ სტამბოლში, განმეორებითი მატჩის შემდეგ მომხდარმა ინციდენტმა ყველა შოკში ჩააგდო. მსოფლიო ფეხბურთს ასეთი რამ დიდი ხანია, არ ენახა. შვეიცარიელ **შტეფან გრიხტინგს** საზარდულში წიხლი უთავაზეს. საბრალო ფეხბურთელი საავადმყოფოში გადასაყვანი აღმოჩნდა. თურქეთმა მომდევნო სამი საშინაო მატჩი ნეიტრალურ ქვეყანაში ჩაატარა. თურქ **ემრე ბელოზოღლუსა** და შვეიცარიელ **ბენიამინ ჰუგელს** 6-6-მატჩიანი დისკვალიფიკაციები მიუსაჯეს. გუშინდელი კენჭისყრის დასრულებისთანავე მეტოქეებმა განაცხადეს, რომ ძველი უსიამოვნება დავიწყებულია.

**კობი კუნი**, შვეიცარიის ნაკრები თავკაცი: *„კარგი იქნება, ის ამბები სამუდამოდ ამოვიგდოთ თავიდან.“*

ალექსანდერ ფრაი, შვეიცარიის ნაკრების თავდამსხმელი: *„იმ ადამიანებისათვის, რომლებსაც შეურაცხყოფა მიაყენეს, დავიწყება და პატიება ძნელი იქნება, მაგრამ მე პირადად ჩხუბი უკვე დავივიწყე. კენჭისყრის შემდეგ ფათიჰ თერიმი მოვიდა და მომიკითხა. ესე იგი, წყენა არც მას ჩაუდევს გულში. ჯობია, ყველამ საფეხბურთო ზეიმზე ვიფიქროთ, რომელიც გველოდება.“*

ამავე ჯგუფში მოხვდნენ წინა ევროპის ჩემპიონატის ფინალისტი პორტუგალია და 1996 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალისტი ჩეხეთი. შვეიცარია ჯგუფის ყველა თამაშს ბაზელში გამართავს. ის და თურქეთი მეორე ტურში, 11 ივნისს ითამაშებენ. თანამასპინძლები ჩემპიონატს ოთხი დღით ადრე ადრე, 7 ივნისს ჩეხეთთან მატჩით გახსნიან.

**B ჯგუფი**

### ავსტრია, ხორვატია, გერმანია, პოლონეთი

ამ ჯგუფში სამეზობლო დერბის სიტუაცია შეიქმნა. გერმანელებს ჯგუფის ორ მეტოქესთან, ავსტრიასა და პოლონეთთან საერთო საზღვარი აქვს. ჯგუფის უსუსტეს გუნდად ავსტრია უნდა მივიჩნიოთ, ჩემპიონატის კიდევ ერთი მასპინძელი, რომელიც ამ უპირატესობის გამო პირველ კალათში იმყოფებოდა. ხორვატების თავკაცი **სლავენ ბილიჩი** მიიჩნევს, რომ თუ ავსტრია სუსტია, ეს ჯგუფიდან გასვლას გაართულებს და არ გააიოლებს: *„სუსტ მეტოქეს ყველა დაამარცხებს. გამოდის, რომ ჯგუფიდან გასვლის საკითხი სამმა კი არა, ორმა თამაშმა უნდა გადაწყვიტოს, რაც საკმაოდ ძნელია.“* გერმანია ევროპის სამგზის ჩემპიონია (1972, 1980, 1996). ის ჯგუფის გამოკვეთილ ფავორიტად მიიჩნევა. მეორე ფავორიტი ხორვატიაა. პოლონეთისა და მისი თავკაცის, **ლეო ბეენჰაკერისაგან** სიურპრიზებს ელოდებიან. პოლონელები უკრაინელებთან ერთად მომდევნო ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებენ. მათ სურთ, მაქსიმალური გამოცდილება დააგროვონ.

**C ჯგუფი**

### ჰოლანდია, იტალია, რუმინეთი, საფრანგეთი

აი, სიკვდილის ჯგუფი. ფრანგების თავკაცმა **რაიმონ დომენეკმა** გუნდების განთესვის სისტემას სრული სიგიჟე უწოდა. საფრანგეთს მსოფლიო ჩემპიონ იტალიასა და ჰოლანდიასთან მოუწევს ბრძოლა. ის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირშიც იტალიის ჯგუფში იყო. გასულ ზაფხულს ფრანგებმა იტალიასთან წააგეს მუნდიალის ფინალი, ხოლო ექვსი წლით ადრე ევროპის ჩემპიონატის ფინალში სძლიეს. იტალიელებმა კონტინენტის პირველობა მხოლოდ ერთხელ, შორეულ 1968 წელს მოიგეს. მეოთხე მეტოქე რუმინეთი აღმოსავლეთი ევროპის ერთ-ერთი უძლიერესი ნაკრებია. დომენეკი: *„კალათების ასე შედგენა არ შეიძლება. წარმოუდგენელია, მსოფლიოს ჩემპიონი პირველ კალათში არ იყოს. იმედგაცრუებული ვარ. მოვლენები ყველაზე უარესი სცენარით განვითარდა.“*

ჰოლანდიაც ევროპის ყოფილი ჩემპიონია (1988). **მარკო ვან ბასტენიც** არ იყო ძალიან კმაყოფილი, მაგრამ დომენეკისაგან განსხვავებით, ვითარების დრამატიზება არ უცდია: *„შარშანდელ მუნდიალზეც რთულ ჯგუფში ვიყავით. არ ვიი, რა ვუწოდო ამ ჯგუფს. მაგრამ მიმაჩნია, რომ კენჩისყრა სამართლიანად ჩატარდა. ასე რომ სათქმელიც არაფერი მაქვს.“*

ევროპის ჩემპიონატებზე რუმინელთა საუკეთესო მიღწევად 2000 წელს მეოთხედფინალში გასვლა ითვლება. მთავარი მწვრთნელი ვიქტორ პიცურკა მიიჩნევს, რომ რუმინელებს ძალიანაც გაუმართლათ: *„საინტერესო თამაშები გველის. არ მესმის, რატომ უნდა გადავიწუროთ იმედი და რატომ ვერ უნდა გავაღწიოთ ფლეი ოფში.“*

**D ჯგუფი**

### საბერძნეთი, შვედეთი, ესპანეთი, რუსეთი

გახსოვთ 2004 წლის ევროპის ჩემიონატი? ესპანეთი, საბერძნეთი და რუსეთი იქაც ერთ ჯგუფში იყვნენ. ესპანელებმა დაამარცხეს რუსეთი, ფრედ ითამაშეს მომავალ ჩემპიონ საბერძნეთთან და მინიმალურად წააგეს პორტუგალიასთან, რის გამოც ჩემპიონატს ნაადრევად გამოეთიშნენ. ოთხი წლის შემდეგ ეს სამი გუნდი ისევ ფლეი ოფის ორი საგზურისათვის იბრძოლებს. პლუს, მათი მეტოქე იქნება შვედეთიც. შვედეთი ესპანელთა კიდევ ერთი ძველი ნაცნობია. ეს გუნდები ამ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფშიც ერთად იყვნენ (მეტოქეებმა თავ-თავიანთ მოედნებზე გაიმარჯვეს). **ლუის არაგონესის** აზრით, ამ ჯგუფიდან გასვლა უპრობლემოდ შეიძლება, მთავარია მონდომება და იმის რწმენა, რომ მათ ეს შეუძლიათ. ესპანეთი ევროპული ფეხბურთის გრანდად კი ითვლება, მაგრამ ისტორიაში ერთადერთი ტიტული აქვს მოგებული - 1964 წლის ევროპის ჩემპიონატი. შვედების თავკაცმა **ლარს ლაგერბაკმა** ესპანეთი ჯგუფის უპირობო ფავორიტად გამოაცხადა. ბერძნების თავკაცმა **ოტო რეჰაგელმა** თქვა, ოთხი წლის წინ მოგებული ტიტული გაისად ვერაფერში დაგვეხმარებაო. რუსებით დამრიგებელმა **გუუს ჰიდინკმა** კი დასძინა, აუტსაიდერის როლში ყოფნას სულაც არ ვაპირებთო.

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კალათბურთი



ფაჩულია ტაისონ ჩენდლერის წინააღმდეგ

ლეგიონერი NBA-ში

## დაცვამ წააგებინა თუ შეტევამ?

„ატლანტა ჰოქსს“ კვლავ ჩასთვლიმა - ორი გასვლითი მოგებისა და შინ „მილუოკისთან“ დამაჯერებელი გამარჯვების შემდეგ ატლანტას „ფილიპს არენაზე“ „ნიუ ორლეანთან“ დამარცხდა(86:92).

მართალია, ორლეანელებმა სეზონი კარგად დაიწყეს, უკვე 11 მოგება აქვთ, მაგრამ როცა ფლეი ოფში გასვლაზე ფიქრობ, „ნიუ იორკთანა“ და „ორლეანთან“ შინ ყველა მატჩი უნდა მოიგო.

სათანადო დონეზე ვერც ერთმა ჰოქსელმა ითამაშა: ლიდერმა **ჯო ჯონსონმა** მხოლოდ 17 ქულა ჩააგდო, **ჰორფორდმა** 15 მოხსნა კი გააკეთა, მაგრამ შეტევაში ვერ ივარგა, მონოდების სიმაღლეზე არც **ზაზა ფაჩულია** ყოფილა, რომელმაც 6 ქულა და 4 მოხსნა ჩაიწერა. ზაზა მწვრთნელმა **მაიკ ვუდსონმა** ბოლო მეოთხედის საწყისი 4 წუთი ათამაშა, მაგრამ ამ დროში ქართველ ცენტრფორვარდს არაფერი გაუკეთებია და ვუდსონმა იგი ჯოშ სმიტით შეცვალა.

„ჰოქსის“ მწვრთნელმა წაგება შეტევაში სუსტ თამაშს დააბრალა, თუმცა როცა მეტოქე 92 ქულას გიგდებს, საქმე ვერც დაცვაში უნდა იყოს კარგად.

**ატლანტა-ნიუ ორლეანი 86:92**

22:28, 23:15, 18:25, 23:24

ატლანტა: **ე. ჯონსონი (4ქ, 8პ), ჯ. ჯონსონი (17ქ, 9პ), ჯ. სმიტი (16ქ, 9მ), მ. უილიამსი (18ქ), ჰორფორდი (9ქ, 15მ), ზაზა ფაჩულია (21 წუთი, 6 ქულა, 4 მოხსნა, 1 ჩაჭრა, 2 შეცდომა, 1 ფოლი), ჩილდრესი (8ქ), ლიუ (8ქ), შ. უილიამსი, უესტი**

ნიუ ორლეანი: **პოლი (20ქ), პეტერსონი (12ქ), დ. უესტი (22ქ, 17მ), სტოიალოვიჩი (4ქ, 5პ), ჩენდლერი (6ქ, 6მ), ჯექსონი (2ქ), პარგო (13ქ), არმსტრონგი (4ქ, 7მ), რ. ბატლერი (5ქ), ელი (4ქ)**

**ფაჩულიას მონაგარი**

| | |
|---|---|
| **I პერიოდი** | |
| 5:14 | ფაჩულიამ ჰარფორდი შეცვალა |
| 4:34 | მოხსნა: 1 (შეტ:0, დაც:1) |
| **II პერიოდი** | |
| 11:42 | მოხსნა:2 (შეტ:0, დაც:2) |
| 11:21 | ორქულიანი ტყორცნა: 2ქ (24:28) |
| 10:43 | შეცდომა: 1 (არაზუსტი პასი) |
| 7:20 | ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი |
| 6:31 | ფაჩულია ჰორფორდმა შეცვალა |
| 1:19 | ფაჩულიმ ჰორფორდი შეცვალა |
| 0:29 | ორქულიანი ტყორცნა: 4ქ (45:43) |
| **III პერიოდი** | |
| 4:26 | ფაჩულიმ ჰორფორდი შეცვალა |
| 3:44 | ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი |
| 1:40 | ორქულიანი ტყორცნა: 6ქ (60:66) |
| 1:14 | ფოლი: 1 |
| 1:14 | შეცდომა: 2 |
| 0:36 | მოხსნა: 3 (შეტ:0, დაც:3) |
| 0:21 | მოხსნა: 4 (შეტ:1, დაც:3) |
| 0:00 | ჩაჭრა: 1 |
| 0:00 | სამქულიანი ტყორცნა: არაზუსტი |
| **IV პერიოდი** | |
| 7:55 | ფაჩულია სმიტმა შეცვალა |

ატლანტა: **6 მოგება, 9 წაგება. მე-4 ადგილი სამხრეთ-აღმოსავლეთ დივიზიონში**

მომდევნო მატჩი: **ფილადელფია-ატლანტა (3 დეკემბერი)**

## ჩოგბურთი

### ბასილაშვილმა ლაბაძე ვერ გაიმეორა

ამერიკაში დასრულებული ედი ჰერის საერთაშორისო ტურნირი წარმატებული აღმოჩნდა 15 წლის ქართველი ჩოგბურთელის **ნიკოლოზ ბასილაშვილისთვის** - მე-14 ნომრად განთესილმა ბასილაშვილმა 16-წლიანთა ტურნირში ნახევარფინალამდე გააღწია. მერვედფინალში **ფედერიკო გაიოს** დამარცხების შემდეგ, ქართველის მეტოქე მეოთხედფინალში მექსიკელი **ხერმან სანჩესი** იყო, ჩვენებურმა ორ სეტში იოლად იმარჯვა - 6:1, 6:4. ნახევარფინალში ბასილაშვილს ესპანელი **პაბლო კენერო** შეხვდა. ფავორიტი ამჯერადაც ბასილაშვილი იყო, თუმცა მან პირველი სეტის 6:1 მოგების შემდეგ ტურნირზე პირველად დათმო სეტი, შემდეგ კი მატჩიც - 6:1, 4:6, 3:6. სხვათა შორის, ეს ტურნირი ნიკ ბოლეტიერის აკადემიის კორტებზე იმართება, სადაც ისეთი ვარსკვლავები ვარჯიშობენ, როგორიცაა **მარია შარაპოვა, ნიკოლ ვაიდიშოვა** და **ტომი ჰაასია**. ედი ჰერის საერთაშორისო ტურნირი წლეულს მეოცედ გაიმართა, მასში რამდენიმე ქართველმა ჩოგბურთელმა იასპარეზა სხვადასხვა ასაკში, თუმცა წარმატება მარტო ნიკოლოზ ბასილაშვილს ხვდა წილად. ქართველთაგან ეს ტურნირი **ირაკლი ლაბაძეს** (1996 წელს 16-წლიანებში) და **ლაზარე კუხალაშვილს** (2003 წელს 12-წლიანებში) მოუგიათ.

### კარგი ტურნირი სეზონის ბოლოს

18 წლის **მანანა შაფაქიძეს** სეზონის ბოლოს კარგი ტურნირი გამოუვიდა ესპანურ კასტელონში (10 ათასი დოლარი), სადაც ასპარეზობა ნახევარფინალში დაასრულა. მეოთხედფინალში მერვე ნომრად განესილი ქართველი რუს **ანა მარენკოს** ხვდებოდა, 15 წლის ტალანტს, რომელმაც მერვედფინალში შაფაქიძის თანემამულე **სოფიო ქვაცაბაია** დაამარცხა. შურისძიება შედგა, ქართველმა 6:3, 6:3 მოიგო. მანანა ნახევარფინალში იტალიელ **ანალიზა ბონასთან** დამარცხდა - 7:6 (4), 3:6, 3:6.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

საქართველოს მე-16 ჩემპიონატი. მე-7 ტური

## კატა-თაგვობანა

**2 დეკემბერი. სპორტის სასახლე**

**მაკაბი-ვითა 82:90**

28:21, 18:19, 20:15, 16:35

მაკაბი: დ. ბერიშვილი (3პ), ი. ბერიშვილი (24ქ, 3პ), სორდია (11ქ, 8მ, 4პ), გ. შერმადინი (30ქ, 9მ), პირველაშვილი (2ქ), ვაშაკიძე, კორკოტაძე, ს. შერმადინი (9ქ, 12მ), კოლუაშვილი (6ქ,)

ვითა: ნ. ნოზაძე, ბეჟანიშვილი (3ქ, 5მ), მ. ბერიშვილი (27ქ, 9მ, 3პ), მარხვაშვილი (8ქ, 3პ, 3ჩ), ბ. ბერიშვილი (13ქ, 3ჩ), მარკოიშვილი (27ქ), ბერძენიშვილი (10ქ, 5მ), წივწივაძე (3ჩ), გვიმრაძე (2ქ), გასიტაშვილი

მსაჯები: მ. კუპატაძე, დ. არეშიძე

**თსუ-აზოტი 73:77**

14:19, 26:17, 11:24, 22:17

თსუ: არწივიძე (3ქ), ფანჩულიძე (17ქ, 7მ, 5ჩ), ჩიტაშვილი (21ქ, 4ჩ), მათიაშვილი (5ქ, 9მ, 4დ, 6ჩ), კოხრეიძე (5ქ, 3მ), ყველაშვილი (11ქ), ტყეშელაშვილი (11ქ, 6მ), ელანიძე

აზოტი: გამყრელიძე (19ქ, 7მ, 4ჩ), ბაბიაშვილი (24ქ, 11მ), ბოისა (7ქ, 8მ), დიდია (6ქ, 6მ), ლეჟავა (4ქ, 5მ, 4ჩ), ცეკვავა (2ქ), გოგობერიშვილი, ტუჯანი (4ქ, 11მ), ჭოჭუა (11ქ)

მსაჯები: ზ. მაჩალაძე, მ. ანდღულაძე

**დინამო-ავიამშენი 87:89**

16:24, 17:15, 16:24, 38:261

დინამო: გულისაბედაშვილი (21ქ, 7მ, 3პ ,3ჩ), ნანიტაშვილი (6ქ), ჟლენტი (6ქ), ლაფანაშვილი (12ქ, 5მ), სიგუა (6ქ), მაისურაძე (19ქ, 9მ), ათანელიშვილი (3ქ), ახალკაცი (14ქ)

ავიამშენი: მინაშვილი (9ქ, 7მ), შანიძე (3ქ), ნიკოლაძე (28ქ), კვიმსაძე (7ქ), ტულუში (25ქ, 9მ, 8პ, 3ჩ), იმნაძე (8ქ, 16მ, 3დ), ნინიაშვილი (4ქ, 7მ), ბარბაქაძე, სუხიშვილი (5ქ)

მსაჯები: დ. ბერეკაშვილი, ხ. გაბედავა

| | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. აზოტი | 6 | 6 | 0 | 12 |
| 2. ვითა | 6 | 4 | 2 | 10 |
| 3. თსუ | 6 | 2 | 4 | 8 |
| 4. მაკაბი | 6 | 2 | 4 | 8 |
| 5. დინამო | 6 | 2 | 4 | 8 |
| 6. ავიამშენი | 6 | 2 | 4 | 8 |

- „ავიამშენმა“ „დინამოსთანაც“ წააგო და ეგაა, წარმოთქვა ერთ-ერთმა გულშევატკივარმა მატჩის დასრულებამდე 11 წამით ადრე. მაშინ დინამოელები 87:86-ს იგებდნენ, მაგრამ **კოტე ტულუშმა** ბურთი საკუთარი ნახევრიდან მეტოქისაზე დინჯად გადაიტანა, მარცხენა ფლანგზე გადააწოდა **გიორგი ნიკოლაძეს**, რომელმეც სირენამდე 3 წამით ადრე სამქულიანით „ავიას“ მეორე გამარჯვება მოუტანა. სხვათა შორის, პირველი მოგება „ავიატორებმა“ სწორედ „დინამოსთან“ ჩაიწერეს.

ისევე როგორც ბოლო წუთები, მთლიანად შეხვედრა საინტერესოდ წარიმართა. საწყის წუთებზე დინამოელები დაწინაურდნენ, მაგრამ კოტე ტულუშმა ზედიზედ 11 ქულა ჩააგდო და „ავიამ“ 22:16 გადაასწრო. იმავე ტულუშისა და ნიკოლაძის აქტიურობამ მესამე პერიოდში შედეგი გამოილო - 61:44. ამ ეპიზოდში გაქცეულ „მშენებლებს“ დილმელთა მხრიდან მხოლოდ **ირაკლი გულისაბედაშვილი** მისდევდა - სამიანს-სამიანზე აგდებდა. „დინამოს“ გამარჯვების შანსებს სიმკვეთრე **ლექსო ლაფანაშვილის** გაძევებამ დააკლო. ერთ-ერთ მომენტში მან მსაჯ **დავით ბერეკაშვილს** შეაგინა და ჯერ ტექნიკური შენიშვნა მიიღო, შემდეგ - დისკვალიფიკაცია. ამ მომენტში გაბრაზდა გამოცდილი **გულივერ ახალკაცი** და მსაჯების აცილება მოითხოვა: არ შეიძლება, ამ ბრიგადას ერთხელ მაინც ავცდეთო?!

ჩვენი მხრივ დავძენთ, რომ დავით ბერეკაშვილმა და **ხათუნა გაბედავამ** მატჩი ნორმალურად ჩაატარეს...

როგორც აღმოჩნდა ლექსოს გაძევებამ მისი თანაგუნდელები ძალიან გააბრაზა, ემოციური მუხტის მატებას მწვრთნელის ზაზა ცაგარეიშვილის მიერ მეტოქის ნახევარზე პრესინგის დაწესება დაემთხვა და კატა-თაგვობანაში თაგვი კატას წამოეწია. მაშინ, როცა ახალგაზრდა დინამოელები მოედანზე ერთმანეთს ენაცვლებოდნენ და ზუსტადაც ისროდნენ, „ავიას“ ორი წამყვანი მოთამაშე ნიკოლაძე და ტულუში შეუსვენებლად თამაშის გამო ძველი ნაყოფიერებით ველარ გამოირჩეოდნენ.



დავით არწივიძე (4) ზვიად ბაბიაშვილის (5) წინააღმდეგ

ნუგზარ სუარიძის ფოტო

დანარჩენ „ავიატორებს“ კი შეტევაში არაფერი გამოსდიოდათ. სწორედ ამ ეპიზოდში“დინამომ“ 14:0 სპურტი მოაწყო და სირენამდე 3 წუთით ადრე 77:76 დაწინაურდა. ამის მერე ყველა შეტევა შედეგიანად სრულდებოდა „დინამოდან“ ქულებს **ნანიტაშვილი, გულისაბედაშვილი** და **მაისურაძე** იხვეჭდნენ, ხოლო ავიატორთა თითქმის ყველა შეტევას გიორგი ნიკოლაძე აგვირგვინებდა. გიომ მთლიანად მატჩი როგორ დააგვირგვინა მიმოხილვის პირველ აბზაცში მოგახსენეთ.

**ტურის მოთამაშე - გიორგი ნიკოლაძე**. მეოთხე პერიოდამდე ჟურნალისტებს გარკვეული არ გვქონდა, ვინ უნდა დაგვესახელებინა ტურის საუკეთესო კალათბურთელად. საწყის ორ მატჩში ზვიად ბაბიაშვილი, ლაშა გამყრელიძე, მიშა ბერიშვილი, გიორგი მარკოიშვილი, გიორგი შერმადინი გამოირჩნენ. თუმცა, ნიკოლაძის მიერ ჩატარებულმა ბოლო წუთებმა არჩევანი გაგვიადვილა. მან ჯამში 28 ქულა, 3 მოხსნა და 2 პასი მიითვალა. გამარჯვების სამქულიანისას გიორგის ასისტენტი კოტე ტულუში სამმაგ დუბლს მოუახლოვდა - 25 ქულა, 9 მოხსნა, 8 პასი, 3 ჩაჭრა, 1 დაფარება.

კატა-თაგვობანა ვიხილეთ კიდევ ორ მატჩში. ლიდერების **ხეცურიანისა** და **კეიდიას** გარეშე მოთამაშე თსუ-მ „აზოტს“ პირველ ტაიმში აჯობა, მაგრამ მესამე მეოთხედში 24:11 წააგო და საბოლოოდ დამარცხდა კიდეც. თავის მხრივ რუსთაველებმაც ლიდერის, **იოვან სტეფანოვის** გარეშე ითამაშა. მკითხველს შევახსენებთ, რომ მეორე ტურში „აზოტი“-თსუ-ს მატჩში ითამაშა **ბელტონ რივერსმა**, რომლის წყალობითაც ქვემოქართლელებმა სტუდენტები იოლად დაამარცხეს. როგორც ხედავთ, მისი წასვლის შემდეგ „აზოტი“ მეტ-ნაკლებად სხვა ქართულ გუნდებს გაუთანაბრდა და ჩემპიონატმაც კიდევ უფრო მეტი დაძაბულობა შეიძინა. ამ სიტყვებს სატურნირო ცხრილიც ადასტურებს - 6 მატჩის შემდეგ 4 გუნდს თანაბარი ქულა აქვს. მსგავსი შემთხვევა ბოლო წლებში არ დაფიქსირებულა - აუტსაიდერები ფსკერზე ყურყუტებდნენ, ხოლო ლიდერებს თავიდანვე გარკვეული ჰქონდათ ფლეი-ოფში გასვლის საქმე.

თანაბარქულიანი კლუბების ოთხეულშია „მაკაბი“, რომელიც გუშინ მესამე გამარჯვებასთან ძალიან ახლოს იყო. ბოლო პერიოდში, ვიდრე 5 ფოლის გამო მოედანს **გიორგი შერმადინი** დატოვებდა, ჯამლეტ ხუხაშვილის გუნდი წინ იყო, მაგრამ გიორგის გასვლის შემდეგ „ვითამ“ 18:0 სპურტი მოაწყო და, რა თქმა უნდა, გაიმარჯვა.

მიმოხილვას **ტურის ფრაზით** დავასრულებთ. „ავია“-“დინამოს“ მატჩისას სამსაჯო მაგიდასთან ხათუნა გაბედავა მივიდა და დაიჩივლა: *თამაშისას გოძილა ისე დამეჯახა, რომ გვერდზე გადამაგდო და მხარი ახლაც მტკივა...*

**ვაჟა სიმონიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ჭიდაობა



შიდაქართლელთა გუნდი

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები

## გუჯეჯიანს ფალავნობა, ქართლელებს პრეზიდენტის თასი

ამ უქმეებზე ვერის ბაღში ორი ტურნირი ჩატარდა ქართულ ჭიდაობაში - შაბათს ქვეყნის რჩეული ათლეტები აბსოლუტურ ფალავნობაზე შეერკინნენ ერთმანეთს, გუშინ კი რეგიონების ნაკრებები პრეზიდენტის თასისთვის ჭიდაობდნენ.

წლეულს ფალავნობა ახლებური პრინციპით ჩატარდა - ცალკეული წონების ნაცვლად ამჯერად ერთ წონაში იჭიდავეს, პირდაპირ აბსოლუტურ ფალავნობაზე. აქ გამარჯვება არ გასჭირვებია ძიუდოში ევროპის ვიცე-ჩემპიონსა და მსოფლიოს ორგზის ბრინჯაოს მფლობელ **ლაშა გუჯეჯიანს**. ძიუდოში ევროპის აბსოლუტურმა პირველობამ მას რამდენიმე სერიოზული კონკურენტი ისედაც მოაკლო, თუმცა არ გამოვრიცხავთ, მათთან ჭიდილშიც მოეპოვებინა ფალავნობა. ახლა კი ფაქტია, რომ კონკურენტთა არყოფნამ მიზნის მიღწევა და 3 000-ლარიანი ჯილდოს მოპოვება უფრო გაუადვილა. ფინალში გუჯეჯიანმა დაამარცხა 2005-ში ცნობილი „მოჭიდავეთა ბუნტისას" სასამართლო დარბაზის დარბევისთვის პატიმრობამოხდილი **დიმიტრი ტურაშვილი**, რომელსაც 2 000 ლარი ერგო. ბრინჯაო და 1 000 ლარი ახალგაზრდა, მაგრამ ძალზე პერსპექტიულმა ძიუდოისტმა იოსებ მსხალაძემ ირგუნა, რომელიც 90 კილოოგრამ წონით კატეგორიაში ჭიდაობს, ამის მიუხედავად, ბუნებრივი მონაცემების ხარჯზე, ფიზიკურად ბევრად მძიმე მეტოქეებთან ჭიდილში მაინც ივაჟკაცა.

პრეზიდენტის თასისთვის ბრძოლაში ქვეყნის 13-ვე რეგიონის ნაკრები ჩაება. ფინალში შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის გუნდები გავიდნენ, რომლებმაც გაყინულ დარბაზში შეკრებილ მცირერიცხოვან მაყურებელს დაძაბული ბრძოლები კი შესთავაზეს, თუმცა შეხვედრა მაინც ვადამდე, შიდაქართლელთა აშკარა უპირატესობის გამო შეწყდა. **მიხეილ ოსაძემ** (60), **გიორგი ბახტაძემ** (65), **გიორგი მაისურაძემ** (70) და **ზვიად ბაზანდარაშვილმა** (75) სწრაფად მოუგეს, შესაბამისად, ავთანდილ ცინცაძეს, ლევან ქოჩიევს, თემურ ოქრუაშვილს და ხვიჩა ნიკლაურს. განსაკუთრებით თვალსასეირო ბაზანდარაშვილისა და ნიკლაურის შეხვედრა გამოდგა, როცა მსაჯებმა შეცდომით ქულა ახალგაზრდა ძიუდოისტებში ევროპის ვიცე-ჩემპიონ ბაზანდარაშვილს მისცეს. მეტოქის პროტესტის შემდეგ მსაჯებმა ვიდეოჩანაწერი განიხილეს და თავდაპირველი შედეგი შეცვალეს - ქულა ამჯერად ნიკლაურს მიანიჭეს. ამით გაბრაზებულმა ბაზანდარაშვილმა შეხვედრის განახლებისთანავე მეტოქე სუფთაზე დასცა და არა მარტო ამ შეხვედრას, მთლიანად ფინალურ პაექრობას დაუსვა წერტილი. ამით ანგარიში 4:0 გახდა შიდა ქართლელთა სასარგებლოდ და შეხვედრაც შეწყდა, რადგან დარჩენილი 3 ორთაბრძოლა უკვე ვერაფერს შეცვლიდა. ამდენად, შეჯიბრების მთავარ მსაჯ **უშანგი ყურაშვილის** მიერ დამზადებული მართლაც რომ ლამაზი და ზორბა გარდამავალი თასი 5 000-ლარიან ჯილდოსთან ერთად **გივი ზაუტაშვილისა და ქართლოს პავლიაშვილის** მიერ გაწვრთნილმა **შიდაქართლელებმა** დაისაკუთრეს. მცხეთა-მთიანელებს ვერცხლის მედლები და 3 000 ლარი ერგოთ, ბრინჯაო და 2 000 ლარი კი კახელებმა მოიპოვეს სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაციის ნაკრების დამარცხებით.



ლაშა გუჯეჯიანს ულოცავს მრავალგზის ფალავანი ალექსი დავითაშვილი

**ირაკლი თავაძე**

ციგურაობა

## გედევანიშვილმა ცუდად დაასრულა

ეს წელინადი წარუმატებელი აღმოჩნდა ქართველი მოციგურავე **ელენე გედევანიშვილისთვის**. ელენემ როგორც ცუდად დაიწყო ასევე დაასრულა წლეულს სრიალი, მან ISU-ს გრან-პრის სერიის უკანასკნელ ტურნირ NHK ტროფიზე მერვე ადგილი დაიკავა. 17 წლის გედევანიშვილმა წელს ევროპის ჩემპიონატზე მერვე ადგილი დაიკავა, ხოლო მსოფლიოზე - მე-17. „სკეიტ ამერიკაზე" ის მეექვსე იყო, ახლა იაპონიის დედაქალაქში კი, როგორც უკვე გითხარით, მერვე.

შაბათს ტოკიოში მოასპარეზე ქალებს დასკვნითი დისციპლინა, თავისუფალი პროგრამა ჰქონდათ შესასრულებელი. მოკლე პროგრამის შედეგების მიხედვით ელენე მეშვიდე ადგილზე იყო, თუმცა ხუთეულში მოხვედრის შანსს ინარჩუნებდა. მართალია, ეს მას გრან-პრის სერიის ფინალური ეტაპის საგზურს არ მისცემდა, თუმცა საკუთარი ძალების რწმენას შემატებდა. სამწუხაროდ, გედევენიშვილმა კიდევ ერთი ადგილი დაკარგა, მან ჯამში 136,54 ქულა მოაგროვა, ქართველს მოკლე პორგრამის შემდეგ კანადელმა **ლესლი ჰოუკერმა** გადაასწრო. ხუთწლიანი ტრადიცია დაარღვია იტალიელმა **კაროლინა კოსტნერმა**, ვინც 2002 წლის შემდეგ NHK ტროფის პირველი არაიაპონელი გამარჯვებულია, მისი შედეგია 164,69 ქულა. მეორე ადგილზე გავიდა შვეიცარიელი **სარა მაიერი** 163,17 ქულით, თუმცა ეს მას ტორინოს საგზურისთვის არ ეყო. მესამეზე თავისუფალ პროგრამაში ბრწყინვალედ მოსრიალე **ნანა ტაკედა** გავიდა - 154, 83. მისი თანამემამულე მსოფლიო ჩემპიონი **მიკი ანდო** მოკლე პროგრამის შემდეგ მეორე ადგილზე იყო, მაგრამ შაბათს ის სამჯერ დაეცა და საბოლოოდ 145,81 ქულით მეოთხე ადგილს დასჯერდა. კიდევ ერთმა იაპონელმა **მაი ასადამ** პირველი დღის ჩავარდნის შემდეგ ასპარეზობა აღარ გააგრძელა. ელენემ თავისუფალ პროგრამაში („სასიყვარულო ისტორია") 82,72 ქულა დააგროვა, ის ანდოს მსგავსად სამჯერ წაიქცა. იაპონური გამოსვლისთვის გედევანიშვილმა 3 ქულა მიიღო, სულ რვა დააგროვა და გრან-პრის საბოლოო ჩათვლაში მე-19 ადგილზე გავიდა. მან მხოლოდ ოთხ სპორტსმენს გაასწრო.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ავტორალი — საქართველოს თასი



## საჩუქარი დაბადების დღეზე

შაბათს, თბილისსა და მის შემოგარენში (ტაბახმელა-კოჯორი-წყნეთი-ცხვარიჭამია) რალიში საქართველოს თასის II ეტაპი, „რალი თბილისი-2007" გაიმართა. რბოლა ჩატარდა მიუხედავად იმისა, რომ ზოგ ადგილებში ტრასაზე თოვლი იდო, საფარი მოყინულიც კი იყო. პირველი ეტაპი **ბესიკ ბოჭორიშვილისა და სანდრო ფხაკაძის** (ვაზ-2108) ეკიპაჟის გამარჯვებით დასრულდა. როცა მეორე ეტაპზე ასპარეზობის სურვილი **არჩილ ბიძინაშვილისა და მერაბ შენგელიას** (ჰონდა სივიკი) დუეტმა გამოთქვა, უმეტესობა დარწმუნებული იყო, რომ ფავორიტებს იოლი ცხოვრება აღარ ექნებოდათ. ასეც მოხდა. წრიულ რბოლაში საქართველოს წლევანდელი ჩემპიონი განსაკუთრებულად მოემზადა რალისთვის, რადგან იმ დღეს იგი იუბილარი იყო და სტატუსის მიხედვით დამარცხების უფლება არ ჰქონდა.

ნახსენები ორი ეკიპაჟის გარდა სასპარეზოდ კიდევ რვა გამოვიდა. მათ ტაბახმელის და კოჯრის ეტაპები სამ-სამჯერ უნდა გაევლოთ, ცხვარიჭამიის უმძიმესი, თოვლიანი, 20 კმ-იანი მონაკვეთი კი - ორჯერ.

სასტარტო ცერემონიალი დილით ადრე მოეწყო „ვარდების მოედანზე". სპეციალურად მომზადებული პოდიუმიდან ყოველი მონაწილე პირდაპირ ტაბახმელისკენ გაემართა. რალი „თბილისი-2007" გახსნა ლევან ლომაძისა და დავით მჭედლიშვლის (ვაზ-2110) ეკიპაჟმა. მას მიჰყვა ბიძინაშვილი-შენგელია, **გიორგი მჭედლიშვილი-დიმიტრი კიკაჩეიშვილი** (ტოიოტა სელიკა), **ი. ჯაჯანაშვილი-ბაგრამოვი** (ვაზ-2109), **ზურაბ ალნიაშვილი-ზურაბ ბაბუციძე** (ვაზ-21083), **დათიაშვილი-ნოკაშვილი** (BMW M3), **გოგა არჯევანიძე-ქეთი ბოჭოიძე** (ვაზ-2109) და ა.შ.

ლომაძის და მჭედლიშვილის ეკიპაჟი პირველივე სპეცმონაკვეთზე გამოეთიშა ასპარეზობას, რადგან მანქანის ძრავი გამოვიდა მწყობრიდან, არადა, როგორც ამბობდნენ, მათი მანქანა უმაღლეს დონეზე იყო მომზადებული. პირველივე სპეცმონაკვეთიდან გამოიკვეთა ლიდერი, არჩილ ბიძინაშვილი და მან ბოლომდე გამარჯვებით იარა. ამასობაში 10 ეკიპაჟიდან 8 დარჩა.

რბოლა კარგად ორგანიზებული გახლდათ. წესრიგი ყველგან დაცული იყო, უსაფრთხოების წესების დაცვის დონეც საკმარისი აღმოჩნდა. ამაში სასწრაფოდ დახმარებისა და მეხანძრეთა ეკიპაჟებს რალის ეკიპაჟებიც დაეხმარნენ. საგანგებო სიტუაციები არ შექმნილა. ერთადერთი, ტრასაზე ლეკვმა მოინდომა გასეირნება და მისი ევაკუაცია ამ სტრიქონების ავტორს მოუხდა.

ასპარეზობა ცხვარიჭამიის მონაკვეთით დასრულდა. არჯევანიძე-ბოჭოიძის ეკიპაჟს შეეძლო მეორე ადგილის შენარჩუნება, მაგრამ ტექნიკურმა პრობლემებმა ამ წყვილს ხელი შეუშალა. თუმცა მათი ასპარეზობა უკვე წარმატებად შეიძლება ჩაითვალოს, რადგან, თუ არ ვცდები, ქეთი ბოჭოიძე პირველი ქალი შტურმანია ქართულ ავტოსპორტში.

არჩილ ბიძინაშვილმა ცხვარიჭამიაშიც შეინარჩუნა ლიდერის პოზიცია და საკუთარ თავს, 36-ე დაბადების დღეზე შესანიშნავი საჩუქარი მიუძღვნა. სწორედ მან მოიპოვა გამარჯვება.

რალი „თბილისი-2007" „ვარდების მოედანზე" დაჯილდოების ცერემონიალით და ფოიერვერკით დასრულდა. იმპროვიზირებულ პოდიუმზე მანქანების აყვანით დასახელდა პრიზიორები. აი, ისინიც:

1. არჩილ ბიძინაშვილი-მერაბ შენგელია (ჰონდა სივიკი); 2. ბესიკ ბოჭორიშვილი-სანდრო ფხაკაძე (ვაზ-2108); 3. ზურაბ ალნიაშვილი-ზურაბ ბაბუციძე (ვაზ-21083).

**დავით ჩუბინიძე**

ძიუდო

## საუკეთესო მხოლოდ მეშვიდეა

შაბათს ქართველმა ძიუდოისტებმა წარუმატებლად იასპარეზეს ვარშავაში ჩატარებულ ევროპის აბსოლუტურ პირველობაში - ჩვენი ხუთეულიდან საუკეთესო შედეგი **გიორგი ყიზილაშვილის** მეშვიდე ადგილი აღმოჩნდა. სანუგეშო წრესაც მხოლოდ მან მიაღწია, სხვებმა კი პირველივე ბრძოლები წააგეს. ჩვენი გუნდის ლიდერი **ზვიად ხანჯალიაშვილი** ესტონელ მარტინ პადართან დამარცხდა, ამავე ტურნირის შარშანდელი ბრინჯაოს პრიზიორი **ადამ ოქრუაშვილი** - ძლიერ პოლონელთან, ევროპის ორგზის პრიზიორ იანუშ ვოინაროვიჩთან, **ვახტანგ ზოიძე** - ასევე მასპინძელ გრჟეგოჟ ეიტელთან, **ლევან რაზმაძემ** კი კიდევ ერთ პოლონელთან, პრჟემისლავ მატიაშეკთან წააგო. ჩვენი ხუთეულიდან ერთადერთი შეხვედრა მხოლოდ ყიზილაშვილმა მოიგო, რომელმაც ახალგაზრდა და უცნობი მასპინძელი იაკუბ ტოვარეკი დაამარცხა. სამწუხაროდ, მეტი ვერც ამან შეძლო - მომდევნო წრეში რუს მაქსიმ ბრიანოვთან წააგო. ამის შემდეგ იგი სანუგეშოში გადაერთო, სადაც ვოინაროვიჩს კი მოუგო, მაგრამ მერე პადართან დამარცხდა და საბოლოოდ მეშვიდეზე დარჩა.

ტურნირი რუსთა სამგზის მსოფლიო ჩემპიონმა **ალექსანდრ მიხაილინმა** მოიგო, რომელიც ნაკრებში შერყეული პოზიციების გამყარებას ლამობს - ახლახანს რუსეთის პირველობა მოიგო, ახლა - ეს შეჯიბრებაც. მან ფინალში ბელარუს ოლიმპიურ ჩემპიონ **იჰარ მაკარაუს** აჯობა, ბრინჯაო კი **მატიაშეკმა და პადარმა** მოიპოვეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რაგბი

LOYALCAPITAL group · კვარციტი QUARTZITE · BTA Silk Road Bank

ლეგიონერები

# კლერმონი და მონპელიე ოთხეულში


გია ლაბაძე

**საფრანგეთის ჩემპიონატის I დივიზიონში 4 ტურის შემდეგ ლიდერთა ოთხეულში ქართველ მორაგბეთა ორი გუნდია. თუ დავით ზირაქაშვილისა და გოდერძი შველიძის „კლერმონის“ ლიდერთა ჯგუფში ყოფნა ჩვეულებრივი მოვლენაა, მამუკა გორგოძის „მონპელიეს“ იქ არავინ ელოდა. ოთხ შეხვედრაში „გულივერას“ გუნდმა სამი მოიგო და ბოლო წლების აუტსაიდერი ახლა სატურნირო ცხრილის მეოთხე საფეხურზეა.**

მეოთხე ტურში ზემოთ ნახსენებმა ორივე კლუბმა გასვლითი შეხვედრები გამართა და შინ გამარჯვებული დაბრუნდა. „ვულკანებმა“ სტუმრად დაამარცხეს „ბურგუენი“ 20:14. **გოდერძი შველიძემ**, რომელიც თამაშში **დავით ზირაქაშვილის** ნაცვლად 68-ე წუთიდან ჩაერთო, 7 წუთში თავისი გუნდისთვის გამარჯვების მომტანი ლელო გაიტანა.

**მამუკა გორგოძის** „მონპელიესაც“ არანაკლები ბრძოლა გადახდა სტუმრად **დავით ხინჩაგაშვილის** „ბრივთან“. მონპელიელებმა მეტოქეზე ერთით მეტი საჯარიმოს გატანა შეძლეს და 9:6 მოიგეს. გიორგაძე ძირითად შემადგენლობაში იყო და 54-ე წუთზე შეცვალეს.

საკმაოდ ცუდ მდგომარეობაში არიან „დაქსი“, „ოში“, „კასტრი“ და „ბრივი“. მათ სატურნირო ცხრილში ბოლო ოთხი ადგილი უჭირავთ.

**ირაკლი გიორგაძის** „დაქსმა“ გასვლით შეხვედრაში მარცხი განიცადა ქვეყნის ჩემპიონთან და გათამაშების ერთ-ერთ ლიდერ „სტად ფრანსესთან“ 19:22. ირაკლი ძირითად შემადგენლობაში იყო და 75-ე წუთზე შეცვალეს.

პირველი გამარჯვება მოიპოვა **მამუკა მაგრაქველიძის** „ოშმა“. გასკონელებმა საკუთარ მოედანზე „მონტობანი“ დაამარცხეს 19:13. მაგრაქველიძე ძირითად შემადგენლობაში იყო და 69-ე წუთზე შეცვალეს. მანამდე კი 33-ე წუთზე მატჩის არბიტრმა ყვითელი ბარათი უჩვენა და ათი წუთით დაასვენა.

შინ მშრალი ანგარიშით დამარცხდა „პერპინიანთან“ **აქვსენტი გიორგაძის** „კასტრი“ 0:16. გლობუსამ თავიდან ბოლომდე ითამაშა. ასევე საკუთარ მოედანზე დამარცხდა „ბიარიცთან“ **ავთანდილ კოპალიანის** „ბაიონი“ 10:14. კოპალიანი განაცხადში არ იყო.

საფრანგეთი. I დივიზიონი. IV ტური **სტად ფრანსე-დაქსი 22:19, ბოიონი-ბიარიცი 10:14, ტულონი-ალბი 33:12, ბრივი-მონპელიე 6:9, კასტრი-პერპინიანი 0:16, ოში-მონტობანი 19:13, ბურგუენი-კლერმონი 14:20.**

1. ტულუზი-18 ქულა, 2. სტად ფრანსე-13, **3. კლერმონი-13, 4. მონპელიე-12,** 5. მონტობანი-11, 6. ბურგუენი-11, 7. ბიარიცი-10, **8. ბაიონი-10,** 9. პერპინიანი-8, 10. ალბი-7, **11. დაქსი-6, 12. ოში-5, 13. კასტრი-5, 14. ბრივი-3.**

II დივიზიონში ქართველ მორაგბეთა გუნდების მდგომარეობა ბევრად უკეთესია. სატურნირო ცხრილის პირველი სამი ადგილი „ტულონს“, „მონ დე მარსანს“ და „გრენობლს“ უკავიათ. **გია ლაბაძის** „ტულონი“ ჯერ კიდევ დაუმარცხებელია. ლაბო, რომელსაც კაპიტანის სამკლაური დაუბრუნეს, „პოსთან“ მატჩში ერთ-ერთი საუკეთესო იყო, ტულონელებმა კი მეტოქე 35:10 დაამარცხეს. მერაბ კვირიკაშვილი „პოს“ განაცხადში ისევ არ ყოფილა.

**ირაკლი მაჩხანელის** „მონ დე მარსანმა“ შინ დაამარცხა „აჟენი“ 19:9. თუმცა მაჩხანელი წინა მატჩებისგან განსხვავებით გუნდის განაცხადში არ იყო. საკუთარ მოედანზე დამაჯერებლად დაამარცხა „ბორდო“ **ლევან ლვაბერიძის** „გრენობლმა“ 42:6. ლვაბერიძეს, რომელმაც საკმაოდ მძიმე ოპერაცია გადაიტანა ხერხემალზე, ექიმებმა თამაშის ნება დართეს. თუმცა, „ბორდოს“ წინააღმდეგ არ უთამაშია.

საკმაოდ სერიოზული ბრძოლა გადახდა შინ, „მეტრო რასინგთან“ **მარლახ ურჯუკაშვილის** „ორიიაკს“, რომელმაც გამარჯვებას მატჩის ბოლო წუთებზე მიაღწია 15:9. ურჯუკაშვილი ტრავმირებულია.

დიდი ანგარიშით 45:6 დაამარცხა „ბლანიაკი“ საკუთარ მოედანზე **დავით აშვეთიას** „ოიონაქსმა“. აშვეთიამ თავიდან ბოლომდე ითამაშა. **გიორგი კუთარაშვილის** „ნარბონი“ კი სტუმრად დამარცხდა **იგორ ბარბაქაძის** „ტარბთან“ 19:23. კუთარაშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 25-ე წუთზე მატჩის არბიტრისგან წითელი ბარათი დაიმსახურა. ბარბაქაძე განაცხადში არ იყო.

II დივიზიონი. VI ტური. **ტულონი-ბეზიე 35:10, ბეზიე-ლიმოჟი 17:10, ლიონი-ლა როშელი 11:15, ოიონაქსი-ბლანიაკი 45:6, მონ დე მარსანი-აჟენი 19:9, გრენობლი-ბორდო 42:6, ორიაკი-მეტრო რასინგი 15:9.**

**1. ტულონი-28 ქულა, 2. მონ დე მარსანი-18, 3. გრენობლი-18,** 4. აჟენი-17, **5. ორიაკი-17,** 6. ლა როშელი-17, 7. მეტრო რასინგი-17, **8. პო-15, 9. ოიონაქსი-14,** 10. ბეზიე-14, **11. ნარბონი-13,** 12. ლიონი-10, 13. ლიმოჟი-8, 14. ბორდო-6, **15. ტარბი-6,** 16. ბლანიაკი-3.

**ბესიკ ჯანგავაძე**


მამუკა გორგოძე


დავით ზირაქაშვილი

## ევროპის ერთა თასი

**პორტუგალია-რუმინეთი 8:23**

პორტუგალია: (15-9) ლეალი, აგილარი, სოუზა, მირა, ფორო, მალეირო, პისარა (1-8) მურე, კორეია, შპაჩუკი, აკოსტა, გ. უვა, კოუტინიო, ვ. უვა, ჟირაო (16-22) აგიარი, ფიგეირედო, სევერინო, სარმენტო, ჟოზე პინტო, კაბრალი, გამა - ლ *(ფორო)*, ს *(მალიერო)*

რუმინეთი: (15-9) ვლაიკუ, ბიჯუ, გალი, დანი, ჩუნტუ, დუმბრავა, კაპლესკუ (1-8) ნერე, მიჰალაკე, ბასალაუ, კოსტე, პოპირლანი, ბურჩა, მაკოვეი, მერსოიუ (16-22) დობრე, ზებეგა, რაციუ, რუსი, ანდრეი, დიმოფტე, დასკალუ - *2ლ (პოპარლანი, დასკალუ), 2გ (ვლაიკუ), 3ს (დუმბრავა 2, ვლაიკუ)*

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რუსეთი | 5 | 4 | 0 | 1 | +80 | 8 |
| 2. საქართველო | 4 | 3 | 0 | 1 | +103 | 6 |
| 3. რუმინეთი | 5 | 3 | 0 | 2 | +71 | 6 |
| 4. ესპანეთი | 6 | 3 | 0 | 3 | +23 | 6 |
| 5. პორტუგალია | 4 | 2 | 0 | 2 | +0 | 4 |
| 6. ჩეხეთი | 6 | 0 | 0 | 6 | -277 | 0 |

**2007 წელი**

**3 თებერვალი**
რუმინეთი-საქართველო 17:20
პორტუგალია-ესპანეთი 21:18

**10 თებერვალი**
ესპანეთი-რუსეთი 14:39

**10 მარტი**
რუმინეთი-ესპანეთი 50:14

**17 მარტი**
ჩეხეთი-რუმინეთი 13:46
ესპანეთი-საქართველო 31:17

**24 მარტი**
საქართველო-რუსეთი 31:12

**7 აპრილი**
საქართველო-ჩეხეთი 98:3

**21 აპრილი**
რუსეთი-ჩეხეთი 62:6

**5 მაისი**
ჩეხეთი-ესპანეთი 15:42

**12 მაისი**
პორტუგალია-რუსეთი 13:21

**19 მაისი**
ჩეხეთი-პორტუგალია 3:23

**3 ნოემბერი**
ესპანეთი-ჩეხეთი 46:0

**4 ნოემბერი**
რუმინეთი-რუსეთი 12:22

**1 დეკემბერი**
პორტუგალია-რუმინეთი 8:23

**2008 წელი**

**2 თებერვალი**
საქართველო-პორტუგალია

**9 თებერვალი**
საქართველო-რუმინეთი

**16 თებერვალი**
პორტუგალია-ჩეხეთი

**23 თებერვალი**
პორტუგალია-საქართველო
ესპანეთი-რუმინეთი

**1 მარტი**
რუსეთი-პორტუგალია

**8 მარტი**
რუსეთი-ესპანეთი
რუმინეთი-პორტუგალია

**15 მარტი**
რუსეთი-რუმინეთი

**22 მარტი**
რუმინეთი-ჩეხეთი

**29 მარტი**
ჩეხეთი-საქართველო

**12 აპრილი**
რუსეთი-საქართველო

**19 აპრილი**
ჩეხეთი-რუსეთი

**26 აპრილი**
საქართველო-ესპანეთი

**10 მაისი**
ესპანეთი-პორტუგალია

## თარიღი

**დიმიტრი იოსელიანი.** 02.12.1913, ჩიბათი, ლანჩხუთი - 06.03.89, თბილისი. მძლეოსნობა. მსოფლიოს არაოფიციალური რეკორდსმენი ადგილიდან სიგრძეზე ხტომაში (1936). სსრკ ხუთგზის ჩემპიონი (1934, 35, 36 - ადგილიდან სიგრძეზე ხტომა, ადგილიდან სიმაღლეზე ხტომა, ადგილიდან სამხტომი; - ადგილიდან სიგრძეზე ხტომა, ადგილიდან სიმაღლეზე ხტომა). სპორტსაზოგადოება „ნაუკას“ საკავშირო საბჭოს თავმჯდომარე (1935-40), საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის რექტორი (1946-52), ამავე ინსტიტუტის მძლეოსნობის კათედრის გამგე (1956-83). 1983-იდან სიცოცხლის ბოლომდე ამავე კათედრის პროფესორი იყო. მისი თაოსნობით აშენდა ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის ახალი შენობა (1955), მძლეოსნობის სასახლე (1979), რომელიც მის სახელს ატარებს. სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი.



საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი და ტანვარჯიშის სახეობათა ეროვნული ფედერაცია სამძიმარს უცხადებენ ამავე ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს ინგა გიორგობიანს **დედის** გარდაცვალების გამო.

**პანაშვიდი:** 4, 5.XII; დაკრძალვა 6.XII, 14 სთ; მისამართი: მარგიანის 3 (ყოფილი იაშვილის ქუჩა).

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი და ცხენოსნობის ეროვნული ფედერაცია თანაგრძნობას უცხადებენ, ვეტერან მხედარს და მწვრთნელს, საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს, საქართველოს სპორტის დამსახურებულ მუშაკს ვალერიან მაქაცარიას **შვილის** გარდაცვალების გამო.

**დაკრძალვა** 4. XII; ქ. ფოთში.

დევისის თასი

# ამერიკამ თასი დაიბრუნა

აშშ-ის შტატ ორეგონის ქალაქ პორტლენდის "მემორიალ კოლიზეუმის" სპორტულ ჭერქვეშა კომპლექსში სახელდახელოდ მოწყობილ კორტზე, გასული საჩოგბურთო სეზონის დევისის თასის ფინალური შეხვედრა გაიმართა, რომელშიც ამერიკელებმა 13 000 მაყურებლის თვალწინ, რუსეთის ნაკრები დაამარცხეს.

ამერიკელებს პორტლენდურ ფინალამდე ეს თასი 31-ჯერ ჰქონდათ მოპოვებული, მაგრამ ბოლო 12 სეზონი წარუმატებლად დაასრულეს. აღსანიშნავია, რომ უკანასკნელად მათ დევისის თასი 1995 წელს ასწიეს და მაშინაც ფინალში (ოღონდ მოსკოვში) რუსები დაამარცხეს.. რაც შეეხება რუსეთის ნაკრებს, წინა ხუთ სეზონში მათ ეს საპატიო ჯილდო ორჯერ მოიპოვეს და ორივე შემთხვევაში, წარმატებას შინ მიაღწიეს.

როგორც მოსალოდნელი იყო, ამერიკელებმა სწრაფ კორტზე თამაში ამჯობინეს, რაც მათთვის უდავო უპირატესობა იყო. მართალია, რუსებს გუნდში უნივერსალი მეჩოგნეები (**მიხაილ იუჟნი, დმიტრი ტურსუნოვი** და **ნიკოლაი დავიდენკო**) ჰყავდათ, მაგრამ ფინალამდე ორიოდე დღით ადრე, რუსთა კაპიტანმა **შამილ ტარპიშჩევმა** ცუდ ფორმაში მყოფი დავიდენკო ერთეულების შეხვედრებიდან მოხსნა. არადა, ამ ჩოგბურთელს ფინალის მონაწილეთაგან ყველაზე მაღალი სარეიტინგო ნომერი აქვს.

შეგახსენებთ, რომ დევისის თასზე გუნდები ხუთ-ხუთ შეხვედრას მართავენ. აქედან პირველი ორი ერთეულებისაა, შემდეგ წყვილების და შემდეგ ისევ ორი – ერთეულების. ამჯერად, გამარჯვებული პირველი სამის შემდეგ გამოვლინდა. **ენდი როდიკმა** სამი სეტი იმყოფინა ტურსუნოვის დასამარცხებლად, **ჯეიმს ბლეიკმა** იუჟნის ოთხ სეტში აჯობა. მერე კი წყვილებში, ტყუპებმა, **ბობ** და **მაიკ ბრაიანებმა** იოლად დაამარცხეს დავიდენკო და **იგორ ანდრეევი**.

როგორც მოსალოდნელი იყო, როდიკი იოლად გაუსწორდა ტურსუნოვს. ამერიკელი სწრაფ კორტზე თავს ისე გრძნობს, როგორც თევზი წყალში. ამჯერადაც ასე იყო. მან 25 ეისი მოაწოდა, შეხვედრა კი ორ საათზე ოდნავ ნაკლებში მოიგო და გარდა იმისა, რომ ამერიკელები დააწინაურა, შარშან, დევისის თასისვე ნახევარფინალში, იმავე ტურსუნოვთან ხუთ სეტში ნაგემი მარცხისთვის სრული რევანში აიღო.

ჩატარებული სამი შეხვედრიდან ყველაზე დაძაბული ბლეიკისა და იუჟნის მატჩი გამოდგა. ამ ჩოგბურთელებს ერთმანეთის წინააღმდეგ მანამდე მხოლოდ ერთხელ ეთამაშათ და ისიც დევისის თასის გათამაშებაში. ეს შარშან, ნახევარფინალურ ეტაპზე მოხდა, როცა რუსმა სასწაულებრივად შეძლო ლამის ნაგებული თამაშის შემობრუნება.

იგივეს შანსი მას ამჯერადაც მიეცა, როცა ორი სეტის წაგების შემდეგ, მესამე მოიგო და მეოთხეშიც მოგების შანსი გაუჩნდა. ეს მაშინ მოხდა, როცა ბლეიკი სეტს 5:4 იგებდა და მატჩზე აწოდებდა. იუჟნიმ საპასუხო ბრეიკით ანგარიშის გათანაბრება შეძლო. შემდეგ სეტი ტაიბრეიკამდე მივიდა, სადაც ამერიკელმა შეძლო ნერვების მოთოკვა და გამარჯვებაც მოიპოვა.

ამერიკელები 2:0 დაწინაურდნენ, რაც პრაქტიკულად გამარჯვების მომასწავებელი იყო. გამარჯვების მოტანა მათთვის ბრაიანებს შეეძლოთ, რომლებიც სწრაფ კორტებზე წყვილებში მსოფლიოში საუკეთესონი არიან და იშვიათად თუ აგებენ. დევისის თასზეც, მათ 12 მოგება და მხოლოდ ერთი წაგება ჰქონდათ. შეგახსენებთ, რომ ტყუპებს წყვილებში დიდი სლემის ხუთი ტიტული აქვთ მოპოვებული.

როდიკის მსგავსად, ბრაიანებმაც საქმე ორ საათში მოაგვარეს. ამერიკელებმა პირველი სეტის დასაწყისშივე, ანდრეევის სერვისზე მიიღეს ბრეიკ პოინტი, მაგრამ მისი გამოყენება ვერ შეძლეს. მერე საქმე ტაიბრეიკამდე მივიდა, სადაც ბრაიანები უფრო მობილიზებულები იყვნენ (7:4).

რაც პირველ სეტში არ გამოუვიდათ, ბრაიანებმა ის მეორე სეტის საწყის გეიმშივე, ამჯერად დავიდენკოს სერვისზე შეძლეს, რის შემდეგაც აქცენტი საკუთარი მოწოდების შენარჩუნებაზე გადაიტანეს და მალე სეტებში ანგარიში 2:0-მდე გაზარდეს. მესამე სეტში კი მათ სტუმრებისგან წინააღმდეგობა პრაქტიკულად არ შეხვედრიათ. ამ სეტში მათ ორი ბრეიკი აიღეს და ორივე დავიდენკოს სერვისზე (მესამე და მეშვიდე გეიმებში).

*"ეს ფინალი არასოდეს დაგვავიწყდება. ეს ალბათ ჩვენს მიერ მიღწეული ყველაზე დიდი გამარჯვებაა"*, - ნამატჩევს განაცხადა მაიკ ბრაიანმა. მას კვერი დაუკრა როდიკმა, ვინც 2003 წელს აშშ-ის ღია პირველობის ჩემპიონი გახდა, მას შემდეგ კი დიდი ტურნირი (სასლემო) აღარ მოუგია.

შეგახსენებთ, რომ რუსეთის ნაკრებმა ფინალში დევისის თასის მფლობელის რანგში ითამაშა. რუსებმა შარშანდელი გათამაშების ფინალში, შინ არგენტინის ნაკრები დაამარცხეს. ამერიკელებს კი ისინი მეოთხედ შეხვდნენ და მათგან მესამე მარცხი იწვნიეს. რუსებს ამერიკელები ერთადერთხელ შარშან, ნახევარფინალში დაუმარცხებიათ.

რაც შეეხება დარჩენილ ორ შეხვედრას, მათ მხოლოდ ფორმალური მნიშვნელობაღა აქვთ და დევისის თასის წესებით, მათში გამარჯვებულის გამოსავლენად ორი სეტიც საკმარისი იქნება.

**დევისის თასი. ფინალი**

პორტლენდი (აშშ, ორეგონი)

**აშშ–რუსეთი 3:0**

**ენდი როდიკი – დმიტრი ტურსუნოვი** 6:4, 6:4, 6:2

**ჯეიმს ბლეიკი – მიხაილ იუჟნი** 6:3, 7:6, 6:7, 7:6(3)

**ბობ ბრაიანი/მაიკ ბრაიანი – ნიკოლაი დავიდენკო/იგორ ანდრეევი** 7:6(4), 6:4, 6:2



ამერიკელები გამარჯვებას ზეიმობენ



## NBA რეგულარული ჩემპიონატი

**30 ნოემბერი**

**მინესოტა–სან ანტონიო 91:106**

24:22, 24:26, 32:26, 11:32

**მინესოტა:** ე. ჯეფერსონი (23 ქ. 11 მ. 3 დ), ტელფეირი (17 ქ. 4 პ. 2 ჩ), რ. გომესი (14 ქ), კ. სმიტი (10 ქ).

**სან ანტონიო:** ჯინობილი (31 ქ. 4 პ. 3 ჩ), დანკანი (20 ქ. 14 მ. 4 პ), ტ. პარკერი (17 ქ. 9 პ. 4 მ. 2 ჩ), ბ. ბოუენი (10 ქ).

**ტორონტო–კლივლენდი 91:82**

27:28, 27:21, 22:16, 17:15

**ტორონტო:** ბარნიანი (26 ქ. 6 მ), დელფინო (24 ქ. 8 მ), კალდერონი (11 ქ. 10 პ. 4 მ).

**კლივლენდი:** გიბსონი (24 ქ. 7 პ. 2 ჩ), გუდენი (15 ქ. 14 მ. 5 ჩ), პავლოვიჩი (15 ქ. 5 მ), დ. ბრაუნი (10 ქ).

**ფილადელფია–ვაშინგტონი 85:84**

25:20, 17:23, 26:25, 17:16

**ფილადელფია:** დალემბერი (19 ქ. 11 მ. 3 დ), ა. მილერი (18 ქ. 8 პ. 5 მ), რ. ევანსი (13 ქ. 7 მ), უ. გრინი (13 ქ), იგუოდალა (8 ქ. 12 მ. 7 პ. 4 ჩ. 2 დ).

**ვაშინგტონი:** კ. ბატლერი (20 ქ. 6 მ. 4 პ), ჯეიმისონი (16 ქ. 11 მ. 3 პ), ნ. იანგი (13 ქ), სტივენსონი (10 ქ. 7 პ. 4 მ), ა. დენიელსი (10 ქ).

**ნიუ იორკი–მილუოკი 91:88**

19:29, 25:26, 21:22, 26:11

**ნიუ იორკი:** ზ. რენდოლფი (25 ქ. 8 მ), ჯ. კროუფორდი (25 ქ. 4 პ. 3 ჩ), მარბერი (13 ქ. 6 პ), ფ. ჯოუნსი (10 ქ), კ. რიჩარდსონი (7 ქ. 11 მ. 2 ჩ).

**მილუოკი:** რედი (27 ქ), დ. მეისონი (15 ქ. 6 მ), მო უილიამსი (13 მ. 5 პ), ბოგუტი (10 ქ. 9 მ. 3 დ).

**ატლანტა–ნიუ ორლეანი 86:92**

22:28, 23:15, 18:25, 23:24

**ატლანტა:** მერვინ უილიამსი (18 ქ. 6 პ), ჯო ჯონსონი (17 ქ. 9 პ), ჯოშ სმიტი (16 ქ. 9 მ. 2 დ), **ზაზა ფაჩულია (6 ქ. 4 მ. 1 ჩ).**

**ნიუ ორლეანი:** დევიდ უესტი (22 ქ. 17 მ. 3 ჩ), პოლი (20 ქ. 2 ჩ), პარგო (13 ქ), პიტერსონი (12 ქ).

**მაიამი–ბოსტონი 85:95**

25:31, 16:28, 10:24, 34:12

**მაიამი:** ჯეისონ უილიამსი (22 ქ. 6 მ. 3 პ), ჰასლემი (18 ქ. 10 მ), შ. ონილი (13 ქ. 11 მ), უეიდი (10 ქ. 5 მ. 3 ჩ. 2 დ).

**ბოსტონი:** პირსი (27 ქ. 7 მ. 2 ჩ), გარნეტი (23 ქ. 9 მ), რ. ალენი (17 ქ. 4 პ. 4 ჩ).

**დალასი–პორტლენდი 91:80**

18:19, 26:17, 32:23, 15:21

**დალასი:** ჯოშ ჰოვარდი (23 ქ. 14 მ. 3 პ. 2 ჩ), ტერი (17 ქ. 4 პ), დ. ჰარისი (14 ქ. 7 პ), ნოვიცკი (11 ქ. 2 დ), ბასი (10 ქ).

**პორტლენდი:** ოლდრიჯი (22 ქ. 12 მ. 5 დ), ბლეიკი (12 ქ. 5 პ), ს. როდრიგესი (10 ქ. 5 პ).

**ფინიქსი–ორლანდო 110:106**

31:16, 29:34, 28:28, 22:28

**ფინიქსი:** რ. ბელი (20 ქ. 6 მ. 3 პ), ა. სტაუდმაიერი (19 ქ. 10 მ. 2 დ), მერიონი (17 ქ. 9 მ. 4 დ), ბარბოსა (17 ქ. 3 ჩ), ნეში (15 ქ. 14 პ. 6 მ), გ. ჰილი (15 ქ. 5 მ. 4 პ).

**ორლანდო:** დ. ჰოვარდი (30 ქ. 23 მ. 2 დ), თურქოღლუ (26 ქ. 8 მ. 6 პ), რ. ლიუისი (18 ქ. 5 მ. 2 ჩ).

**სიეტლი–ინდიანა 95:93**

22:24, 27:24, 21:17, 25:28

**სიეტლი:** დიურანი (35 ქ. 5 მ. 3 დ. 2 ჩ. 2 დ), ჯ. გრინი (12 ქ. 5 მ), უილკოქსი (12 ქ. 9 მ. 2 დ), უილკინსი (10 ქ. 4 ჩ)

**ინდიანა:** გრეინჯერი (21 ქ. 7 მ), მ. დანლივი-უმცროსი (14 ქ. 5 მ. 4 პ. 3 ჩ), ს. უილიამსი (13 ქ), ჯ. ონილი (12 ქ. 10 მ), ჰარისონი (10 ქ. 3 დ).

**იუტა–ლეიკერსი 120:96**

30:22, 40:29, 32:31, 18:14

**იუტა:** დ. უილიამსი (35 ქ. 3 პ), კირილენკო (20 ქ. 11 მ. 11 პ. 6 ჩ. 4 დ), მილსეპი (20 ქ. 9 მ), რ. ბრიუერი (14 ქ. 6 პ. 2 ჩ), ჰარპრინგი (12 ქ. 8 მ).

**ლეიკერსი:** ბრაიანტი (28 ქ), ფარმარი (21 ქ. 3 პ), ტურიაფი (12 ქ. 2 დ), ბინუმი (8 ქ. 12 მ. 2 დ).

**დენვერი–კლიპერსი 123:107**

30:24, 33:26, 27:22, 33:35

**დენვერი:** აივერსონი (26 ქ. 7 პ), ენტონი (24 ქ. 6 პ. 3 ჩ), ჯეი. არ. სმიტი (22 ქ), ნახერა (10 ქ. 6 მ. 3 პ), კემბი (6 ქ. 12 მ), ე. კარტერი (6 ქ. 10 პ).

**კლიპერსი:** მაგეტი (26 ქ. 5 პ. 2 ჩ), კამანი (16 ქ. 9 მ. 3 დ), ბ. ნაიტი (13 ქ. 6 პ), ტიმ ტომასი (13 ქ. 6 მ), ტორნტონი (11 ქ).

**1 დეკემბერი**

**ვაშინგტონი–ტორონტო 101:97**

23:23, 30:22, 25:30, 23:22

**ვაშინგტონი:** კ. ბატლერი (29 ქ. 7 პ. 3 ჩ), ჯეიმისონი (28 ქ. 14 მ. 2 დ), რ. მეისონი (15 ქ), სტივენსონი (11 ქ).

**ტორონტო:** კაპონო (23 ქ), ე. პარკერი (18 ქ. 4 მ), მუნი (16 ქ. 13 მ. 2 ჩ), დელფინო (15 ქ. 6 მ), კალდერონი (11 ქ. 11 პ).

**ნიუ ჯერსი–ფილადელფია 94:92 (ო)**

18:29, 16:23, 25:10, 23:22, 13:11

**ნიუ ჯერსი:** ვ. კარტერი (24 ქ. 9 მ. 3 პ. 2 ჩ), რ. ჯეფერსონი (23 ქ. 6 მ. 6 პ), კიდი (19 ქ. 8 პ. 6 მ), ა. რაიტი (15 ქ).

**ფილადელფია:** იგუოდალა (24 ქ. 4 პ. 4 ჩ), ა. მილერი (14 ქ. 7 პ), კორვერი (14 ქ), ლ. უილიამსი (13 ქ), დალემბერი (6 ქ. 16 მ. 5 დ).

**მემფისი–მინესოტა 109:80**

26:21, 23:19, 30:15, 30:25

**მემფისი:** გეი (21 ქ. 2 ჩ), მ. მილერი (18 ქ. 14 მ. 3 პ), ს. სვიფტი (16 ქ. 10 მ. 4 დ), ნავარო (14 ქ), დ. სტაუდმაიერი (14 ქ. 7 პ. 2 ჩ), გასოლი (13 ქ. 4 მ. 4 პ. 2 ჩ).

**მინესოტა:** მაკკენტსი (18 ქ), ტელფეირი (16 ქ. 7 პ. 6 მ. 2 ჩ), ა. უოკერი (13 ქ. 9 მ), კ. ბრიუერი (12 ქ), ე. ჯეფერსონი (9 ქ. 7 მ. 4 დ).

**ნ. ორლეანი–დალას 112:108 (ო)**

32:23, 24:28, 24:30, 22:21, 10:6

**ნიუ ორლეანი:** პოლი (33 ქ. 12 პ. 9 მ. 3 ჩ), სტოიაკოვიჩი (22 ქ. 5 მ), ჩენდლერი (21 ქ. 13 მ. 3 დ), დევიდ უესტი (11 ქ. 14 მ. 3 პ), პარგო (11 ქ), პიტერსონი (10 ქ).

**დალასი:** ნოვიცკი (19 ქ. 6 მ. 3 პ), ჯოშ ჰოვარდი (19 ქ. 8 მ. 5 პ), ტერი (19 ქ. 5 პ. 3 ჩ), სტექჰაუზი (18 ქ), ბასი (13 ქ. 3 დ), დიოპი (4 ქ. 10 მ).

**მილუოკი–დეტროიტი 91:117**

22:28, 20:28, 23:28, 26:33

**მილუოკი:** სიმონსი (13 ქ. 2 ჩ), ვილიანოვა (13 ქ. 4 მ), რედი (11 ქ. 4 პ), მო უილიამსი (10 ქ. 6 პ), ბოგუტი (10 ქ).

**დეტროიტი:** პრინსი (20 ქ), ბილაპსი (18 ქ. 9 პ), რ. მიურეი (16 ქ), რ. უოლასი (15 ქ. 10 მ), მაქსიელი (13 ქ. 9 მ. 2 დ).

**ჩიკაგო–შარლოტი 111:95**

31:23, 27:34, 28:18, 25:20

**ჩიკაგო:** გორდონი (34 ქ. 5 პ), დენგი (29 ქ. 6 მ), ნოჩიონი (17 ქ. 9 მ. 3 პ), ბ. უოლასი (10 ქ. 19 მ. 5 ჩ. 4 დ).

**შარლოტი:** ჯ. რიჩარდსონი (22 ქ. 3 პ), ოკაფორი (21 ქ. 9 მ. 3 დ), ჯ. უოლასი (17 ქ. 7 პ. 3 ჩ), კეროლი (13 ქ).

**საკრამენტო–ჰიუსტონი 107:99**

26:29, 23:21, 30:24, 28:25

**საკრამენტო:** კევინ მარტინი (26 ქ. 2 ჩ), არტესტი (26 ქ. 6 მ. 4 ჩ. 3 პ), უდრიხი (15 ქ. 5 მ. 5 პ), სალმონსი (13 ქ), ბ. მილერი (12 ქ. 7 მ), ჰოუსი (2 ქ. 10 მ. 2 დ).

**ჰიუსტონი:** მაკგრეიდი (40 ქ. 5 პ. 4 მ), მინი (29 ქ. 11 მ. 2 დ), უელსი (8 ქ. 10 მ. 2 ჩ).



დურანმა (მარცხნივ) ინდიანას 35 ქულა ჩაუგდო

ახალი ამბები

### მეექვსე ტური სპენსერისაა

ევროლიგის ჯგუფური ტურნირის მეექვსე ტურის საუკეთესო მოთამაშედ ბოლონიის „ვირტუსის" მცველი **დევორიკ სპენსერი** დასახელდა.

ტურნირის ოფიციალური ვებ-გვერდის ცნობით, გასულ ტურში ამერიკელი ლეგიონერი ყველაზე შედეგიანი იყო - მან სლოვენიის „ოლიმპიას" (101:91) 34 ქულა ჩაუგდო, გარდა ამისა, ცოტა დააკლდა სამმაგი დუბლის შესასრულებლად (8 მოხსნა და 7 შედეგიანი პასი). საბოლოოდ, სპენსერმა 44 სარეიტინგო ქულა დააგროვა და ყველა კონკურენტი უკან ჩამოიტოვა.

მისი მთავარი კონკურენტები კი იყვნენ, მოსკოვის ცსკას ცენტრი **დევიდ ანდერსენი** (23 ქულა და 10 მოხსნა) და საბერძნეთის „ოლიმპიაკოსის" გამთამაშებელი **არვიდას მაციაუსკასი** (32 ქულა).

### დენვერმა მაკოი დააბრუნა

„დენვერ ნაგეტსმა" შემადგენლობა 29 წლის ფორვარდ **ჯელეინი მაკოით** შეავსო. სააგენტო AP-ის ინფორმაციით, კონტრაქტის დეტალები უცნობია.

ამ კალათბურთელმა NBA-ში 7 სეზონი გაატარა და 5 გუნდის ღირსებას იცავდა. მისი საშუალო სტატისტიკური მონაცემები 4.7 ქულასა და 3.6 მოხსნას უტოლდება.

საინტერესოა, რომ ამ ზაფხულს მაკოი „ნაგეტსის" სანვრთნელ ბანაკში იმყოფებოდა, მაგრამ ოთხი საგამოფენო თამაშის ჩატარების შემდეგ, „დენვერის" შემადგენლობამ ფორვარდი დაიწუნა.

### ვარეჟაო არავის სჭირდება

„მაიამი ჰიტის" მთავარმა მწვრთნელმა **პატ რაილიმ** უარყო მისი გუნდის მხრიდან შეზღუდული თავისუფალი აგენტის, **ანდერსონ ვარეჟაოსადმი** დაინტერესება. შეგახსენებთ, რომ ცოტა ხნის წინ, ბრაზილიელი კალათბურთელის აგენტმა სთხოვა ვარეჟაოს ყოფილ კლუბ „კლივლენდს" განეხორციელებინა გაცვლა, რომელშიც სწორედ „მაიამი ჰიტი" იქნებოდა ჩართული.

*„ჰიტი" არც ვარეჟაოსთან და არც მის რომელიმე წარმომადგენელთან მოლაპარაკებებს არ აწარმოებს"*, - განაცხადა რაილიმ Miami Herald-სთვის მიცემულ ინტერვიუში.

ამასობაში, ბრაზილიელ თავდამსხმელს „შარლოტ ბობკეტსში" გადასვლის შანსიც მიეცა. ვარეჟაოს მხარი გუნდის გულშემატკივრებმა დაუჭირეს, რომლებმაც „შარლოტის" შეფობას კალათბურთელის შეძენა სთხოვეს, მაგრამ არც ამ საქმიდან გამოვიდა რამე. „ბობკეტსის" ხელმძღვანელობამ ვარეჟაოს ტრანსფერი ზედმეტ ფუფუნებად ჩათვალა და ბრაზილიელს უარი შეუთვალა.

### დალასის სარჩელი უსაფუძვლო იყო

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ხელმძღვანელობამ არ დააკმაყოფილა „დალას მავერიქსის" პროტესტი. საქმე ეხებოდა „დალასისა" და „ინდიანა პეისერსის" შეხვედრას (107:111), რომლის დროსაც, მსაჯების მიერ დაშვებულმა შეცდომამ თამაშის საბოლოო შედეგზე იქონია გავლენა.

მეორე მეოთხედში, „ინდიანას" კალათბურთელის **ტროი მერფის** ტყორცნა შეცდომით ჩათვალეს სამქულიანად. მაგრამ NBA-ის კომისარის **დევიდ სტერნის** აზრით, „დალასს" იმ მომენტის შემდეგ კიდევ რჩებოდა 34 წუთი მდგომარეობის გამოსასწორებლად, ამიტომაც, კლუბის არგუმენტები უსაფუძვლოდ ჩაითვალა.

### სპურსმა ვაშინგტონი გაუშვა

„სან ანტონიო სპურსის" ხელმძღვანელობამ ფარმკლუბში გაამგზავრა მცველი **დარიუს ვაშინგტონი**.

ეს კალათბურთელი „სან ანტონიოს" რიგებში ამ ზაფხულს, თავისუფალი აგენტის სტატუსით მივიდა და წლევანდელ რეგულარულში 15 მატჩის გამართვა მოასწრო. მისი სტატისტიკური მონაგარი საკმაოდ მოკრძალებულ 2.8 ქულასა და 1.1 მოხსნას შეადგენდა. 11 ნოემბერს, „მილუოკისთან" მატჩში, ვაშინგტონმა მისთვის სარეკორდო - 11 ქულა შესძინა თავის გუნდს.

## ახალი ამბები



რობერტო ლუონგო

## ლუონგოს რეკორდები

„კოლამბუს ბლუ ჯეკეტსთან“ ჩატარებული მშრალი მატჩის შემდეგ, „ვანკუვერ კენაქსის“ მეკარემ **რობერტო ლუონგომ** ზედიზედ მესამე „შათაუტი“ შეასრულა და 194 წუთამდე აიყვანა დროის ის მონაკვეთი, რომლის განმავლობაშიც მას საკუთარ კარში შაიბა არ მიუღია.

ამით 28 წლის მეკარემ ერთბაშად ორი რეკორდი დაამხო. ერთი პირადი რეკორდი (184 წუთი და 37 წამი), რომელიც ლუონგომ სამი წლის წინ, „ფლორიდა პანთერზში“ თამაშისას დაამყარა და ერთიც საკლუბო - „კენაქსში“ წინა მიღწევა **კენ ლოკეტს** ეკუთვნოდა, რომელმაც 1974-75 წლების სეზონში 184 წუთისა და 20 წამის განმავლობაში უვნებლად შეინახა საკუთარი კარი.

*„შესანიშნავი მიღწევაა, მაგრამ მე ის უფრო მახარებს, რომ ჩვენმა გუნდმა თამაში იპოვნა და რეგულარულად იგებს თამაშებს. აუცილებლად უნდა აღნიშნო ჩვენი მცველების მოქმედება, რომლებიც ძირითად შემთხვევაში, ჩემამდე არ უშვებენ შაიბას“*, - განაცხადა ახალმა რეკორდსმენმა.

## ლიგამ კალენდარი შეცვალა

გასულ უიქ ენდზე, ჰოკეის ეროვნული ლიგის დირექტორთა საბჭოს სხდომა გაიმართა, რომელზეც რეგულარული ჩემპიონატის კალენდრის სქემა შეცვალეს. მომავალი წლიდან, NHL-ის კლუბები იმ სისტემას დაუბრუნდებიან, რომელიც ლოკაუტამდე მოქმედებდა. კერძოდ, ახალ სეზონში უკლებლივ ყველა გუნდი, მინიმუმ ერთხელ მაინც შეხვდება ერთმანეთს.

ერთი კონკრეტული კლუბი, 24 მატჩს გამართავს თავის დივიზიონში (ეს არის თითო თანადივიზიონელთან 6 მატჩი), 40 შეხვედრას თავის კონფერენციაში (4-4 თამაში თითო მოწინააღმდეგესთან) და დარჩენილ 18 მატჩს - სხვა კონფერენციის წარმომადგენლებთან (ყოველ გუნდთან თითო მატჩი და კიდევ სამი შეხვედრა, სადაც მეტოქეები დამატებით გაირკვევა).

ახალი ფორმატი უკვე დამტკიცებულია. სხვათა შორის, ოთხი გუნდის - „ანაჰაიმის“, „ბოსტონის“, „ნიუ ჯერსისა“ და „აილენდერსის“ წარმომადგენლებმა ხმა არ მისცეს ამ სიახლეს.

## ნეშვილის გაყიდვა ოფიციალურად დამტკიცდა

NHL-ის დირექტორთა საბჭოს სხდომაზე კიდევ ერთი საკითხი განიხილეს. ლიგამ თანხმობა განაცხადა კლუბ „ნეშვილ პრედატორზის“ გაყიდვაზე. როგორც ცნობილია, ეს გუნდი ბიზნესმენთა ჯგუფმა შეიძინა, რომელსაც სათავეში უდგანან კომპანია 36 Venture Capital-ის შეფი **დევიდ ფრიმენი** და HealthSpring Inc-ის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე **ჰერბ ფრიტჩი**.

„პრედატორზთან“ ერთად, ახალ მფლობელებს უახლოესი სამი წლის განმავლობაში გუნდის არენის, „სომეტ ცენტრის“ მართვის უფლებაც გადაეცემათ.

*„მადლიერები ვართ დირექტორთა საბჭოსი და პირადად კომისარი გარი ბეტმენის იმ ნდობისთვის, რომელიც მათ გამოგვიცხადეს. შევეცდებით „ნეშვილი“ წარმატებული გუნდი იყოს არა მარტო ყინულზე, არამედ მის მიღმაც“*, - წერია ფრიმენის ოფიციალურ განცხადებაში.

## ფედერაცია მოედნის ზომებს ამცირებს

ჰოკეის საერთაშორისო ფედერაციამ (IIHF) გადაწყვიტა შეამციროს სათამაშო მოედნის ზომები. 2008-12 წლების პერიოდში, ჩრდილოეთ ამერიკაში IIHF-ის ეგიდით გასამართ შეჯიბრებებზე მატჩები ისეთ მოედნებზე ჩატარდება, რომლებიც NHL-ის სტანდარტებს შეესაბამება. ამის შესახებ ფედერაციის პრეს-სამსახური იუწყება.

*„ამერიკაში მოედნების მთავარი განმასხვავებელი ნიშანია, საშუალო ზონის უფრო პატარა ზომა. და რადგან, თამაშის დიდი ნაწილი ამ ზონის მიღმა მიმდინარეობს, გადავწყვიტეთ თამაშების სანახაობრივი მხარე შეტევისა და დაცვის ზონების გაზრდის ხარჯზე ავამაღლოთ“*, - აცხადებს IIHF-ის სპორტული დირექტორი **დივ ფიტცპატრიკი**.

## იგინლა კალგარის რეკორდსმენია

შაბათს, „კალგარისა“ და „ანაჰაიმის“ შეხვედრა ისტორიული გამოდგა კანადური კლუბის ლიდერ **ჯერომ იგინლასთვის**. ამ ფორვარდმა „კალგარის“ შემადგენლობაში 804-ე შეხვედრა ჩაატარა და კლუბის ისტორიაში ამ მაჩვენებლით პირველ ადგილზე გადაინაცვლა. წინა რეკორდი ლეგენდარულ მცველს, **ელ მაკინისს** ეკუთვნოდა.

30 წლის იგინლა ამ ღირსშესანიშნავ მოვლენას შემდეგი სტატისტიკური მაჩვენებლებით შეხვდა - ის მეორეა კლუბის ისტორიაში გატანილი გოლების რაოდენობით (337), მეოთხე - შედეგიანი გადაცემებით (361) და მესამე - ქულების მიხედვით (698).

## ფორსბერგი მალე დაბრუნდება

ყოველდღიურად სულ უფრო ოპტიმისტური ინფორმაციები ვრცელდება ცნობილი შვედი ფორვარდის, **პიტერ ფორსბერგის** შესახებ.

შვედური Expressen-ის ცნობით, ექიმებმა დადებითად შეაფასეს 34 წლის ცენტრფორვარდის გამოჯანმრთელების პროცესი. ფორსბერგმა სამშობლოში განაახლა ვარჯიშები, რათა სულ მალე NHL-ის რომელიმე კლუბში გაგრძელოს კარიერა. შვედი თავდამსხმელის სამსახურით „დეტროიტი“, „ოტავა“, „კოლორადო“ და „ფილადელფია“ არიან დაინტერესებულნი.

## პანდოლფო 307 მატჩზე გაჩერდა

„მონრეალ კანადიენსისა“ და „ნიუ ჯერსი დევილზის“ მატჩში ორი მნიშვნელოვანი მომენტი დაფიქსირდა. „დევილზმა“ „მშრალი“ ანგარიშით - 4:0 მოუგო მეტოქეს და „ეშმაკების“ მეკარისთვის, **მარტინ ბროდოსთვის** ეს იყო კარიერაში შესრულებული 94-ე შათაუტი.

გარდა ამისა, ამ შეხვედრაში მონაწილეობა ვერ მიიღო „ნიუ ჯერსის“ ფორვარდმა **ჯეი პანდოლფომ**, რომელსაც საზარდულის ტრავმა აწუხებს. უკანასკნელად ამ ჰოკეისტმა რეგულარული ჩემპიონატის მატჩი ოთხი წლის გამოტოვა. 32 წლის პანდოლფოსთვის ზედიზედ ჩატარებული თამაშების სერია 307 მატჩზე შეწყდა.

## TV სპორტი

### 3 დეკემბერი. ორშაბათი

#### НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-ბოლტონი.
15:05 საფრანგეთის ჩემპიონატი. ვალანსი-რენი.
16:50 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:05 ესპანეთის ჩემპიონატი. ვალენსია-ბილბაო.
18:50 არგენტინის ჩემპიონატი. ბოკა-ხუნიორსი-ლანუსი.
20:35 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:55 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
21:55 ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:55 გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
23:55 ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნ-ფულჰემი (LIVE).
01:55 პლაჟის ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. ბრაზილია.

#### SPORT 1 (უკრაინა)

08:00 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ედმონტონი-ანაჰაიმი.
09:48 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
10:17 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. მილანი-იუვენტუსი.
12:02 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი.
13:47 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. მიმოხილვა.
14:15 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
15:00 ფეხბურთი. ევრო 2008. ფინალური ეტაპის წილისყრა. შვეიცარია.
16:12 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ოტავა-რეინჯერსი.
18:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი.
18:50 სპორტკლუბი. ტენისბოლი.
20:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტოტენჰემი-ბირმინგემი.
22:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ბეტისი-ატლეტიკო.
00:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ვალენსია-ბილბაო.
02:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
02:30 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ვერდერი-ჰამბურგი.
04:17 სპორტდოსიე. კალათბურთი.
04:44 მხატვრული ტანვარჯიში.
05:03 ფეხბურთი. Barca TV.
05:31 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი.
07:01 ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. მალაიზია.

#### EUROSPORT

11:30 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. ბრიტანეთი.
12:00 ქიორლინგი. ევროპის ჩემპიონატი. ჯგუფური ეტაპი. მამაკაცები. შვედეთი-შოტლანდია. გერმანია (LIVE).
14:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS142. კუუსამო. ფინეთი.
15:00 ბიატლონი. მსოფლიო თასი. ქალები. რბოლა გამოდევნებით. კონტიოლაჰტი. ფინეთი.
15:30 ბიატლონი. მსოფლიო თასი. მამაკაცები. რბოლა გამოდევნებით. კონტიოლაჰტი. ფინეთი.
16:00 ქიორლინგი. ევროპის ჩემპიონატი. ჯგუფური ეტაპი. მამაკაცები. გერმანია-ჩეხეთი. გერმანია (LIVE).
18:00 თოვლის უიქ ენდი. ტელეჟურნალი.
18:30 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS142. კუუსამო. ფინეთი.
20:00 ბიატლონი. მსოფლიო თასი. ქალები. რბოლა გამოდევნებით. კონტიოლაჰტი. ფინეთი.
20:30 ფეხბურთი. ევრო 2008.
21:00 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
21:45 გოლი - საფეხბურთო პროგრამა.
22:00 მულტისპორტი.
22:15 ევროსპორტის ჩემპიონები. ტაიგერ ვუდსი.
22:45 ბოულინგი. შოტლანდიის ღია პირველობა. ფინალი. პერტი.
23:45 მულტისპორტი.
00:00 ბრძოლა წესების გარეშე.
03:00 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
03:45 მულტისპორტი.

#### EUROSPORT-2

10:30 ახალი ამბები.
13:00 სნოუბორდი. გერმანია.
14:00 ავტოსპორტი. ჩემპკარის სერია. სეზონის მიმოხილვა.
15:00 ახალი ამბები.
17:00 სუპერკროსი. შვეიცარია.
18:00 მოტოფრისტაილი. პრალა. ჩეხეთი.
19:00 სნოუბორდი. გერმანია.
20:00 ავტოსპორტი. ჩემპკარის სერია. სეზონის მიმოხილვა.
21:00 ახალი ამბები.
21:30 თოვლის უიქ ენდი. ტელეჟურნალი.
22:00 სნოუბორდი. მსოფლიო თასი. ვალე ნევადო. ჩილე.
22:30 ახალი ამბები.
23:00 სნოუბორდი. გერმანია.
00:00 სუპერკროსი. შვეიცარია.
02:00 ახალი ამბები.
02:15 მოტოფრისტაილი. პრალა. ჩეხეთი.
03:15 ახალი ამბები.

## ცხელი ხაზი

### კალათბურთი

| საბერძნეთი | |
|---|---|
| აეკ-პაოკ | 83:76 |
| აეკ-რეთიმნო | 83:74 (ო) |
| არისი-აელ | 72:70 |
| პანიონიოსი-პანელინიოსი | 78:60 |
| ეგალეო-ოლიმპიაკოსი | 106:112 |
| კოლოსოსი-პანათინაიკოსი | 65:106 |

| ესპანეთი | |
|---|---|
| მენორკა-გრანადა | 78:77 |
| ვალიადოლიდი-კახასოლი | 76:74 |
| ბარსელონა-ვალენსია | 83:80 (ო) |
| ხუვენტუდი-მურსია | 97:77 |
| ფუენლაბრადა-უნიკახა | 82:89 |
| ხირონა-ესტუდიანტესი | 82:76 |
| რეალი-ლეონი | 96:80 |
| ტაუგრესი-ბილბაო | 78:80 |
| გრან კანარია-მანრესა | 83:78 |

| იტალია | |
|---|---|
| ნაპოლი-ბენეტონი | 64:69 |
| სკავოლინი-მონტეპასკი | 86:89 |
| ბიელა-მილანი | 82:77 |
| კანტუ-ვარეზე | 96:83 |
| დ'ორლანდო-მონტეგრანარო | 82:76 |
| ტერამო-სნაიდერო | 99:86 |
| ვირტუსი-რიეტი | 82:63 |

| საფრანგეთი | |
|---|---|
| შოლე-გრაველინი | 82:70 |
| კლერმონი-დიჟონი | 83:93 |
| ნანსი-ჰავრი | 92:77 |
| პარიზი-ტულონი | 81:72 |
| სტრასბური-პო ორტეზი | 90:76 |
| ვიში-ორლეანეზი | 53:57 |
| ვილერბანი-რუანი | 95:80 |

### ჰოკეი

| რუსეთი | |
|---|---|
| ს. იულაევი-სევერსტალი | 5:5 |
| ლადა-ლოკომოტივი | 3:4 |
| ხიმიკი-აკ ბარსი | 1:3 |
| სკა-ნეფტეხიმიკი | 4:1 |
| ცსკა-მეტალურგი (ნ) | 3:2 |
| ტორპედო-სიბირი | 4:3 |
| მეტალურგი (მ)-დინამო | 6:2 |
| ტრაქტორი-მვდ | 2:5 |

| გერმანია | |
|---|---|
| კიოლნი-ნიურნბერგი | 2:2 |
| ფრანკფურტი-კრეფელდი | 3:2 |
| აისბარენი-შტრაუბინგი | 4:3 |
| დიუსელდორფი-ჰანოვერი | 1:4 |
| ვოლფსბურგი-ჰამბურგი | 5:3 |

| სლოვაკეთი | |
|---|---|
| მარტინი-ტრენჩინი | 4:3 |
| ჟილინა-სკალიცა | 3:4 |
| ნიტრა-სლოვანი | 1:3 |
| მიკულაში-კეჟმაროკი | 2:2 |
| პოპრადი-კოშიცე | 2:2 |

| ფინეთი | |
|---|---|
| ილვესი-ლუკო | 4:2 |
| კაიპა-საიპა | 3:3 |
| კერპეტი-იოკერიტი | 2:1 |
| პელიკანსი-იუვიასკიულა | 2:1 |
| ესბი-ჰპკ | 4:0 |

| ჩეხეთი | |
|---|---|
| ტრშინეცი-კლადნო | 0:3 |
| პარდუბიცე-კარლოვი ვარი | 2:0 |
| ბუდეიოვიცე-სლავია | 3:0 |
| ზლინი-სპარტა | 2:3 |
| ვიტკოვიცე-პლზენი | 6:0 |
| ლიბერეცი-სლოვანი | 3:0 |

| შვეიცარია | |
|---|---|
| ამბრი-დავოსი | 6:4 |
| ბერნი-ლუგანო | 6:0 |
| ფრიბურგი-ცუგი | 3:2 |
| სერვეტი-ლანგნაუ | 3:3 |
| რაპერსვილი-კლოტენი | 3:2 |

| შვედეთი | |
|---|---|
| მოდო-ფროლუნდა | 1:2 |
| ლულეა-მორა | 2:2 |
| ჰვ 71-ფერიესტადი | 3:1 |
| ბრიუნასი-სიოდერტალე | 10:2 |
| სკელეფტეო-ლინჩოპინგი | 3:3 |
| იურგორდენი-ტიმრე | 1:3 |

## NHL რეგულარული ჩემპიონატი

### 30 ნოემბერი

**ნიუ ჯერსი-მონრეალი 4:0**

1:0, 1:0, 2:0

გოლები: 1:0 პარიზე-10, 2:0 პარიზე-11 (ჯონსა-10, ზაიაცი-9), 3:0 პარიზე-12 (ლანგენბრუნერი-8, მარტინი-9), 4:0 ჯონსა-9 (პარიზე-16, ლანგენბრუნერი-9).

**კაროლინა-ვაშინგტონი 4:3**

1:1, 2:0, 1:2

გოლები: 0:1 ოვეჩკინი-18 (ნიულანდერი-17), 1:1 სტილმანი-13 (ე. სტაალი-10, ს. უოლკერი-3), 2:1 კულენი-6 (რეი უიტნი-15, უესლი-2), 3:1 ბრინდამორი-12 (გლისონი-4, ლედი-1), 3:2 ოვეჩკინი-19 (სიომინი-2), 4:2 ბრინდამორი-13, 4:3 ნიულანდერი-7 (ვიქ. კოზლოვი-12, ოვეჩკინი-11).

**პიტსბურგი-დალასი 4:1**

2:0, 1:1, 1:0

გოლები: 1:0 კროსბი-13 (კ. არმსტრონგი-3, ორპიკი-4), 2:0 ტ. კენედი-3 (ჯ. სტაალი-3, გ. რობერტსი-9), 2:1 რიბეირო-10 (ოტი-3, ბუშე-9), 3:1 კროსბი-14 (სიდორი-2, კ. არმსტრონგი-4), 4:1 მალკინი-10 (სიკორა-8).

**მინესოტა-სენტ ლუისი 3:2 (ო)**

1:0, 1:2, 0:0, 1:0

გოლები: 1:0 ბერნსი-6 (როლსტონი-9, დემიტრა-7), 2:0 როლსტონი-8 (ველანჟე-12, სკოულა-3), 2:1 სტემპნიაკი-2 (სალვადორი-5, ბრიუერი-5), 2:2 ბოიესი-15 (კარია-18, ე. ჯონსონი-5), 3:2 გაბორიკი-10.

**ჩიკაგო-ფინიქსი 6:1**

5:0, 1:0, 0:1

გოლები: 1:0 ტ. რუუტუ-4 (პავლატი-1), 2:0 ტოევზი-10 (შარპი-8, სოპელი-6), 3:0 ბიფუგლენი-4 (სამსონოვი-4, პერო-3), 4:0 ბიფუგლენი-5 (კეინი-19, ტოევზი-9), 5:0 ბიფუგლენი-6 (კეინი-20, ტოევზი-10), 6:0 ტ. რუუტუ-5 (ვანდერმეერი-6, ბიფუგლენი-2), 6:1 მიულერი-7.

**ედმონტონი-ანაჰაიმი 5:1**

1:1, 2:0, 2:0

გოლები: 1:0 ჰემსკი-9 (პორკოფი-12, სტოლი-6), 1:1 გეტცლაფი-11 (კუნიტცი-9), 2:1 პორკოფი-11 (ჰენერი-8, სტოლი-7), 3:1 ბროძაკი-5 (რისონერი-6, ტორესი-4), 4:1 კოლიანო-6 (გილბერტი-5), 5:1 სტაიოსი-3 (რ. ნილსონი-5, პორკოფი-13).

**სან ხოსე-კოლორადო 3:2**

1:0, 2:2, 0:0

გოლები: 1:0 ჯ. ტორნტონი-10 მ. მიხალეკი-3), 2:0 ჯ. ტორნტონი-11 (მ. მიხალეკი-4, ოზოლინში-4), 2:1 ჰეიდუკი-8 (შჩასტნი-19, ჰენანი-5), 3:1 გრირი-3 (ჯ. ტორნტონი-18, მაკლარენი-5), 3:2 ბრუნეტი-4 (შჩასტნი-20, საკიკი-15).

### 1 დეკემბერი

**ოტავა-რეინჯერსი 2:5**

0:3, 1:1, 1:1

გოლები: 0:1 ჟირარდი-3 (მარსელ ჰოსა-4), 0:2 შენეჰანი-8 (გომესი-14, მარსელ ჰოსა-5), 0:3 იაგრი-7 (როჟსივალი-8), 0:4 შენეჰანი-9 (სტრაკა-4), 1:4 კორვო-4 (სპეცა-21, ალფრედსონი-16), 2:4 ჰიტლი-14 (სპეცა-22, ალფრედსონი-17), 2:5 ბეტსი-1.

**ბაფალო-კაროლინა 8:1**

2:0, 2:0, 4:1

გოლები: 1:0 კოტალიკი-6 (ლიდმანი-5), 2:0 ტ. კონოლი-3 (დ. რუა-10, შპაჩეკი-8), 3:0 მეირი-3 (გოსტადი-6), 4:0 აფინოგენოვი-4 (ბ. კემპბელი-15), 5:0 დ. რუა-9 (ტ. კონოლი-15), 6:0 ვანეკი-7 (სტეფორდი-5), 7:0 კოტალიკი-7 (გოსტადი-7, შპაჩეკი-9), 8:0 შპაჩეკი-6 (აფინოგენოვი-6, ბ. კემპბელი-16), 8:1 რეი უიტნი-12 (ვედიკანი-5, საიდენბერგი-6).

**ტორონტო-პიტსბურგი 4:2**

1:0, 2:0, 1:2

გოლები: 1:0 ბელი-1 (სუნდინი-19), 2:0 ჯ. ბლეიკი-3 (უელვუდი-2, ა. სტინი-9), 3:0 ანტროპოვი-10 (მაკეიბი-8, პონიკაროვსკი-5), 3:1 მელოუნი-8 (კ. არმსტრონგი-5), 3:2 ე. კრისტენსენი-3 (კროსბი-22, რაიან უიტნი-7), 4:2 პონიკაროვსკი-9 (სუნდინი-20).

**მონრეალი-ნეშვილი 4:5 (ო)**

2:0, 1:0, 1:4, 0:0

გოლები: 1:0 ჰიგინსი-10 (კოვალიოვი-10, პლეკანეცი-12), 2:0 პლეკანეცი-8 (კოვალიოვი-11, ბრისბუა-6), 3:0 ლატენდრესი-6 (ჩიპჩურა-4, ჰამრლიკი-10), 3:1 ორტმაიერი-1 (ჰამჰუისი-8, სმიტსონი-2), 4:1 ლატენდრესი-7 (ჰამრლიკი-11, ჩიპჩურა-5), 4:2 ლეგვანდი-7 (ჰამჰუისი-9, რადულოვი-12), 4:3 დე ერისი-2 (რადულოვი-13, ლეგვანდი-13), 4:4 ბონკი-10 (ტიდლიცკი-10, ლეგვანდი-14).

ბულიტები გაიტანეს: ბონკი (ნეშვილი), ერატი (ნეშვილი), ს. კოივუ (მონრეალი).

**ლოს ანჯელესი-კოლორადო 2:5**

2:1, 0:1, 0:3

გოლები: 1:0 ივანანსი-2 (ო'სალივანი-4), 2:0 კოპიტარი-11 (ო'სალივანი-5, დ. ბრაუნი-8), 2:1 შჩასტნი-10 (რ. სმიტი-9, ჰენენი-6), 2:2 ჰენსიკი-1 (არნასონი-6, ჰენენი-7), 2:3 რ. სმიტი-7 (ჰეიდუკი-9, სკრასტინსი-1), 2:4 რ. სმიტი-8 (შჩასტნი-21, ფინგერი-5), 2:5 ჰლინკა-3 (გიტი-6).

**აილენდერსი-ატლანტა 0:4**

0:4, 0:0, 0:0

გოლები: 0:1 კოვალჩუკი-21 (ენსტრიომი-12, ჰაველიდი-6), 0:2 ბულტონი-1 (სლეიტერი-2, დუპუი-3), 0:3 მარიან ჰოსა-10 (კოვალჩუკი-15, ჰაველიდი-7), 0:4 ვიაჩ. კოზლოვი-7 (ტორნბურნი-1, ჰოლიკი-6).

**ფილადელფია-დალასი 1:4**

1:1, 0:3, 0:0

გოლები: 1:0 რ. ჯონსი-2 (მ. რიჩარდსი-17, უმბერგერი-12), 1:1 ჰალპერნი-6 (ოტი-4, დელეი-5), 1:2 ი. იოკინენი-10 (ბუშე-10, დელეი-6), 1:3 მიეტინენი-3 (ზუბოვი-20, მოროუ-15), 1:4 რიბეირო-11 (მოროუ-16).

**ფლორიდა-ვაშინგტონი 1:2**

0:1, 0:0, 1:1

გოლები: 0:1 ჰოტიე-2 (ოვეჩკინი-12), 1:1 მეზეი-1 (ო. იოკინენი-14), 1:2 ოვეჩკინი-20 (ნიულანდერი-18, შულტცი-1).

**დეტროიტი-ფინიქსი 3:2**

1:0, 0:2: 2:0

გოლები: 1:0 დაცუკი-9 (ზეტერბერგი-18, რაფალსკი-18), 1:1 ვინიკი-3, 1:2 სიოსტრიომი-5 (ბოინტონი-3, მ. ჯონსი-2), 2:2 ზეტერბერგი-17 (რაფალსკი-19, ოსგუდი-1), 3:2 კლირი-9 (მუდლერი-10, კრონვალი-7).

**ტამპა ბეი-ბოსტონი 4:1**

2:0, 1:1, 1:0

გოლები: 1:0 ლეკავალიე-17, 2:0 ლეკავალიე-18 (ბ. რიჩარდსი-17, ულეტი-10), 2:1 მიურეი-7 (ვიდემანი-5, სავარი-25), 3:1 დერჩი-3 (კუბა-10, გრეტონი-5), 4:1 სენტ ლუისი-9 (ლეკავალიე-23, რეინჯერი-13).

**სენტ ლუისი-ჩიკაგო 3:1**

1:0, 2:0, 0:1

გოლები: 1:0 სტემპნიაკი-3 (მაიერსი-3), 2:0 კინგი-1 (ჰიროტი-1, ჯეკმენი-2), 3:0 მ. ჯონსონი-2 (ტკაჩუკი-14, სალვადორი-6), 3:1 ლანგი-7 (ბიფუგლენი-3).

**კალგარი-კოლამბუსი 3:4 (ო)**

0:2, 2:0, 1:1, 0:1

გოლები: 0:1 ჟერდიოვი-8 (ნეში-12, ჰეკა-9), 0:2 გლენკროსი-4 (ბრული-2, ფიოდოროვი-10), 1:2 ლენგკოუ-10 (ა. ოკუანი-8, ფანოფი-10), 2:2 იგინლა-14 (ლენგკოუ-13, ჰუსელიუსი-12), 2:3 ბიჩი-1, 3:3 ა. ოკუანი-4 (იგინლა-22), 3:4 გლენკროსი-5 (ბიჩი-1, რასელი-4).

ფორმულა 1

## ალონსო ჰონდას ბოლიდს მოარგეს

საინტერესო ინფორმაციას ავრცელებს F1magazin. მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი **ფერნანდო ალონსო** „ჰონდას“ ქარხანას სტუმრობდა, სადაც ესპანელი პილოტი იაპონური საჯინიბოს ბოლიდის სავარძელში ჩასვეს.

როგორც ამბობენ, ალონსოს „ჰონდას“ მიმართ ინტერესი ფორმულა 1-ის ფაქტობრივი მფლობელის, **ბერნი ექლსტოუნის** რჩევის შემდეგ გაუჩნდა. ვარაუდობენ, რომ ესპანელი ამ გუნდში ბრაზილიელი **რუბენ ბარიკელოს** ადგილს დაიკავებს, ეს უკანასკნელი კი, „სუპერ აგურიში“ გადავა და იქ იაპონელი **ტაკუმა სატოს** პარტნიორი გახდება.

„ჰონდას“ მომავალი სეზონისთვის დიდი გეგმები აქვს. შემთხვევითი არ არის, რომ ცოტა ხნის წინ, ეს გუნდი „ფერარის“ ყოფილ ტექნიკურ დირექტორს, **როს ბრაუნს** ჩააბარეს.

## მასამ ცოლი მოიყვანა

გუშინ, გერმანულ პრესაში გაჩნდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ სან პაულუში შედგა „ფერარის“ პილოტ **ფელიპე მასასა** და მისი გერლ-ფრენდის **რაფაელა ბასის** ქორწილი.

ცერემონია გასაიდუმლოებულ ვითარებაში ჩატარდა. მას არ დასწრებიან პრესის წარმომადგენლები და ქორწილიც დიდი სტუმრიანობით არ გამოირჩეოდა.

ჩოგბურთი

## ვენუსი ისევ ტრავმირებულია

მსოფლიო კლასიფიკაციის მერვე ნომერმა, ამერიკელმა **ვენუს უილიამსმა** ბაჰამის კუნძულებზე ჩატარებულ საჩვენებელ მატჩში ტრავმა მიიღო. უფროსი უილიამსი იქ ადგილობრივ ჩოგბურთელებთან - **მარკ ნოულსთან, რეჯის ფიბინთან** და **მაიკლ გელმანთან** ერთად თამაშობდა.

*„ზარძაყის კუნთი დამეჭიმა. მეორე დღეს სიარული მიჭირდა და ახლაც ვკოჭლობ. მაგრამ ტრავმებს უკვე შეჩვეული ვარ და ამ დაზიანებას დიდ ყურადღებას არ ვანიჭებ“*, - აცხადებს ვენუსი. ექიმების თქმით, ჯერჯერობით არ არსებობს იმის საფუძველი, რომ უილიამსს 2008 წლის იანვარში „დიდი სლემის“ პირველი ტურნირის, ავსტრალიის ღია პირველობის გამოტოვება მოუწევს.

კრივი

## ტაისონი მსახიობი ხდება

24-საათიანი პატიმრობის მოხდის შემდეგ, მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი **მაიკ ტაისონი** ლოს ანჯელესის ნარკოლოგიურ კლინიკა Wonderland-ში დაბრუნდა. ადრე, „რკინის მაიკი“ ერთი წელი მკურნალობდა ამ კლინიკაში.

გარდა ამისა, ცნობილი ხდება, რომ 41 წლის ტაისონმა თანხმობა განაცხადა კინოფილმში მონაწილეობაზე. ამერიკელმა რეჟისორმა **ჯეიმს ტობაკმა** გადაწყვიტა დოკუმენტური ფილმი შექმნას მოკრივის ცხოვრებაზე და გადაღებებზე თავად სპორტსმენი მიწვია.

სხვათა შორის, ადრე ტაისონი თამაშობდა ტობაკის ფილმში - „შავი და თეთრი“. ახალი ნამუშევარი სავარაუდოდ მომავალ წელს გამოვა ეკრანებზე.

ჰოკეი

## იხვებმა ფორვარდი ევროპაში გაუშვეს

„ანაჰაიმ დაქსის“ ხელმძღვანელობამ დააკმაყოფილა ცენტრალური ფორვარდის, **მაიკ მოუერსის** თხოვნა და ჰოკეისტი ევროპაში გაუშვა კარიერის გასაგრძელებლად.

33 წლის თავდამსხმელი შვეიცარიაში „ბერნის“ ღირსებას დაიცავს. კონტრაქტის დეტალები პრესისთვის უცნობი დარჩა.

მოუერსი, რომელსაც NHL-ში გატარებული შვიდი წლის განმავლობაში ოთხი კლუბის ღირსება დაუცავს, განსაკუთრებული შედეგიანობით არასოდეს გამოირჩეოდა - მის ანგარიშზე 18 გოლი და 44 შედეგიანი პასი მოდის.

ეს საინტერესოა

მსოფლიო რეკორდები

# იჩქარეთ! რეკორდებისთვის 50 წელი დარჩა

კაცობრიობა თავისი ფიზიკური შესაძლებლობების ზღვარს მიუახლოვდა და ნახევარი საუკუნის შემდეგ, სპორტსმენები ვეღარ შეძლებენ ახალი რეკორდების დამყარებას. ასეთია დასკვნა იმ ფართომასშტაბიანი კვლევისა, რომელიც სპორტის ბიომედიცინისა და ეპიდემიოლოგიური გამოკვლევის ფრანგული ინსტიტუტის (IRMES) მეცნიერებმა ჩაატარეს. ამ კვლევის დროს, განიხილეს და დაამუშავეს 1896 წლიდან, ანუ ოლიმპიური თამაშების დაარსებიდან დღემდე დამყარებული 3260 მსოფლიო რეკორდი. პირველ რიგში, გამოკითხვა ეხებოდა სპორტის ოლიმპიურ სახეობებს - მძლეოსნობას, ცურვას, ველოსპორტს, ძალოსნობას და ფიგურებით სრიალს.

სწავლულებმა ხაზი გაუსვეს იმას, რომ XX საუკუნის 60-იანი წლებიდან მოყოლებული, რეკორდების რიცხვმა მკვეთრად იკლო. მათი აზრით, ეს არ არის დამოკიდებული ადამიანების ცხოვრების პირობებზე. IRMES-ის დირექტორის, სამედიცინო მეცნიერებათა დოქტორის **ჟან-ფრანსუა ტუსენის** სიტყვებით, *„შეიძლება ჩაითვალოს, რომ ჩვენი საზოგადოება მიუახლოვდა ადამიანის ფიზიკური და ბიოლოგიური შესაძლებლობების ლიმიტს“*. მეცნიერთა აზრით, რეკორდების მხრივ მეტი პერსპექტივები მამაკაც სპორტსმენებს უფრო აქვთ, ვიდრე ქალებს. შესაძლებელია ოდნავ გაუმჯობესდეს შედეგი 100 მეტრ დისტანციაზე, მაგრამ ამავდროულად, ტუსენი ბიოლოგიურად შეუძლებლად მიიჩნევს 100 მეტრის 9 წამში გარბენას.

სწავლულთა გამოთვლებით, 2060 წლისთვის პრაქტიკულად შეწყდება მსოფლიო რეკორდების დამყარება. მათი გაუმჯობესება შესაძლებელი იქნება ნომინალური შედეგიდან ერთ-ორი მეათასედი ერთეულით. თანაც, რეკორდების დასაფიქსირებლად საჭირო გახდება გაზომვის უფრო წვრილი ერთეულები - ერთი მეათასედი წამი ასმეტრიან დისტანციაზე და ერთი მეასედი - მარათონზე. ძალოსნობაში დაითვლიან გრამებს. *„არ უნდა გამოვრიცხოთ ის, რომ ამა თუ იმ რეკორდის დამხობას შესაძლოა 50 წელიც კი დასჭირდეს“*, - თვლის ჟან-ფრანსუა ტუსენი.

სტატისტიკა აჩვენებს, რომ სპორტის ამა თუ იმ სახეობაში რეკორდების დასამყარებლად არასახარბიელო ზოგადი მდგომარეობაა. ასე მაგალითად, მედიცინის აზრით, სიმაღლეზე ხტომაში (რეკორდი 2.45 მეტრი) რეკორდის გაზრდა 2.60 მეტრამდეც კი არის შესაძლებელი, მაგრამ ამავდროულად, შექმნილი მათემატიკური მოდელი გვიჩვენებს მხტომელთა შედეგების კლებას. ანუ, ახალი რეკორდის დამყარებას შეძლებს ის სპორტსმენი, რომელსაც შედეგების გაუმჯობესების ტენდენცია აქვს და ის განსხვავდება მხტომელთა ძირითადი ჯგუფის მახასიათებლებისგან.

რეკორდების დასამყარებლად ყველაზე პერსპექტიული სახეობაა ქალებს შორის ჭოკით ხტომა - ეს შედარებით ახალგაზრდა დისციპლინაა. აქ მაქსიმალური ზღვარი დაახლოებით 5.50 მეტრს უახლოვდება, რეკორდი კი, 5.01 მეტრს უდრის. ანუ, აქ შედეგების გაუმჯობესებაში 10-პროცენტიანი წინსვლაა მოსალოდნელი, იმ დროს, როცა დანარჩენ სახეობებში, ეს მაჩვენებელი 3 პროცენტს არ აღემატება.

*„რეკორდების დამყარებისთვის სპორტსმენებს მხოლოდ 50 წელი რჩებათ“* - გვაფრთხილებენ ფრანგი მეცნიერები.

სამთო თხილამურები



მიხაელ ვალხჰოფერი

მსოფლიო თასი

# ავსტრიელთა პირველი გამარჯვება

აშშ-ის შტატ კოლორადოს სამთო კურორტ ბივერ კრიკის ფერდობ "ბირდ ოფ პრეიზე" (მტაცებელი ფრინველი), სამთო მოთხილამურეთა მსოფლიო თასის გათამაშების ახალ სეზონში, ავსტრიელმა მამაკაცებმა პირველი გამარჯვება მოიპოვეს – დაშვების მეორე ეტაპი **მიხაელ ვალხჰოფერმა** მოიგო.

რბოლა რთულ მეტეოპირობებში ჩატარდა. ძლიერი თოვის გამო, ბევრმა მოთხილამურემ შეცდომა დაუშვა, ზოგი კი ზედმეტ რისკს მოერიდა. თუმცა, გამონაკლისიც ბევრი იყო, მათ შორის, ამერიკელი **სტივენ ნაიმანიც**, რომელმაც სიფრთხილეს რისკი ამჯობინა. ერთ მომენტში, მან სერიოზული შეცდომაც დაუშვა და რამდენიმე მეტრი ცალი ფეხითაც ისრიალა, თუმცა წონასწორობის შენარჩუნება შეძლო და მის წინ გამოსულ ყველა მოთხილამურეს აჯობა.

თითქოს, გამარჯვებაც მას უნდა დარჩენოდა, მაგრამ ვალხჰოფერმა, ვინც დაშვების სპეციალისტია (ამ დისციპლინაში ბროლის მცირე გლობუსი არაერთხელ მოუპოვებია, 2003 წელს კი მსოფლიო ჩემპიონი გახდა), კიდევ უფრო უკეთესი (0.05 წამით) დრო აჩვენა და გამარჯვებაც მას დარჩა.

ალსანიშნავია, რომ ძლიერი თოვისა და ნისლის გამო, რბოლის ორგანიზატორებმა ტრასა დაამოკლეს. ამასთან, რბოლა ორჯერ შეწყდა, თუმცა მისი დასრულება მაინც მოხერხდა.

*"ჩემთვის ეს ალბათ ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული გამარჯვებაა. ის მე თავდაჯერებულობას შემმატებს. თანაც, აშშ-ში პირველად შევძელი რბოლის მოგება და ესეც მნიშვნელოვანია. თითქოს, დაშვების რიგითი ეტაპი მოვიგე, მაგრამ რეალურად საქმე სულ სხვაგვარადაა. ეს ერთ-ერთი ყველაზე რთული ტრასაა, რომელზეც მეორე ადგილს აქამდე არასოდეს ავცდენივარ"*, - განაცხადა ვისაც ჩრდილოეთ ამერიკაში აქამდე არასოდეს მოეგო მსოფლიო თასის რბოლა.

მესამე ადგილი დაიკავა დაშვების კიდევ ერთმა სპეციალისტმა, შვეიცარიელმა **დიდიე კუშემ**, ვინც ამით მეტად უკმაყოფილო დარჩა. ამის მიზეზი კი ის გახდა, რომ ოფიციალურ ვარჯიშებზე, მას საუკეთესო შედეგები ჰქონდა და ბუნებრივია, რბოლის მოგებასაც იმედოვნებდა.

აბსოლუტურ კლასიფიკაციაში ლიდერი კვლავაც ნორვეგიელი **აკსელ ლუნდ სვინდალია**, ვინც რამდენიმე დღით ადრე, ვარჯიშის დროს მომხდარ ინციდენტისას სერიოზულად დაშავდა და სავარაუდოდ, სეზონის ბოლომდე ვერ შეძლებს რბოლებში დაბრუნებას.

კანადის ლეიკ ლუისში კი დაშვების რბოლა ქალებს ჰქონდათ, რომელთა შორისაც საუკეთესო დრო ამერიკელმა **ლინდსი კილდოუ-ვონმა** აჩვენა. ეს მის კარიერაში დაშვებაში მოპოვებული მეექვსე გამარჯვებაა, რომელთაგან ზედიზედ ოთხს სწორედ ლეიკ ლუისის ტრასაზე მიაღწია.

*"არის ტრასები, რომლებზეც უკეთ ვსრიალებ, ზოგი კი ისეთია, გამოსვლაც არ მინდა ხოლმე. ლეიკ ლუისის ტრასა ყველაზე მეტად მომწონს და ალბათ ამის გამოცაა, რომ აქ ზედიზედ მეოთხე რბოლა მოვიგე. ამის მიუხედავად, სტარტზე ძალიან ვინერვიულე და ეს ალბათ იმიტომ მოხდა, რომ ძალიან მინდოდა გამარჯვება"*, - განაცხადა კილდოუმ, ვისაც სამივე ვარჯიშზე ათეულის მიღმა შედეგები ჰქონდა.

ლეიკ ლუისის-"უაითჰორნის" (თეთრი რქა) ფერდობი ასევე იღბლიანია ავსტრიელი **რენატე გიოჩლისთვისაც**, ვისაც იქ ხუთი რბოლა აქვს მოგებული. მაგრამ ამჯერად, კილდოუსთან თითქმის წამი წააგო და მეორე შედეგს დასჯერდა. სხვათა შორის, გასული სეზონის ბოლოს გიოჩლი თავისი სპორტული კარიერის დასრულებას ფიქრობდა, მაგრამ შემდეგ გადაწყვიტა, მინიმუმ ერთი სეზონით დარჩენილიყო და არც ინანა – ლეიკ ლუისში კვარცხლბეკზე მე-13 რბოლა დაასრულა.

*"წასვლაზე რომ ვფიქრობდი, ისეთი გრძნობა მქონდა, რომ ამის გაკეთება არ მინდოდა. ამიტომაც დავრჩი და არ ვნანობ რომ ასე მოვიქეცი"*, - განაცხადა ავსტრიელმა, ვისაც მსოფლიოს თასზე 46 გამარჯვება აქვს მოპოვებული.

ბივერ კრიკისგან განსხვავებით, ლეიკ ლუისში მზე ანათებდა, თუმცა ჰაერის ტემპერატურა ცელსიუსით -26 გრადუსამდე ჩამოვიდა.

რბოლა მესამე ადგილზე დაასრულა კანადელმა **ბრიტ იანიკმა**, ვინც თურმე შარშან, კანადის ნაკრებში დასარჩენად, 25 000 დოლარი გადაიხადა, ახლა კი მესამე ადგილისთვის 14 000 დოლარი მიიღო.

კანადაში მოპოვებული გამარჯვების მიუხედავად, კილდოუს აბსოლუტურ კლასიფიკაციაში მაინც მეათე ადგილი უკავია. ლიდერობა კი ავსტრიელმა **მარლის შილდმა** შეინარჩუნა, ვისაც სლალომის ორი ეტაპი აქვს მოგებული, დაშვებაში კი ქულაც არ აუღია.

მერაბ ლორთქიფანიძე

ბივერ კრიკი (აშშ, კოლორადო). კაცები. დაშვება

1. მიხაელ ვალხჰოფერი (ავსტრია) 1:13.74; 2. სტივენ ნაიმანი (აშშ) 1:13.79; 3. დიდიე კუშე (შვეიცარია) 1:13.84; 4. დიდიე დეფაგო (შვეიცარია) 1:13.93; 5. მარკო ბიუხელი (ლიხტენშტაინი) 1:13.94; 6. ბოდე მილერი (აშშ) 1:14.10; 7. პეტერ ფილი (იტალია) 1:14.12; 8. მარიო შაიბერი (ავსტრია) 1:14.13; 9. კურტ შულცენბახერი (იტალია) 1:14.27; 10. ენდრიუ ვაიბრეხტი (აშშ) 1:14.28...

აბსოლუტური კლასიფიკაცია

1. აკსელ ლუნდ სვინდალი (ნორვეგია) 234; 2. ბენიამინ რაიხი (ავსტრია) 178; 3. დიდიე კუშე (შვეიცარია) 175; 4. ბოდე მილერი (აშშ) 157; 5. იან ჰუდეცი (კანადა) 146; 6. კალე პალანდერი (ფინეთი) 140; 7-8. ჟან-ბაპტისტ გრანჟი (საფრანგეთი) 130; 7-8. დიდიე დეფაგო (შვეიცარია) 130; 9. მიხაელ ვალხჰოფერი (ავსტრია) 123; 10. დანიელ ალბრეხტი (შვეიცარია) 122...

ლეიკ ლუისი (კანადა). ქალები. დაშვება

1. ლინდსი კილდოუ-ვონი (აშშ) 1:48.69; 2. რენატე გიოჩლი (ასტრია) 1:49.47; 3. ბრიტ იანიკი (კანადა) 1:49.96; 4. მარია რიში (გერმანია) 1:50.05; 5. ინგრიდ ჟაკემო (საფრანგეთი) 1:50.09; 6. მარია ჰოლაუსი (ავსტრია) 1:50.13; 7. ანია პერსონი (შვედეთი) 1:50.37; 8. ალექსანდრა მაისნიცერი (ავსტრია) 1:50.40; 9. მარი მარშანარვიე (საფრანგეთი) 1:50.77; 10. დანიელა მერიგეტი (იტალია) 1:50.79...

აბსოლუტური კლასიფიკაცია

1. მარლის შილდი (ავსტრია) 262; 2. დენიზე კარბონი (იტალია) 209; 3. ნიკოლ ჰოსპი (ავსტრია) 186; 4. სარკა ზაჰრობსკა (ჩეხეთი) 151; 5. ტანია პოუტიაინენი (ფინეთი) 143; 6. ჯულია მანკუზო (აშშ) 141; 7. ანია პერსონი (შვედეთი) 134; 8. ელიზაბეთ გორგლი (ავსტრია) 131; 9. მანუელა მიოლეგი (იტალია) 123; 10. ლინდსი კილდოუ-ვონი (აშშ) 122...


ლელო
სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაბაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეშაპიძე, ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი
გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი: საქართველოს ოლიმპიური ფონდი

ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დიღომი, ახალი კონისტუდია, პირველი სართული);

ტელეფონი: 46 30 98
46 30 56, 46 32 62
899 55 48 97 (მთ. რედაქტორი)
53 39 11

ფაქსი +995 32 46 30 97

e-mail: sporti@sporti.ge
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა